
VTB

2020

წლიური ანგარიში



სარჩევი

წლიური ანგარიში

მმართველობის ანგარიშგება
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯომარის მიმართვა
გენერალური დირექტორის მიმართვა

ბანკის შედეგების და საოპერაციო გარემოს მიმოხილვა
ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები
ეკონომიკა
მნიშვნელოვანი მოვლენები
კორპორატიული ბიზნესი
მცირე და საშუალო ბიზნესი
საცალო ბიზნესი
რისკების მართვა

კორპორაციული მართვა
კორპორაციული მართვის სისტემის მიმოხილვა
აქციონერთა საერთო კრება და მათი უფლებები
სამეთვალყურეო საბჭო
დირექტორატი
შიდა კონტროლი და აუდიტი

არაფინანსური ანგარიშგება
პერსონალი
სპონსორობა და ქველმოქმედება
რესურსების მართვა

ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

„ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა

პატივცემულო კოლეგებო, აქციონერებო და პარტნიორებო!



2020 წელს პანდემიის გამოწვევების მიუხედავად ვითიბი ბანკ ჯორჯიამ დადებითი ფინანსური შედეგები გაამჟღავნა და ბაზარზე თავისი პოზიციები შეინარჩუნა.

ვითიბი ბანკი ჯორჯია აგრძელებს მუშაობას ბიზნესის ყველა მიმართულებით, ამასთან დიდი ყურადღება ენიჭება კლიენტთა მომსახურების სპექტრის გაფართოებასა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. ბანკი ავითარებს ახალ და არსებულ სერვისებს დროის მოთხოვნების შესაბამისად და ბაზრის ლიდერთა რიცხვში შედის.

დღესდღეობით ვითიბი ბანკი ჯორჯია არის უნივერსალური მაღალტექნოლოგიური ბანკი, რომელიც მსხვილი საერთაშორისო ფინანსური ჯგუფის წევრია.

ჩვენ ვისწრაფვით გავხდეთ ბანკი, რომელიც სთავაზობს კლიენტებს საუკეთესო სერვისს ციფრულ არხებში და ხარისხიან პერსონალურ მომსახურებას. ჩვენი მიზანია წარმოვადგინოთ უნიკალური გადაწყვეტილებები, ჯგუფის გეოგრაფიული, ტექნოლოგიური და ფინანსური საშუალებების გამოყენებით.

ერთერთი მთავარი პრიორიტეტია - ბანკის ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია, რაც უზრუნველყოფს უფრო ეფექტურ მუშაობას და კლიენტებზე მორგებულ გადაწყვეტილებებს. ეს მიდგომა საშუალებას მისცემს ბანკს გააუმჯობესოს კლიენტთა სერვისები და უზრუნველყოს მაღალი ხარისხის მომსახურება კლიენტთა მოთხოვნების შესაბამისად.

მაღალტექნოლოგიური პროდუქტების განვითარება უზრუნველყოფს მაქსიმალურ კომფორტსა და საბანკო მომსახურების ხელმისაწვდომობას ჩვენი კლიენტებისთვის.

ვითიბი ბანკი ჯორჯიას სტრატეგიული მიზნები დაკავშირებულია ბანკის კორპორატიულ კულტურასთან, ეფექტიანი კომუნიკაცია და თანამშრომელთა ჩართულობა ქმნის უნიკალურ გარემოს ყველა დასახული მიზნის მისაღწევად.

სამეთვალყურეო საბჭოს მიზანი კი არის განახორციელოს სტრატეგიული გეგმა, რომელიც მიმართულია ვითიბი ბანკის, როგორც ეფექტიანი და ინოვაციური ბანკის, განვითარებაზე, რომელსაც შეუძლია სწრაფად მოერგოს ბაზრის ცვალებად გარემოს.

სამეთვალყურეო საბჭოს სახელით მსურს მადლობა გადავუხადო ვითიბი ბანკ ჯორჯიას აქციონერებსა და პარტნიორებს და გამოვთქვა იმედი და რწმენა იმისა, რომ ბანკი განვითარების გზაზე, ახალ წარმატებებს მიაღწევს!

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

სერგეი სტეპანოვი



სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის მიმართვა

პატივცემულო აქციონერებო, კლიენტებო და პარტნიორებო!



მსურს მოგახსენოთ რომ, საკმაოდ რთული და გამოწვევებით დატვირთული წელი გავიარეთ. კოვიდ 19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა გლობალურ ეკონომიკაზე და მათ შორის საქართველოზე. ჩვენი ქვეყნის ძირითად პარტნიორ ქვეყნებში საგრძნობი ეკონომიკური ვარდნის შედეგად, მკვეთრად შემცირდა საგარეო შემოდინებები, მათ შორის საქონლისა და მომსახურების (ძირითადად ტურიზმი) ექსპორტიდან და პირდაპირი ინვესტიციების სახით. იმპორტიც შემცირდა, მაგრამ გაიზარდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი.

ასეთ ვითარებაში, ჩვენი მთავარი პრიორიტეტები იყო ბანკის შეუფერხებელი ფუნქციონირება და მდგრადობის უზრუნველყოფა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სამუშაო ადგილების უსაფრთხოების დაცვას, საკომუნიკაციო სისტემების უსაფრთხო და სტაბილურ მუშაობას, თანამშრომელთა დიდი ნაწილის დისტანციური მუშაობის და კლიენტებისათვის დისტანციური სერვისების მოცულობის ზრდისა და გამრავალფეროვნების უზრუნველყოფას. ფაქტობრივად მთლიანად განახლდა ინტერნეტ-ბანკი, რამაც საშუალება მოგვცა ტრანზაქციების დიდი ნაწილი ციფრულ არხებში გადაგვეტანა.

ბანკი აქტიურად ჩაერთო სახელმწიფო ანტიკრიზისული ღონისძიებებით გათვალისწინებული პროგრამების განხორციელებაში. კერძოდ მოსახლეობის იპოთეკური სესხების პროცენტების სუბსიდირების პროგრამაში, იმ მოქალაქეებისათვის საკრედიტო არდადეგების გამოცხადებაში, რომლებმაც დაკარგეს სამსახური.

მიუხედავად სირთულეებისა, ბანკის მოგებამ 27 მლნ ლარს მიაღწია. ბანკის საკუთარი სახსრები გაიზარდა 25 მლნ ლარზე მეტად და 309 მლნ ლარი გახდა. ზრდა შენარჩუნდა ყველა ძირითად ფინანსურ მაჩვენებელში და მნიშვნელოვანი პროგრესი აღინიშნა ბანკის ყველა სტრატეგიულ მიმართულებაში.

უახლოესი წლებისათვის ჩვენ მთავარ პრიორიტეტად რჩება მდგრადი განვითარება, კლიენტებისთვის თანამედროვე სტანდარტის ფინანსური მომსახურების შეთავაზება.

ბოლოს, მადლობა მინდა გადავუხადო ვითიბი ბანკის მთელ გუნდს ურთულეს პირობებში ეფექტური მუშაობისთვის. ერთად ჩვენ შევძლებთ დავძლიოთ კოვიდ 19-ის ნეგატიური ეფექტი და გავაგრძელოთ განვითარება.

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი

არჩილ კონცელიძე




ბანკის შედეგების და საოპერაციო გარემოს მიმოხილვა


ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2020 წელს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ შეუფერხებლად ფუნქციონირებდა, შეინარჩუნა მყარი პოზიციები საბანკო სექტორში და უზრუნველყო სტაბილური ეფექტიანობა.

აქტივები

2019 წელთან შედარებით ბანკის აქტივები 26.1%-ით გაიზარდა და გახდა 2 132 მლნ ლარი.
საკრედიტო პორტფელი გაიზარდა 21.1%-ით და მიაღწია 1 437 მლნ ლარს. კლიენტებისგან მოზიდული სახსრები გაიზარდა 29.1%-ით და მიაღწია 1 499 მლნ ლარს.








ბანკის მოგება


2020 წელს ბანკის წმინდა მოგებამ შეადგინა 26.7 მლნ ლარი. დივიდენდი არ განაწილებულა. შესაბამისად გაიზარდა სააქციო კაპიტალი და გაუტოლდა 309 მლნ ლარს.

მოგება - ზარალის ანგარიში (მლნ.ლარი)	*2020*	*2019*
საპროცენტო შემოსავალი	154.7	133.4
საპროცენტო ხარჯი	(83.3)	(67.3)
უარყოფითი განაკვეთის აქტივების ხარჯი	(0.6)	(0.2)
დეპოზიტების დაზღვევის ხარჯი	(0.6)	(0.5)
სესხების შესაძლო დანაკარგების შექმნის/აღდგენის შედეგი	(6.8)	0.1
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	63.3	65.5
არასაპროცენტო შემოსავალი	26.2	27.2
წმინდა საოპერაციო შემოსავალი	89.5	92.8
არასაპროცენტო ხარჯი	(62.4)	(60.6)
მოგების გადასახადის ხარჯი	(0.4)	(2.3)
წმინდა მოგება	26.7	29.8


კრედიტების სტრუქტურა

2020 წელს 2019 წელთან შედარებით კრედიტების სტრუქტურა ეკონომიკის სექტორების მიხედვით გარკვეულწილად შეიცვალა, კერძოდ შესამჩნევად გაიზარდა ვაჭრობას, მომსახურებასა და ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების წილი. აგრეთვე მოიმატა უძრავ ქონებაზე, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაზე გაცემული სესხების წილმა. შემცირდა ფინანსურ სექტორზე, წარმოებაზე, ენერგეტიკას, ტრანსპორტსა და კომუნიკაციებზე და ასევე სხვა სექტორებზე გაცემული სესხების წილი.
უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების წილი შემცირდა 44.6%-დან 40.9%-მდე. მათ შორის იურიდიულ პირებზე 59.0%-დან 56.2%-მდე, ხოლო ფიზიკურ პირებზე 25.7%-დან 21.3%-მდე.





სესხები ვალუტების ჭრილში




კრედიტების შესაძლო დანაკარგების დონე უმნიშვნელოდ შემცირდა 2.80 %-დან 2.67%-მდე.

ვალდებულებები

ბანკმა კლიენტების სახსრების წილი მთლიან ვალდებულებებში წინა წელთან შედარებით სტაბილურად შეინარჩუნა. 2020 წელს მთლიანი ვალდებულებების 82.2%-ს შეადგენდა, ხოლო 2019 წელს 82.5%. 2020 წელს დეპოზიტების ფარდობამ სესხებთან 97.8%-დან მოიმატა 104.3%-მდე. კლიენტების სახსრებში გაიზარდა იურიდიული პირების და ვადიანი ანაბრების (სადეპოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით) წილი. 2020 წელს პირველად განთავსდა იურიდიული პირების სადეპოზიტო სერტიფიკატები.

კლიენტების სახსრები ვალუტების ჭრილში




უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრების წილი უმნიშვნელოდ გაიზარდა 53.6%-დან 57.6%-მდე, რაც ძირითადად გამოწვეულია უცხოურ ვალუტაში იურიდიული პირებისგან მოზიდული თანხების ზრდით. იურიდიული პირებისგან მოზიდულ სახსრებში უცხოური ვალუტის წილი გაიზარდა 35.8%-დან 42.6%-მდე. ფიზიკური პირებისგან მოზიდულ სახსრებში უცხოური ვალუტის წილი შემცირდა 78.8%-დან 77.5%-მდე.
ბანკებისგან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან მოზიდული სახსრების მოცულობამ (სუბორდინირებული სესხების ჩათვლით) მოიმატა 33.4%-ით და შეადგინა 290 მლნ ლარი.


შემოსავლები და ხარჯები
2020 წელს ბანკის საოპერაციო მოგება შეადგენს 89.5 მლნ ლარს, და 2019 წლის მოცულობაზე 3.5%-ით ნაკლებია.
მიღებულია საპროცენტო შემოსავლები 154.7 მლნ ლარის ოდენობით, რაც აღემატება წინა წელს 15.97%-ით, 21.3 მლნ ლარით.
საპროცენტო ხარჯები 83.3 მლნ ლარია და აღემატება წინა წლის სიდიდეს 23.7%-ით, 16 მლნ ლარით. მოიმატა უარყოფითი განაკვეთების აქტივების და დეპოზიტების დაზღვევის ხარჯებმაც.
2020 წელს კრედიტების შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნის/აღდგენის შედეგი იყო უარყოფითი და 6.8 მლნ ლარი შეადგინა.
შედეგად წმინდა საპროცენტო შემოსავალი წინა წლის დონეს ჩამორჩება 2.2 მლნ ლარით, ანუ 3.4%-ით.
2020 წელს მიღებულია არასაპროცენტო შემოსავლები 26.2 მლნ ლარის ოდენობით, რაც 1 მლნ ლარით, ანუ 3.6 %-ით ნაკლებია 2019 წელზე.

არასაპროცენტო ხარჯი გაიზარდა 3.0%-ით, ანუ 1.8 მლნ ლარით.


ეკონომიკა


მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 2020 წელს იყო უარყოფითი და წინასწარი შეფასებით შეადგინა -6.1%, (2019 წ.: ზრდა შეადგენდა 5.0%), ნომინალური სიდიდე წინა წელის ტოლია. აღნიშნული შედეგი გამოწვეულია პანდემიის შეჩერების მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული მთელი რიგი მკაცრი შეზღუდვებით, რომლებიც შეეხო ბიზნეს საქმიანობის დროებით შეჩერებას სავაჭრო ობიექტებზე, სატრანსპორტო კომპანიებში, გართობის და სანახაობრივი მიმართულების ოპერატორებს, სასტუმროებს, რესტორნებს, ტურიზმის სფეროში დასაქმებულ კომპანიებს და ინდივიდებს.
ასეთ პირობებში შედარებით მდგრადად ფუნქციონირებდა და ზრდაც კი აჩვენა სამთო მომპოვებელმა მრეწველობამ, სოფლის მეურნეობამ და გადამამუშავებელმა მრეწველობამ. ზრდა ასევე დაფიქსირდა ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროებში. რიგი პროგრამების განხორციელების შედეგად შენელებულია შემცირების ტენდენცია მშენებლობის სფეროში.





სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები შემცირდა 1.8%-ით, ხარჯები (არასაფინანსო აქტივების ცვლილების ჩათვლით) გაიზარდა 25.6%-ით, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი (ნაერთი სალდო) მშპ-სთან მიმართებაში გაიზარდა 3.0%-დან 8.7%-მდე.





სავაჭრო ბალანსი წლის დასაწყისიდან დადებით დინამიკას აჩვენებდა, იმპორტის უპირატესი შემცირების ფონზე ექსპორტის კლებასთან შედარებით.
2020 წელს ექსპორტი 12.0%-ით შემცირდა და 3.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, იმპორტი კი 11.7%-ით შემცირდა 8.0 მლრდ აშშ დოლარამდე. შედეგად, სავაჭრო დეფიციტი 11.5%-ით შემცირდა და 4.6 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.
2020 წელს საქართველოში საზღვარგარეთიდან მოქალაქეთა ფულადი გზავნილების წმინდა შემოსვლამ შეადგინა 1.6 მლრდ აშშ დოლარი (რაც წინა წლის მაჩვენებელზე 9.6% მეტია).
2020 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის კლება 20%-ზე მეტი იყო. მოიკლო ინვესტიციების შემოდინებამ ენერგეტიკაში, სასტუმროების და სარესტორნო ბიზნესში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში, გადამამუშავებელ მრეწველობაში, მცირედით ზრდა იყო საფინანსო სექტორში, უძრავ ქონებაში, მშენებლობაში, სამთომომპოვებელ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. სიტუაცია ადექვატურად აისახა საგადახდო ბალანსში. 2019 წელთან შედარებით მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდო გაიზარდა 3.5-ჯერ, რაც მოხდა მომსახურების მიხედვით დადებითი სალდოს თითქმის 2 მლრდ დოლარით შემცირების გამო.
ოფიციალური საგარეო რეზერვები უცხოურ ვალუტაში ერთი წლის განმავლობაში გაიზარდა 18.3%-ით, და შეადგინა 3.9 მლრდ აშშ დოლარი, რაც ფარავს 5.5 თვის იმპორტს.
2020 წლის სექტემბრისათვის საგარეო ვალი გაიზარდა 1 მლრდ აშშ დოლარით, აქედან სახელმწიფო სექტორის ვალი გაიზარდა 0.8 მლრდ აშშ დოლარით.
2020 წლის განმავლობაში ეროვნული ვალუტა გაიაფდა დოლართან მიმართებით 14.3%–ით, ხოლო საშუალო წლიური კურსი 10.3%–ით. ეროვნული ვალუტის კურსი დოლარის მიმართ 2020 წლის ბოლოსთვის იყო 3.2766, 2019 წლის ანალოგიური პერიოდისათვის იყო 2.8677, საშუალო წლიური კურსი 2020 წელს 3.1097, ხოლო 2019 წელს 2.8192 იყო.
საქართველოს ეროვნულმა ბანკმა პანდემიასთან დაკავშირებული ეკონომიკური ვარდნის ფონზე შემცირებული შიდა მოთხოვნის სტიმულირების მიზნით რეფინანსირების განაკვეთი ეტაპობრივად შეარბილა 9%-დან 8%-მდე. ამასთან ერთად ინფლაციაზე ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის გაუფასურებიდან გადაცემის ეფექტის გასანეიტრალებლად აქტიურად ახორციელებდა სავალუტო ინტერვენციებს. წლის დასაწყისიდან სებ-მა სავალუტო ბაზარს მიაწოდა 0.9 მლრდ აშშ დოლარამდე.
სამომხმარებლო ფასების ინდექსი 2020 წლის ბოლოსთვის იყო 2.4%, ხოლო საშუალო წლიური ინდექსი 5.2%.

მნიშვნელოვანი მოვლენები

COVID-19 -ის გავლენა

I კვარტალი

Covid-19 პანდემიასთან დაკავშირებით სახელმწიფო და ლოკალური რჩევების გათვალისწინებით მარტის მეორე ნახევრიდან ბანკის უწყვეტი მუშაობის შესანარჩუნებლად ჩატარდა ფართომასშტაბიანი ღონისძიებები, რომლების შედეგად ბანკი გადავიდა დისტანციურ მომსახურებაზე.

გაყიდვის წერტილებში ჩატარდა ახალი საკრედიტო პროდუქტის - „VCard განახლებული საკრედიტო ბარათის“ გაყიდვის შიდა კონკურსი. აღნიშნული ბარათი ყველა პარამეტრით აღემატება კონკურენტების ანალოგს. აქტივობის შედეგად პირველ კვარტალში გაყიდულია 3,553 საკრედიტო ბარათი, პორტფელის მოცულობა კვარტალში გაიზარდა 6.9 მლნ ლარით, 36%-ით და შეადგინა 25.8 მლნ ლარი.

გაეშვა განახლებული ავტო-ლომბარდი. 15 თებერვლიდან კვარტლის ბოლომდე გაიცა 223 სესხი ჯამში 2.1 მლნ ლარის ოდენობით.

ტრანზაქციების დისტანციურ არხებში გადატანასთან დაკავშირებით გაეშვა განახლებული ინტერნეტ-ბანკი. ასევე კლიენტების აქტიურობის მატებისთვის თანამშრომელთა მოტივაციის სისტემის ქმედუნარიანობის ამაღლებით პირველ კვარტალში დისტანციური საბანკო მომსახურების (ინტერნეტ და მობაილ ბანკის) წილი ტრანზაქციულ ბიზნესში გაიზარდა 93.8%-მდე (2019 წლის მეოთხე კვარტალში წილმა შეადგინა 92.4%).

Covid-19 პანდემიასთან დაკავშირებით 16 მარტიდან სურვილის მქონე კლიენტებისთვის გამოცხადდა სამთვიანი საკრედიტო არდადეგები. ამ გადავადებით ისარგებლა მსესხებლების 89% და გადავადებული პორტფელის წილმა შეადგინა 81%.

Covid-19 ეპიდემიოლოგიურ ვითარებასთან დაკავშირებით, სათაო ოფისში რეგულაციების მოთხოვნის შესაბამისად დამონტაჟდა გასახსნელი ვიტრაჟები, კლიენტების მომსახურების ადგილებზე დაყენებულია დამცავი ბარიერები, რეკომენდაციებისა და სანიტარული ნორმების დაცვის უზრუნველყოფად სათაო ოფისი და გაყიდვის წერტილების თანამშრომლებისთვის შეძენილია სადეზინფექციო ანტიბაქტერიული საშუალებები, სპეციალიზებული სამსახურების მიერ ჩატარებულია სადეზინფექციო სამუშაოები.

II კვარტალი

Covid-19 პანდემიასთან დაკავშირებით 16 ივნისიდან სამი თვით გაგრძელდა საკრედიტო არდადეგები იმ მსესხებლებისთვის, ვინც დაკარგა სამსახური. ამ გადავადებით ისარგებლა 13,085 მსესხებელმა, (მსესხებლების 20%) და გადავადებული პორტფელის მოცულობამ შეადგა 133.2 მლნ ლარი (საკრედიტო პორტფელის 25%).

საქართველოს მთავრობის რეკომენდაციის ფარგლებში Covid-19 პანდემიასთან დაკავშირებით განხორციელდა სესხების რესტრუქტურიზაცია და 1 ივლისისთვის რესტრუქტურიზებული იქნა 372 მლნ ლარის ფიზიკური პირების სესხები (55 ათასზე მეტი მსესხებელი), 198 მლნ ლარის კორპორატიული კლიენტების სესხები (დაახლოებით 40 მსესხებელი) და 85 მლნ ლარის მცირე ბიზნესის სესხები (400-ზე მეტი მსესხებელი).

დამტკიცდა შიდა დოკუმენტები Covid-19 პირობებში სესხების გაცემის პროცედურების და პირობების შესახებ.

გაგრძელდა კლიენტების ტრანზაქციების დისტანციურ არხებზე გადაყვანა, რის შედეგად დისტანციური საბანკო მომსახურების (ინტერნეტ- და მობაილ-ბანკის) წილი ტრანზაქციულ ბიზნესში გაიზარდა 94.7%-მდე.

სამეთვალყურეო საბჭოზე დამტკიცდა: რეპუტაციული რისკის მართვის პოლიტიკა და კაპიტალის ადეკვატურობის შიდა პროცედურების შესრულების შედეგების ანგარიშგება.

III კვარტალი

Covid-19 პანდემიასთან დაკავშირებით განხორციელდა სასესხო გადახდების გადავადების მეორე ტალღის რეალიზაცია იმ მსესხებლებისთვის, ვინც დაკარგა სამსახური ან ვისი შემოსავალი 50% მეტად შემცირდა. სასესხო გადახდების გადავადებით ისარგებლა 23,442 მსესხებელმა და სესხების მოცულობა შეადგენს 229.7 მლნ ლარს (სასესხო პორტფელის 38%).

2020 წლის ივლისიდან დაიწყო სახელმწიფო პროექტი იპოთეკური სესხების პროცენტის სუბსიდირებაზე. აღნიშნული პროექტი შეეხო სამშენებლო კომპანიებისგან ახალი ბინის შეძენას. მესამე კვარტლის განმავლობაში გაიცა 38.6 მლნ ლარის სუბსიდირებული იპოთეკური სესხი და ბანკის წილი იპოთეკურ სესხების ბაზარზე გაიზარდა 0.2 %-დან 4.1%-მდე.

გაშვებულია ახალი მობაილ ბანკის საცდელი ვერსია.

განხორციელდა 24 საათიანი თვითმომსახურების ზონის მოწყობა დიღმის, წერეთლის, საბურთალოს და გლდანის გაყიდვის წერტილებში.

IV კვარტალი

სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მეოთხე კვარტალში გაიცა 90 მლნ ლარის იპოთეკის სესხები და ბაზრის წილი იპოთეკურ სესხებზე გაიზარდა 4.1%-დან 4.5%-მდე. პროექტი დამთავრდა 2020 წლის 31 დეკემბერს.

პანდემიის მიუხედავად, გააქტიურდა გაყიდვები ყველა მიმართულებით. ავტო-ლომბარდის და ლომბარდის სესხებზე მე-3 კვარტალში დაწყებული აქციების შედეგად გაიცა შესაბამისად 17.1 მლნ ლარის და 24.3 მლნ ლარის სესხები, ავტო-ლომბარდის ბაზრის წილი გაიზარდა 11.7%-დან 16.0%-მდე და ლომბარდის სესხების ბაზრის წილი 3.3%-დან 4.9%-მდე.

განვითარდა საკრედიტო მოთხოვნაზე ავტომატური გადაწყვეტილების მიღების მოდული, რომლის დამუშავების შედეგად მეოთხე კვარტალში ყველა დამტკიცებული საკრედიტო განაცხადის 53% მიღებულია ამ მოდულის გამოყენებით.
გაშვებულია კრედიტზე ონლაინ განაცხადის განახლებული ვერსია, რომლის მიხედვით არსებული და ახალი კლიენტებისთვის სესხის დამტკიცება შესაძლებელია ბანკში მიუსვლელად.

მეოთხე კვარტალში საკრედიტო ბარათების და სამომხმარებლო სესხების 15% დამტკიცებულია ვებ-მოთხოვნის, ვიდეო ბანკის ან DSA-ის მეშვეობით.

მესამე კვარტალთან შედარებით გაიზარდა საცალო ბიზნესის ტრანზაქციების წილი (93.6%-დან 94.6%-მდე), ასევე გაიზარდა გადახდის ტერმინალების (კიოსკების) მეშვეობით ნაღდი ფულის შეტანის წილი (91%-დან 94%-მდე). ინტერნეტ და მობილური-ბანკით განხორციელებული საცალო ტრანზაქციების რაოდენობამ პირველად გადააჭარბა 300 ათას ლარს.

კიდევ უფრო განვითარდა დისტანციური არხები - ვიდეო ბანკის მეშვეობით გაცემული სესხების მოცულობა გაიზარდა 350 ათასი ლარიდან (მე-3 კვარტალში) 850 ათას ლარამდე (მე-4 კვარტალში).

დასრულდა: სერვისის სტაბილურობისა და დატვირთვის ბალანსის (Load Balancer) სისტემის დანერგვის პირველი ეტაპი, კომუნალური გადასახადების გაერთიანებული სისტემის (United Communal Module) და ელექტრონული დოკუმენტების მართვის მოდულის (Electro Doc Flow) დანერგვა, ბანკის დისტანციურ არხებში PSD2 სტანდარტის იმპლემენტაცია (Strong Autentification System (SAS)).

გაყიდვის წერტილების ხელმძღვანელებისთვის ჩატარდა სემინარი თემაზე „კრიზისის მართვა და პოსტ-კრიზისული დაგეგმვა“.

კორპორატიული ბიზნესი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია” წარმოადგენს კორპორატიული კლიენტების მომსახურების სფეროში საბანკო ბაზრის ერთერთ ლიდერს. მომსახურება მიმართულია ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ჰოლდინგებისა და საწარმოების ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო სტაბილური ფინანსური პლატფორმის შექმნაზე და შემდგომ მხარდაჭერაზე.

2020 წელს კორპორატიული ბიზნესისთვის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა:

- „კოვიდ-19“ პანდემიით გამოწვეული კრიზისის დაძლევა შესაბამისი საბანკო ინსტრუმენტების გამოყენებით;
- საბაზრო სეგმენტზე წილის ზრდა;
- ახალი კლიენტების მოზიდვა;
- კომპანიებისათვის მოქნილი დაფინანსების სქემის შეთავაზება;

კორპორატიული ბიზნესის სტრუქტურა მთლიანად ორიენტირებულია საშუალო და მსხვილი კორპორატიული კლიენტების ხარისხიან და სრულყოფილ მომსახურებაზე. სეგმენტაცია დარგების მიხედვით კლიენტთა ყველა ინდივიდუალური მოთხოვნის გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა.

კორპორატიული ბიზნესის 2020 წლის ძირითადი მიღწევების მიმოხილვა


- Covid-19-ით გამოწვეულ პანდემიასთან დაკავშირებით, 2020 წლის მარტიდან შემუშავებულ იქნა ბიზნესის მხარდაჭერის 2 ეტაპიანი პროგრამა. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებდა საკრედიტო პორტფელის რესტრუქტურიზაციას სესხებზე დაფარვის გრაფიკების ცვლილებით. კორპორატიული ბიზნესის დეპარტამენტმა ჩაატარა შესაბამისი სამუშაო კლიენტებთან და ორივე ეტაპისთვის წარუდგინა ინდივიდუალური შეღავათიანი გრაფიკები. რესტრუქტურიზებული სესხების ჯამურმა თანხამ შეადგინა 211 მილიონი ლარი.
- კორპორატიული ბლოკი აქტიურად მონაწილეობდა FMCG სექტორში ოპერირებადი ახალი კლიენტების მოზიდვაში, როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო ბაზრებიდან. ვითიბი აზერბაიჯანთან ერთად განხორციელდა ვითიბი ჯგუფის შიდა თანადაფინანსების პროექტი. დაფინანსდა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში FMCG სექტორის ერთ-ერთი უმსხვილესი წარმომადგენელი. ბანკის მიერ დაფინანსებულმა თანხამ შეადგინა 5.8 მილიონი აშშ დოლარი.
- კორპორატიული სამმართველო აქტიურად მონაწილეობდა სინდიცირებული ფინანსირების გარიგებებში. აკმაყოფილებდა კლიენტის მზარდ მოთხოვნებს დაკრედიტებაზე მოთხოვნის დათმობის გზით, და ამავდროულად არ არღვევდა შიდა თუ გარე მარეგულირებლების მიერ განსაზღვრულ მაჩვენებლებს.
- ჩართული იყო სახელმწიფოს მიერ ინიცირებულ წარმოებისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამებში;
- კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით პერიოდულად ახორციელებდა თანამშრომლებისათვის ტრენინგ პროგრამებს;
- 2020 წელს საცალო ბიზნესის დეპარტამენტთან ერთად განახლებულ ფორმატში დაინერგა დეველოპერული პროდუქტების დაფინანსების პრაქტიკა.

საკრედიტო პორტფელი

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ მიერ კლიენტების დაფინანსების ინსტრუმენტებს წარმოადგენს კრედიტები, საკრედიტო ხაზები, ოვერდრაფტები, ფასიანი ქაღალდები და სხვა ფინანსური თუ დოკუმენტური საშუალებები.
კორპორატიული ბიზნესის საკრედიტო პორტფელის მოცულობამ 2020 წლის ბოლოს შეადგინა 569 მლნ ლარი, წინა წელთან შედარებით ზრდამ შეადგინა 21%.
ბანკი საკრედიტო ბაზარზე მაღალ წილს იკავებს შედეგ სექტორებში: სამომხმარებლო საქონლით ვაჭრობა (9.39%), სამშენებლო კომპანიები (არა დეველოპერები 7.69%), ჯანდაცვის სფერო (5.37%).

მოზიდვა

კორპორატიული ბიზნესის მოზიდვის მოცულობამ 2020 წლის ბოლოს შეადგინა 620 მლნ ლარი, ზრდამ 2019 წელთან შედარებით შეადგინა 38%.
ბანკის სადეპოზიტო პორტფელის დივერსიფიკაციისა და სტაბილურობის მაჩვენებელი მზარდია, პორტფელში თანაბრად მონაწილეობს როგორც სახელმწიფო, აგრეთვე კერძო სექტორიდან მოზიდული სახსრები.
როგორც 2019 ასევე 2020 წელს, ეროვნულ ვალუტაში თანხების მოზიდვის ძირითადი წყარო არის სახელმწიფო ორგანიზაციები, მათი წილი შეადგენს მოზიდული სახსრების 50%-ს.



დოკუმენტური ოპერაციები და სავაჭრო დაფინანსება

ვაჭრობის ფინანსირება კვლავ წარმოადგენს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას” ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას.

2020 წლის ბოლოს საგარანტიო ოპერაციების პორტფელის მოცულობამ შეადგინა 80.6 მლნ ლარი. წლის განმავლობაში გაიცა 55.0 მლნ ლარის მოცულობის გარანტიები და 40.0 მლნ ლარის მოკლევადიანი აკრედიტივები.

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ დოკუმენტური პორტფელის მოცულობით ბაზარზე მესამე ადგილს იკავებს.

2020 წლის განმავლობაში იყო აქტივობა საექსპორტო ოპერაციების მხარდაჭერის კუთხითაც. წლის განმავლობაში ბანკმა მოახდინა 26.2 მლნ ლარის საექსპორტო აკრედიტივების, გარანტიებისა და საინკასო დავალებების ავიზირება და მომსახურება.

სავაჭრო დაფინანსების სფეროში სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას” ძირითადი უპირატესობებია:

- „ვითიბი ჯგუფის“ შვილობილი ბანკებისა და ფილიალების ფართო ქსელის ხელმისაწვდომობა და „ვითიბი ჯგუფის“ მხარდაჭერა;
- რეგულარული ინფორმირება დოკუმენტურ ბიზნესში არსებული პრაქტიკისა და უახლესი ტენდენციების შესახებ;
- ანგარიშსწორების რთული სქემების შემუშავების დროს გარიგებების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე მხარდაჭერა;
- ტრანზაქციების ჩატარების კონკურენტული ფასები;
- საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება და თანამშრომლების მაღალი კვალიფიკაცია;
- დოკუმენტური ბიზნესის სფეროში მომსახურების ფართო სპექტრის შეთავაზება;

ფაქტორინგი


2020 წლის განმავლობაში სს „ვითიბი ბანკ ჯორჯია"-მ ჩაატარა 127 ფაქტორინგული ტრანზაქცია საერთო მოცულობით 88.3 მლნ ლარი.
2019 წელთან შედარებით ფაქტორინგის მოცულობა შემცირდა 17.3%-ით და წლის ბოლოს მიაღწია 18.0 მლნ ლარს. შემცირება განპირობებულია კოვიდ-19-ის შედეგებით, რამაც შეაჩერა განსაკუთრებით მცირე ბიზნესის ფაქტორინგული ოპერაციები. რაც შეეხება საერთაშორისო ფაქტორინგს, 2020 წელს ჩატარდა ისეთი ოპერაციები, რომელიც მოიცავდა აკრედიტივისა და ფაქტორინგის მიქსს. ამ მიმართულებით ბანკი აქტიურად მუშაობს FCI-ისთან ოპერაციების გასაფართოებლად.
ფინანსთა სამინისტროსთან ერთად ბანკი მონაწილეობას იღებდა საქართველოში ფაქტორინგული ოპერაციების წარმოების ნორმატიული ბაზის ფორმირებაში რის საფუძველზეც გეგმავს ადგილობრივი ფაქტორინგული ოპერაციების პორტფელის კიდევ უფრო მნიშვნელოვან ზრდას.
2019 წლის ფაქტორინგული ოპერაციების მოცულობით ბანკი მეორე ადგილს იკავებს ბაზარზე და აგრძელებს კლიენტებზე მორგებული სქემების შეთავაზებას.
ბანკმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ფორუმში, რომელიც ეხებოდა საქართველოში ფაქტორინგული ბაზრის ანალიზს და სამომავლო გაფართოების გეგმების დასახვას.
განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ოპერაციების გაციფრულებას. ამ ეტაპზე, ბანკში ვიზიტის გარეშე ხდება ოპერაციის სრული ციკლის ჩატარება.
ბანკი მუდმივად ეხმარება ჯგუფის სხვა ბანკებს და უზიარებს როგორც პრაქტიკულ გამოცდილებას, ასევე აწოდებს ნორმატიულ მასალას, რომელიც მათ ეხმარება ფაქტორინგული ოპერაციების დანერგვასა და განვითარებაში.

მცირე და საშუალო ბიზნესი

მცირე ბიზნესი

COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებულ საქართველოს მთავრობის შეზღუდვებს განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა მცირე ბიზნესზე. თუმცა ამ სეგმენტმა ბანკში შეინარჩუნა ზრდის დინამიკა. ბანკი აქტიურად მონაწილეობდა შეღავათიანი საინვესტიციო აგრო დაკრედიტების და პანდემიის უარყოფითი ზეგავლენის მიმართ ყველაზე მოწყვლადი სექტორების მოკლევადიანი დაფინანსების სახელმწიფო პროგრამებში.
2020 წელს დაკრედიტების ზრდამ შეადგინა 11.2%, ბანკის გეგმა შესრულდა 105.6%-ით.

მცირე ბიზნესი (მლნ. ლარი)



მიღწეულია შესამჩნევი შედეგები მცირე ბიზნესის ვადიანი ანაბრების მოზიდვის კუთხით, ბანკის გეგმა შესრულდა 132.6%-ით, ხოლო ზრდამ შეადგინა 83.1%, განთავსდა 0.4 მილიონი ლარის სადეპოზიტო სერტიფიკატი; მიმდინარე ანაბრების მოზიდვების გეგმა შესრულდა 113.2 %-ით, ზრდამ შეადგინა 10.9%.

2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, საშუალო წლიური შეწონილი განთავსების განაკვეთები უმნიშვნელოდ შეცვლილია 10.16%-დან 10.18%-მდე, ხოლო მოზიდვის განაკვეთები 2.21%-დან 2.56%-მდე გაიზარდა. წმინდა საპროცენტო მარჟა 3.79%-დან 3.47%-მდე შემცირდა.

მთლიანობაში, ბიზნესის ამ მიმართულებით ბანკმა დადებითი ფინანსური შედეგები გაამჟღავნა. წმინდა მოგებამ 6.9 მილიონი ლარი შეადგინა, ამასთან არსებული გეგმა 3.3 მილიონი იყო. გეგმის გადაჭარბება განაპირობა ზეგეგმიურმა საპროცენტო შემოსულობებმა 2.6 მილიონი ლარის და რეზერვებიდან მიღებულმა ერთი მილიონი ლარის ოდენობით დადებითმა შედეგმა, ნაცვლად დაგეგმილი უარყოფითი 1.2 მილიონი ლარისა.
2020 წელს ბანკმა განავითარა არსებული დისტანციური მომსახურეობის არხები მცირე ბიზნესის მომხმარებლებისთვის, განხორციელდა ძირითადი სერვისების და პროდუქტების განთავსება დისტანციურ არხებში. სალაროს კვანძების განსატვირთად დაიხვეწა იურიდიული პირებისთვის ნაღდი ფულის შეტანის ფუნქციონალი სწრაფი გადახდის ტერმინალებში და უნივერსალურ ბანკომატებში. დისტანციური არხების არეალის გაფართოების მიზნით, დაიდო ახალი ხელშეკრულებები პარტნიორებთან, სწრაფი გადახდის მომსახურების მომწოდებლებთან. შედეგად, ოპერაციების 87%-ზე მეტი, (ნაღდი ფულის ოპერაციების ჩათვლით 76%), გადატანილია მომსახურეობის დისტანციურ არხებში.

საცალო ბიზნესი

2020 წელი სს „ვითიბი ბანკ ჯორჯია"-სთვის, ისევე როგორც მთლიანად საბანკო სექტორისთვის, პანდემიით გამოწვეული კრიზისით ხასიათდებოდა. ბანკის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა პანდემიით გამოწვეული კრიზის ფონზე ფიზიკური პირებისათვის მაქსიმალურად გაეადვილებინა საბანკო სერვისებით სარგებლობა.
მიუხედავად პანდემიისა ბანკის საცალო მიმართულებისთვის 2020 წელი წარმატებული გამოდგა. ბანკმა მნიშვნელოვნად განავითარა დისტანციური სერვისები, რამაც საცალო პროდუქტები მომხმარებლებისთვის კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახადა.

საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა პროდუქტების ჭრილში

პროდუქტის დასახელება	პორტფელის მოცულობა (მლნ. ლარი)
სამომხმარებლო სესხები	172.2
იპოთეკური სესხები	394.4
საკრედიტო ბარათები და ოვერდრაფტები	34.1
ავტო სესხები	22.1
სწრაფი განვადება	1.1
ფიზიკურ პირებზე გაცემული ბიზნეს სესხები	4.7

იპოთეკური სესხები

2020 წელი განსაკუთრებით წარმატებული იყო იპოთეკური დაკრედიტების ნაწილში. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია" ბაზარზე ერთ-ერთი ლიდერი ბანკია იპოთეკური კრედიტების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხების მოცულობით. შედეგად იპოთეკის საკრედიტო პორტფელის ზრდამ 41.2%, ხოლო მოცულობამ 394.4 მლნ ლარი შეადგინა. პარტნიორი სამშენებლო კომპანიების რაოდენობა და ფართო სპექტრი ბანკს საშუალებას აძლევს ყველა სეგმენტის მომხმარებლების მოთხოვნა დააკმაყოფილოს.

საკრედიტო ბარათები

2020 წელს ასევე მკვეთრი ზრდით ხასიათდებოდა საკრედიტო ბარათების პორტფელი. ბანკის მიერ განახლებული საკრედიტო ბარათის, VCard-ის პორტფელის მოცულობა 53%-ით გაიზარდა და 28.9 მლნ ლარი შეადგინა. ბანკის წილმა საკრედიტო ბარათების ბაზარზე 6.8% შეადგინა.

ავტო სესხები

2020 წლის თებერვალში სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"-მ მომხმარებლებს ავტო დაკრედიტების განახლებული პროდუქტი შესთავაზა. შედეგად მკვეთრად გაიზარდა ბანკის ამ პროდუქტზე მოთხოვნა და ავტო სესხების საკრედიტო პორტფელი წლის განმავლობაში 11.3 მილიონიდან 22.1 მილიონ ლარამდე, 95.9%-ით გაიზარდა. შედეგად ბანკის წილი ბაზარზე 10.7%-დან 16%-მდე გაიზარდა.

ფიზიკური პირებისგან მოზიდული სახსრები

2020 წლის მონაცემებით 2019 წლის მსგავსად სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"-მ საცალო მიმართულებით სრული თვით ფონდირება შეინარჩუნა. ბანკი ტრადიციულად, 2020 წელსაც გამოირჩეოდა ფიზიკური პირებისგან მოზიდული სახსრების პორტფელის სტაბილური ზრდის ტენდენციით. ფიზიკური პირების სადეპოზიტო პორტფელის მოცულობა წინა წელთან შედარებით 123.8 მლნ ლარით, 23.8%-ით გაიზარდა და 644.3 მლნ ლარი შეადგინა.

ფიზიკური პირების დეპოზიტების პორტფელის დინამიკა

	2018	2019	2020
დეპოზიტების მოცულობა (მლნ.ლარი)	443.2	520.5	644.3

დისტანციური საბანკო მომსახურება

დისტანციური საბანკო მომსახურების განვითარება სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს სტრატეგიული მიმართულებაა. ბანკი მუდმივად ნერგავს მსოფლიო ტექნოლოგიურ სიახლეებს და ყოველწლიურად უფრო მარტივსა და ხელმისაწვდომს ხდის საბანკო პროდუქტებსა და მომსახურებას მომხმარებლებისათვის.
2020 წელს პანდემიის გამო დისტანციურმა საბანკო მომსახურებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, უფრო მეტიც ზოგიერთ სერვისებსა და პროდუქტებზე ხელმისაწვდომობა მხოლოდ დისტანციურად იყო შესაძლებელი.
აღსანიშნავია, რომ 2018 წლიდან დაწყებული დისტანციურ არხებში შესრულებულმა საცალო ტრანზაქციების წილმა 2020 წელს 94%-ს გადააჭარბა, ხოლო ამავე წლის მეოთხე კვარტალში 94%-ზე მეტი შეადგინა.

საცალო ტრანზაქციების რაოდენობის წილი მომსახურების არხებში

	2018	2019	2020
ფილიალები	15.6%	10.1%	5.8%
დისტანციური არხები	84.4%	89.9%	94.2%

ასევე გაიზარდა ინტერნეტ და მობაილ ბანკის აქტიური მომხმარებლების წილი ბანკის აქტიურ მომხმარებლებში.

ჯამურად შესრულებული ტრანზაქციების რაოდენობა

	2018	2019	2020
ინტერნეტ და მობაილ ბაკის აქტიური მომხმარებლის წილი	20%	26%	29%
ინტერნეტ და მობაილ ბაკით შესრულებული საცალო ტრანზაქციების რაოდენობა	738.617	925.730	1.068.155

პანდემიის დროს საგრძნობლად გაიზარდა ვიდეო ბანკის გამოყენება და მისი როლი, როგორც მომხმარებლების ინფორმირების და მათთვის ტრანზაქციების შესრულების, ასევე საკრედიტო პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის გამო. 2020 წლის მეორე ნახევრიდან სრულად დისტანციური სისტემით, ვიდეო ბანკით ხდება სესხების გაცემა. საკრედიტო ბარათების, ოვერდრაფტების და სამომხმარებლო სესხების განაცხადები და ხელშეკრულებები ფორმდება დისტანციურად ვიდეო ზარის მეშვეობით. ეს პირველი შემთხვევაა რეგიონში, როდესაც საკრედიტო პროდუქტები გაიცემა სრულად დისტანციურად ვიდეო ზარით. ვიდეო ბანკის საკრედიტო პორტფელმა 2020 წლის ბოლოს მიღწია 1.3 მილიონ ლარს, მეოთხე კვარტალში გაიხსნა 200,000 ლარის მოცულობაზე მეტი ანაბარი, ხოლო დეკემბერში გაიცა 500,000 ლარზე მეტი მოცულობის სესხი.





2020 წელს გაცემული სამომხმარებლო სესხების და საკრედიტო ბარათების ჯამური რაოდენობის 24% დაინიცირდა დისტანციურად. ხოლო მეოთხე კვარტალში გაცემული საკრედიტო ბარათების 21% დამტკიცდა ან გაიცა მომხმარებლების ფილიალში ვიზიტის გარეშე - ე.წ. „0 ვიზიტის“ სისტემით.

2020 წელს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-მ რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე შესთავაზა მომხმარებლებს:
განახლდა ინტერნეტ ბანკი, რომლის ფარგლებშიც აქცენტი გაკეთდა მოხმარების სიმარტივეზე და სისტემაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე.
განახლდა ონლაინ საკრედიტო განაცხადები და შესაძლებელი გახდა სესხის და საკრედიტო ბარათებზე ლიმიტების დამტკიცება ფილიალში ვიზიტის გარეშე.
სესხის აღება შესაძლებელი გახდა ვიდეო ზარით. ვიდეო ბანკი „გაიხსნა“ და მომხმარებლები ვიდეო ბანკირს უკვე წინასწარი რეგისტრაციის გარეშე უკავშირდებიან. ასევე დაინერგა სესხის აღების სრულად დისტანციური სისტემა ვიდეო ზარით, რაც ბანკის მომხმარებლებს საშუალებას აძლევს ბანკში ვიზიტის გარეშე შეავსონ საკრედიტო განაცხადი და გააფორმონ ხელშეკრულება. მიიღონ თანხა სრულად დისტანციურად, ფილიალში ვიზიტის გარეშე.

რისკების მართვა

რისკების მართვის სისტემის მდგრადობის მნიშვნელოვანი გამოცდა იყო COVID-19-ით გამოწვეული პანდემია. ბანკმა მოახერხა სწრაფი რეაგირება ყველა ძირითადი მიმართულებით, რათა მომხდარიყო კლიენტებისა და ბანკის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა და უწყვეტი ფუნქციონირება. ეს მიმართულებები მოიცავდა დისტანციური მომსახურების სისტემაზე გადასვლას ბანკის შიგნით და გარეთ, მომსახურების ახალი სახეების დანერგვას, უსაფრთხოების სისტემების გაძლიერებას და რისკების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის სრულყოფას ახალი გამოწვევების საპასუხოდ.

2020 წლის რისკის ძირითადი საზომი მაჩვენებლები

რისკის პოზიცია		2,192 ათ.ლარი
სესხების ავანსები		1,437 ათ.ლარი
3 სტადიის სესხები		2.86%
ჭამური ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი		140%
წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი		123%

რისკების მართვა

ბანკის უფლებამოსილი ორგანოები რისკების შეფასებისა და მართვის პროცესში

რისკების სტრატეგია, რისკ-აპეტიტი, პოლიტიკები, შეფასებისა და მართვის პროცედურები, სხვა პირობები ბანკის დონეზე განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის და სხვა შესაბამისი კომიტეტების (რისკების კომიტეტი (სამეთვალყურეო საბჭოს), საკრედიტო კომიტეტი, აქტივ-პასივების მართვის, რისკ-მენეჯმენტის კომიტეტი) მიერ.

ბანკის უფლებამოსილი ორგანოების მიერ ხორციელდება შემდეგი უფლებამოსილებები:

სამეთვალყურეო საბჭო

- რისკების სახეების მიხედვით ბანკის საერთო პოლიტიკისა და მათი მართვის სტრატეგიული ორიენტირების განსაზღვრა და კოორდინირება;
- ბანკის რისკებისა და კაპიტალის მართვის სტრატეგიის, მათ შორის რისკ-აპეტიტის ჩარჩოს დამტკიცება;
- არსებითი რისკების მართვის სფეროში კოლეგიალური ორგანოების უფლებამოსილებათა განსაზღვრა;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში რისკების მდგომარეობის შესახებ ანგარიშის განხილვა;

რისკების კომიტეტი (სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული)

- ბანკის რისკისა და კაპიტალის მართვის სტრატეგიის წინასწარი განხილვა, მათ შორის რისკის მართვის სფეროში ბანკის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა;
- რეკომენდაციების მომზადება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსთვის ბანკის რისკ-აპეტიტის შესახებ, ასევე ბანკის რისკების სტრატეგიისა და პოლიტიკის ეფექტურობის თაობაზე, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკებისათვის კაპიტალის შენარჩუნებისა და გადანაწილებისთვის;
- რისკის კულტურის მხარდაჭერა;
- ბანკში რისკების მართვის სისტემის ეფექტურობის შეფასება;
- ეფექტური ზომების განხორციელება რისკების შემცირების მიზნით;

დირექტორატი

• რისკების მარეგლამენტირებელი და მეთოდოლოგიური დოკუმენტების (ბანკის პოლიტიკებისა და სტრატეგიული მიმართულებების გარდა) დამტკიცება;
• რისკების მართვის საკითხების დამტკიცება (რომლებიც არ შედიან ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და სხვა უფლებამოსილი ორგანოების კომპეტენციაში);
• თავისი კომპეტენციის ფარგლებში რისკების შესახებ ანგარიშის განხილვა;
აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი
• გადაწყვეტილებების მიღება, საბაზრო რისკების ცალკეული სახეების მარეგულირებელი და მეთოდოლოგიურ საკითხებზე;
• ლიმიტებისა და ორიენტირების დამტკიცება აქტიური და პასიური ოპერაციების მართვის საკითხებზე;
• ლიკვიდობის მართვა და დადგენილი ლიკვიდობის ლიმიტების და ნორმატივების შესრულების კონტროლი;
• პროცენტულ განაკვეთებს, ვალუტის სახეებს და აქტივების განთავსებებისა და მოზიდვის ვადიანობის განსაზღვრა;
• ვალდებულებების, ვადამდელი დაფარვისა სტანდარტულ და ინდივიდუალურ კომისიებს და სხვა კომისიების დაწესება;
• ბანკის აქტივ-პასივებისა და საკუთარი სახსრების მართვის საქმეში დებულებით მინიჭებულ სხვა საქმიანობის განხორციელება;

საკრედიტო კომიტეტი

• საკრედიტო რისკის მატარებელ გარიგებათა ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება;
• ბანკის მიერ აღებულ საკრედიტო რისკებზე ლიმიტების დაწესება;
• მისი კომპეტენციის ფარგლებში საკრედიტო რისკის მქონე სხვა სახის საკითხების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება;

რისკ-მენეჯმენტის კომიტეტი

• რისკისა და კაპიტალის მართვის სტრატეგიის პროექტების მომზადების, ბანკის რისკ-აპეტიტთან დაკავშირებულ მაჩვენებლების და მათი შესრულების მონიტორინგის ორგანიზება და ხელმძღვანელობა;
• რისკის მართვის კუთხით ბანკში ეროვნული ბანკისა და ვეტებე ჯგუფის სტანდარტების მოთხოვნების შესრულების კოორდინაცია და კონტროლი;
• ბანკის საქმიანობისათვის დამახასიათებელი რისკების იდენტიფიცირების შედეგების განხილვა და დამტკიცება;
• რისკების მართვის მეთოდოლოგიების დამტკიცება, გარდა ბანკის სხვა პროფილის კომიტეტებთან დაკავშირებული რისკებისა;
• სტრეს-ტესტირების პროცედურებს დამტკიცება თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
• ბანკის რისკების შესახებ ანგარიშგების შესაბამისი სისტემის მხარდაჭერა;
• რისკის მონაცემთა ბაზისა და IT ინფრასტრუქტურის არქიტექტურის იმ დონეზე შენარჩუნება, რაც უზრუნველყოფს რისკების შესახებ ინფორმაციის სათანადო ხარისხს (სიზუსტე, სისრულე, დროულობა) მოქმედი მარეგულირებელი მოთხოვნების და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად;

რისკების სამმართველო

• ბანკში არსებითი რისკების მართვის სისტემების ეფექტური ფუნქციონირებისა და განვითარების უზრუნველყოფა ჯგუფის სტანდარტებისა და საუკეთესო საბანკო პრაქტიკის შესაბამისად;
• არსებითი რისკების მართვის შიდა მარეგულირებელ–მეთოდოლოგიურ დოკუმენტების შემუშავება საზედამხედველო მოთხოვნების გათვალისწინებით;
• ბანკის არსებითი რისკებში შემავალი ოპერაციების მიხედვით რისკების ანალიზის (მონიტორინგის) ჩატარების უზრუნველყოფა;
• ბანკისა და ჯგუფის მმართველი ორგანოებისათვის არსებითი რისკების თაობაზე ანგარიშგების მომზადება და წარდგენა;

რისკების მართვის სტრატეგია

ბანკის რისკებისა და კაპიტალის მართვას ბანკი ახდენს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული „რისკებისა და კაპიტალის მართვის სტრატეგიისა“ და სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია”-ს რისკ-აპეტიტის საკონტროლო მაჩვენებლების, ასევე ბანკის რისკების გამსაზღვრელი პოლიტიკებისა და დებულებების საფუძველზე.
აღნიშნული დოკუმენტების შესაბამისად, ბანკის რისკებისა და კაპიტალის მართვის სისტემის ძირითად სტრატეგიულ მიზნებს წარმოადგენს შემოსავლების მიუღებლობის / ფინანსური დანაკარგების თავიდან აცილება და მინიმუმამდე შემცირება იმ შესაძლო რისკებისა, რომელსაც ბანკი აწყდება ბაზარზე, სადაც ის საქმიანობს;
გრძელვადიან პერსპექტივაში ბანკის მიზანია ფინანსური სტაბილურობისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა ბანკის განვითარების გრძელვადიანი პროგრამის შესაბამისად.
რისკების მართვა ბანკში ხორციელდება დაცვის სამი ხაზის პრინციპების საფუძველზე:
დაცვის პირველ ხაზს წარმოადგენენ ბანკის ქვედანაყოფები, რომლებსაც საქმიანობის პროცესში შეუძლიათ წარმოქმნან რისკები, არიან რისკის მფლობელები, პასუხს აგებენ ამ რისკების ყოველდღიურ მართაზე (გამოვლენა ყოველდღიურ საქმიანობაში, კლასიფიკაცია, შეფასება,

მინიმიზაციის ღონისძიებების დაგეგმვა, რისკების მართვისა და კონტროლის კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა);
დაცვის მეორე ხაზი ახორციელებს ბანკის ქვედანაყოფების დამოუკიდებელ შეფასებას, დაცვის პირველი ხაზის შეფასებას და შემოწმებას, ახორციელებს მაკოორდინირებელ როლს რისკების მართვის სფეროში. დაცვის მეორე ხაზი შედგება: რისკების მართვის ქვედანაყოფისა და ბანკის მმართველობითი ორგანოსაგან;
დაცვის მესამე ხაზს წარმოადგენს აუდიტი. ბანკის შიდა აუდიტი აკონტროლებს რისკების მართვის საერთო პროცესების ეფექტურობას და შესაბამისობას;
არსებითი რისკები, რომელსაც ბანკი ექვემდებარება თავის საქმიანობაში არის საკრედიტო რისკი, საბაზრო რისკი, ლიკვიდურობის რისკი და საოპერაციო რისკი. გარდა არსებითისა, ბანკის რისკების ჩარჩო აერთიანებს სხვა არაარსებით რისკებს, როგორიცაა სტრატეგიული რისკი, შესაბამისობის რისკი, რეპუტაციის რისკი და სხვა.
ბანკის რისკების მართვა მოიცავს რისკების იდენტიფიცირებას, რისკების შეფასებას და მონიტორინგს, მათი მოცულობის, სტრუქტურის და კონცენტრაციის კონტროლს, რისკების მინიმიზაციისა და შემცირების ღონისძიებებს, რისკების შესახებ რეგულარული ანგარიშგების შედგენას და შესაბამის დონეზე წარდგენა - გამოქვეყნებას, არსებული შიდა, საზედამხედველო და ჯგუფის მოთხოვნებისა და საუკეთესო საბანკო პრაქტიკის შესაბამისად.
ბანკის რისკ-მენეჯმენტის ძირითად პრინციპს წარმოადგენს ბანკის საქმიანობის მართვა რისკის აპეტიტის გათვალისწინებით. ბანკის რისკ-აპეტიტის ჩარჩო გამოიყენება უწყვეტ რეჟიმში ბანკის მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად გრძელვადიან პერსპექტივაში, მათ შორის სტრესულ სიტუაციებში. რისკ-აპეტიტი წარმოადგენს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების სისტემას, რომელიც განსაზღვრავს რისკების აგრეგირებულ დონეს (პორტფელს) და რომლის აღების უნარი და/ან სურვილი აქვს ბანკს განვითარების დასახული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. რისკ-აპეტიტის მაჩვენებლები ინტეგრირებულია ბანკის შიდა პროცესებში. რისკ-აპეტიტს, განსაზღვრავს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო რისკებისა და კაპიტალის მართვის სტრატეგიის შესაბამისად.
რისკ-აპეტიტის შესრულებაზე ბანკის მენეჯმენტი ანგარიშს უდგენს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, ასევე ახდენს სათაო ბანკის ყოველკვარტალურ ინფორმირებას. რისკების მართვის მარეგულირებელ-მეთოდოლოგიური ბაზა ფორმირდება თითოეული არსებითი რისკის ჭრილში.
ბანკის რისკების მართვის სისტემას, როგორც ჯგუფის რისკების მართვის შემადგენელ ნაწილს, აქვს მრავალსაფეხურიანი სტრუქტურა, რომელიც მოიცავს ჯგუფის კონსოლიდირებული რისკების, ასევე ლოკალურ დონეზე რისკების მართვას. რისკების მართვის სისტემა აგებულია რისკის სახეებისა და ბიზნეს-ხაზების ჭრილში (როგორიცაა, კორპორატიული, მცირე და საცალო).
ბანკის რისკების მართვის სისტემის მართვის რგოლებია:

- სამეთვალყურეო საბჭო;
- დირექტორატი;
- პროფილური კოლეგიალური ორგანოები (საკრედიტო, აქტივ-პასივებისა და რისკების მართვის კომიტეტები);
- უფლებამოსილი თანამდებობის პირები და სტრუქტურული ქვედანაყოფები. აღნიშნული მუშა კოლეგიალური ორგანოების სტატუს, საქმიანობის მიმართულებებს და პერსონალურ შემადგენლობას განსაზღვრავს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო.

ბანკში უზრუნველყოფილია რისკების მართვის ფუნქციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ქვედანაყოფების ფუნქციონალური დამოუკიდებლობა. ბანკის რისკების მართვის ორგანიზაციული სისტემის ფარგლებში რისკების მართვის ფუნქცია დაკისრებული აქვს ბანკის რისკების დირექტორს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის წარმოქმნის რისკი ბანკის მიმართ კონტრაგენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, არადროული და არასრული შესრულების შედეგად. საკრედიტო რისკი, რომელსაც ბანკი ექვემდებარება თავისი საქმიანობის პროცესში, განპირობებულია საკრედიტო პორტფელის, ფასიანი ქაღალდების პორტფელის, გარანტიების, აკრედიტივებისა და საკრედიტო ხასიათის მქონე სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებების არსებობით.

უფლებამოსილებათა სისტემა რისკის აღებასთან დაკავშირებით

ბანკის მართვის ორგანოები (აქციონერთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო / დირექტორატი, კომიტეტები) იღებენ გადაწყვეტილებებს საკრედიტო გარიგებებზე ბანკის წესდებითა და ამ ორგანოების დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში.
ბანკის მართვის ორგანოებს შეუძლიათ საკრედიტო რისკის მატარებელ ოპერაციებზე გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებათა დელეგირება.

რისკების შეფასება

ბანკის მიერ გამოყენებულ საკრედიტო რისკის შეფასების ძირითად მეთოდებს მიეკუთვნება კლიენტების კრედიტუნარიანობის დონის განსაზღვრის მეთოდოლოგია საფინანსო და არა საფინანსო მაჩვენებლების ანალიზისა და ექსპერტული შეფასების შედეგად.
ბანკი საკრედიტო რისკის შეფასებისას იყენებს უნივერსალურ მიდგომებს / სტანდარტებს, რომლებიც გულისხმობენ:
კონტრაგენტების კრედიტუნარიანობის შეფასებას შიდა რეიტინგული და სკორინგული მოდელების გამოყენებით შესაბამისი მეთოდიკების საფუძველზე. კლიენტის მიმართ ინდივიდუალური მიდგომის გამოყენების დროს ტარდება კლიენტის კომპლექსური შეფასება, როდესაც გარიგების მიხედვით საკრედიტო რისკი მეტწილად განისაზღვრება კლიენტის საერთო კრედიტუნარიანობით და ნაკლებად არის დამოკიდებული კლიენტის მიერ მოთხოვნილი საკრედიტო პროდუქტის პარამეტრებზე.

რისკის შეზღუდვისა და შემცირების მეთოდები

საკრედიტო რისკის შეზღუდვისა და საკრედიტო რისკის დონის კონტროლის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს საკრედიტო ლიმიტების სისტემა. ლიმიტის სახეებია: ლიმიტები საკრედიტო პორტფელისა და ცალკეული სეგმენტების მიხედვით; კონკრეტული კლიენტის (დაკავშირებული კლიენტების ჯგუფის) მიმართ; საკრედიტო რისკების კონცენტრაციის ლიმიტები (ქვეყნების, დარგების, მსხვილი კონტრაგენტების, საკრედიტო პროდუქტების მიხედვით); საკრედიტო–სადეპოზიტო ლიმიტები საკრედიტო ორგანიზაციების მიმართ (მათ შორის, სუბლიმიტები); სხვა ლიმიტები, რომლებიც დაწესებულია ჯგუფისა და ბანკის უფლებამოსილი ორგანოების მიერ.

უზრუნველყოფის არსებობა, რომელიც პასუხობს ბანკის მოთხოვნებს და მისი საკმარისობა გაითვალისწინება საკრედიტო გარიგებათა ღირებულების პირობების განსაზღვრისას, ასევე საკრედიტო გარიგების მიხედვით გადაწყვეტილების მიღებისას.

საგირავნო გარიგების ექსპერტიზის ჩატარებისას ბანკში განისაზღვრება უზრუნველყოფის საგნის საბაზრო და საგირავნო ღირებულება.

მონიტორინგის პროცედურები

ბანკში ხორციელდება საკრედიტო პორტფელის მდგომარეობის მონიტორინგი დაწესებული საკონტროლო პორტფელური ლიმიტების (შეზღუდვების) დაცვის მიზნით, ასევე რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების პროცედურების ფარგლებში.

კორპორატიული დაკრედიტების სეგმენტში საკრედიტო რისკის დონის მონიტორინგის მიზნით წესდება ბანკის რისკ-აპეტიტის მეტრიკები და საკონტროლო მნიშვნელობები.

საცალო დაკრედიტებაში, ასევე ხორციელდება რისკის დონისა და საცალო საკრედიტო პორტფელის შემოსავლიანობას შორის ბალანსის მონიტორინგი.

შიდა ანგარიშგება

ბანკის ფინანსური მდგომარეობისა და რისკის მართვის სისტემის შესახებ აქციონერებს, კრედიტორებს და სხვა დაინტერესებული მხარეებს ინფორმირების მიზნით, ბანკი რეგულარულად ახდენს გარე ანგარიშგების მომზადებას ფასს-ის სტანდარტების შესაბამისად, მათ შორის საკრედიტო რისკების მართვის საკითხების ჩათვლით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკის ქვეშ მოიაზრება ბანკის ფინანსური შედეგების გაუარესების რისკი აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების (მოთხოვნების/ვალდებულებების) არახელსაყრელი ცვლილების შედეგად საბაზრო მაჩვენებლების-რისკ ფაქტორების გავლენის გამო (როგორიცაა სავალუტო კურსები, საპროცენტო განაკვეთები, საკრედიტო სპრედები, აქციებისა და საფონდო ინდექსების კოტირებები და სხვა). ბანკის მიერ აღებული საბაზრო რისკების ხასიათიდან და მათი მართვის მიდგომებიდან გამომდინარე, ბანკის ოპერაციები იყოფა სავაჭრო წიგნის ან საბანკო წიგნის ოპერაციებად.

ბანკის ორგანოებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების როლი და უფლებამოსილებები

საბაზრო რისკების მართვის ნაწილში მთავარ ფუნქციებს ახორციელებს აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი.

საბაზრო რისკების ოპერაციებს წარმართავს ბანკის ხაზინა, რომელიც ახორციელებს სტრუქტურული და მთლიანი ღია სავალუტო პოზიციის მართვას და, ღია სავალუტო პოზიციის ნორმატიული/საზედამხედველო ლიმიტების კონტროლს; მართავს ბანკის პროცენტულ რისკს და ასრულებს სხვა ფუნქციებს, რომელიც გამომდინარეობს საბაზრო რისკების მართვის ამოცანებიდან, ბანკის მიერ ამ სფეროში მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად.

რისკების ქვედანაყოფი, შეიმუშავებს საბაზრო რისკების შეფასების მეთოდოლოგიას; ამზადებს წინადადებებს საბაზრო რისკების მართვის საკითხებზე; ახორციელებს კონტროლს დაწესებული საკონტროლო მაჩვენებლების, ცალკეული ლიმიტების დაცვაზე.

რისკის შეფასების მეთოდები

საბაზრო რისკების შეფასების მეთოდოლოგიას ამტკიცებს აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი.

საბაზრო რისკების შეფასება ხორციელდება შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

სავაჭრო წიგნის საბაზრო რისკის შეფასება;

პროცენტის ცვლილების მიმართ მგძნობიარე საბანკო წიგნის ოპერაციების მიხედვით საპროცენტო რისკის შეფასება;

სავალუტო კურსის ცვლილების მიმართ მგძნობიარე საბანკო წიგნის ოპერაციების მიხედვით სავალუტო რისკის შეფასება.

რისკების შეზღუდვისა და შემცირების მეთოდები

ბანკის სავაჭრო წიგნის საბაზრო რისკის მართვის მიზნით, აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება დაწესდეს ლიმიტები და გამაფრთხილებელი ორიენტირები (მათ შორის, რისკ-აპეტიტის ფარგლებში).

საბანკო წიგნის სავალუტო რისკის მართვას ბანკი ახდენს მიღებული მარეგულირებელი და მეთოდოლოგიური დოკუმენტების საფუძველზე, უზრუნველყოფს რა აქტივებისა და ვალდებულებების შესაბამისობას ვალუტების ჭრილში და ღია სავალუტო პოზიციის დაწესებული შეზღუდვების ჩარჩოში მოქცევას, მათ შორის რისკ-აპეტიტის, ღია სავალუტო პოზიციის საზედამხედველო ლიმიტების ნაწილში. სავალუტო რისკების მართვის მიზნით წესდება ლიმიტები და რიგი მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს ბანკის სავალუტო რისკის დონეს.

მონიტორინგის პროცედურები

აღებული საბაზრო რისკის დონის მონიტორინგი ხორციელდება სალიმიტო სისტემის მეშვეობით. საპროცენტო რისკის დასაფარად საჭირო კაპიტალის დაწესებული ლიმიტის კონტროლს ახორციელებს რისკების ქვედანაყოფი.

რისკის მიხედვით შიდა ანგარიშგება

ბანკის საბაზრო რისკების მდგომარეობის შესახებ ანგარიშებს ამზადებს რისკების მართვის ქვედანაყოფი და ხაზინა იმ პერიოდულობით, რომელიც განსაზღვრულია ბანკის მარეგულირებელ და მეთოდურ დოკუმენტებში. აღნიშნული ანგარიშგებების შემადგენლობაში შედის მონაცემები საბაზრო რისკის ლიმიტების გამოყენებაზე, ლიმიტების ათვისებისა და გადაჭარბებაზე და სხვა რელევანტური მონაცემები.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის ბანკის მიერ საკუთარი ვალდებულებების სრულად და/ან დროულად შესრულების შესაძლებლობის არ ქონის გამო ზარალის წარმოქმნის რისკი.
ლიკვიდობის რისკის მართვა წარმოადგენს ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც მიმართულია ბანკის მიმდინარე გადახდისუნარიანობის შესანარჩუნებლად ლიკვიდობის რისკის დონისა და ოპერაციების რენტაბელობის ოპტიმალური თანაფარდობის უზრუნველყოფის პირობებში.

რისკის მართვის სფეროში კოლეგიალური ორგანოებისა და ქვედანაყოფების ფუნქციები

ლიკვიდობის მართვის პროცესში ბანკის კოლეგიალური ორგანოებსა და სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის ფუნქციები და მოვალეობები ნაწილდება ბანკის დირექტორატის, აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის, ხაზინის, რისკებისა და ანგარიშგების ქვედანაყოფებს შორის.

ლიკვიდობის რისკის მართვის პროცედურა

ლიკვიდობის რისკის გამოვლენისა და მონიტორინგის პროცედურა მოიცავს ღონისძიებათა კომპლექს, რომლებიც მიმართულია ლიკვიდობის შეუფერხებელი მართვისა და ლიკვიდობის რისკის სასურველ დონეზე შენარჩუნებისაკენ.
ლიკვიდობის რისკის შეზღუდვის პროცედურა მოიცავს ლიკვიდობის შიდა ნორმატივების, ვითიბის ჯგუფის მიერ ლიმიტების და შეზღუდვების დადგენას, აგრეთვე ლიკვიდობის კრიზისის პირობებში სამოქმედო გეგმის შემუშავებას და მისი რეალიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.
ლიკვიდობის რისკის შეზღუდვისათვის დგინდება ნორმატივები/ლიმიტები ლიკვიდობის უკმარისობის და ჭარბი ლიკვიდობის რისკისთვის, ასევე კონცენტრაციის რისკისთვის.
ლიკვიდობის რისკის შეფასების შედეგები გამოიყენება კლიენტების დავალებით მიმდინარე გადახდების განსახორციელებლად და აღებული ვალდებულებების შესასრულებლად ფულადი სახსრების საკმარისობის კონტროლისათვის; აგრეთვე ბანკის აქტივების პორტფელის გეგმური ზრდის შესაძლებლობის განსაზღვრისათვის.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი არის ბანკის ზარალის რისკი, რომელიც გამოწვეულია არაადეკვატური ან ხარვეზის მქონე შიდა პროცესებით და სისტემებით, პერსონალის მიერ მათი დარღვევებით ან გარე ფაქტორების ზემოქმედებით.
მოცემული განმარტება მოიცავს სამართლებრივ რისკს, მაგრამ გამორიცხავს სტრატეგიულ და რეპუტაციის რისკებს.
საოპერაციო რისკი ახასიათებს ყველა პროდუქტს, საქმიანობის მიმართულებას, პროცესებს და სისტემებს და ამიტომ საოპერაციო რისკის ეფექტური მართვა წარმოადგენს ბანკის საოპერაციო რისკების მართვის პროგრამის ერთ-ერთ ფუნდამენტურ შემადგენელს.

საოპერაციო რისკების მართვის ორგანიზაციული სისტემა

საოპერაციო რისკების ეფექტური მართვა და კონტროლი ხელს უწყობს ბანკის ბიზნეს-მიზნების მიღწევას. საოპერაციო რისკების მართვის სისტემა აუცილებელია ზარალის აცილებისა და მინიმიზაციისათვის, რომელიც შეიძლება მიადგეს ბანკს საოპერაციო რისკების რეალიზაციის შედეგად.
საოპერაციო რისკების მართვაში ბანკის მიზნებს წარმოადგენს საოპერაციო რისკების მისაღები დონის გამოვლენა, შეფასება და განსაზღვრა, საოპერაციო რისკების მისაღები დონის მხარდასაჭერად დროული ზომების რეალიზაციის უზრუნველყოფა, საოპერაციო რისკების მოვლენების რეალიზაციიდან ბანკის ფინანსური შედეგების წარმოქმნის ალბათობის შემცირება, კონტროლის ეფექტურობის ამაღლება.
რისკის მოვლენის შესახებ მონაცემების შეკრების პროცესის ძირითადი ეტაპებია: რისკის მოვლენის გამოვლენა (იდენტიფიცირება), კლასიფიკაციის ჩატარება სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით, რისკის შემთხვევის წარმოქმნის მიზეზების ანალიზი და შედეგების შეფასება; რისკის მოვლენის და მასთან დაკავშირებული შედეგების რეგისტრაცია, რედაქტირება და შეთანხმება, გამოვლენილი რისკის მოვლენის შესახებ მონაცემების აქტუალიზაცია; რისკის მოვლენის შედეგების დარეგულირების ღონისძიებათა გეგმების შემუშავება და მომავალში რისკის მოვლენის წარმოქმნის რისკის შემცირება. რისკის მოვლენის და მასთან დაკავშირებული შედეგების შესახებ ინფორმაციის შეკრება ბანკში ხორციელდება მუდმივად და მოიცავს საქმიანობის ყველა მიმართულებას, ოპერაციას, პროცესს და ბანკის ცალკეულ პროდუქტებს.

შესაბამისობის რისკი

რისკის აღებასთან დაკავშირებული ბანკის ორგანოებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების პასუხისმგებლობა და უფლებამოსილებები

საოპერაციო რისკები ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად საოპერაციო რისკების მართვის პროცესის მონაწილეთა ფუნქციები და პასუხისმგებლობა ნაწილდება დაცვის სამი ხაზის შესაბამისად.

რისკების შეფასების, კაპიტალზე მოთხოვნისა და სტრეს-ტესტირების მეთოდები

ბანკში გამოიყენება საოპერაციო რისკების შეფასების / გაზომვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინსტრუმენტები. ბანკში საოპერაციო რისკების გამოვლენისა და შეფასების ძირითად მეთოდებს წარმოადგენს: საოპერაციო რისკების მოვლენების/ შემთხვევების შესახებ ცნობების შეკრება; საოპერაციო რისკების ძირითადი ინდიკატორების (KRI) მონიტორინგი, საოპერაციო რისკების თვითშეფასება, საოპერაციო რისკების სცენარული ანალიზი.

რისკების შეზღუდვისა და შემცირების მეთოდები

საოპერაციო რისკების დონის კონტროლის მიზნით ბანკში გამოიყენება მიდგომები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან მოხდეს ბანკის ორგანოების, ქვედანაყოფებისა და მუშაკების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის განაწილება, მათი უფლებამოსილების ლიმიტირება, გადაწყვეტილებების კოლეგიალურად მიღება, ორმაგი კონტროლის მექანიზმების პრინციპების გამოყენება და სხვა.
საოპერაციო რისკებზე რეაგირება საფინანსო და არასაფინანსო შედეგების ზემოქმედების ოპტიმიზაციის ფარგლებში, გულისხმობს რისკის მინიმიზაციას, რისკის აღებას და რისკის გადაცემას (რისკის დაზღვევა).
საოპერაციო რისკების მართვის ეფექტურობის უზრუნველყოფისათვის ხორციელდება სტრატეგიული ამოცანების რეგულარული გადასინჯვა, რეგულარული ანგარიშგების მომზადება, რისკების შეფასება, რისკ-აპეტიტის მაჩვენებლების კონტროლი.

რისკ-აპეტიტი

საოპერაციო რისკების ნაწილში რისკ-აპეტიტი შეიძლება განსაზღვრული იქნას როგორც დანაკარგების ოდენობა, რომელიც ბანკი მზად არის მიიღოს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენის მქონე ძირითადი ფაქტორების შესაბამისად. ბანკისათვის რისკ-აპეტიტის რაოდენობრივ მაჩვენებელს განსაზღვრავს სათაო ბანკის რისკების კომიტეტი.

სცენარული ანალიზი

სცენარული ანალიზი მოიცავს რისკის მოვლენების სცენარების იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომლებმაც შეიძლება არსებითი გავლენა იქონიონ ბანკის საქმიანობასა და ფინანსურ შედეგებზე. სცენარული ანალიზი ტარდება ჯგუფის სავალდებულო სცენარებით.
სცენარული ანალიზის მიზანია გამოავლინოს ბანკის საოპერაციო რისკების მიმართ პოტენციური დაქვემდებარების დონე, მოსალოდნელი ზარალის (შედეგების) ხდომილების ალბათობის შეფასება.

საოპერაციო რისკების შესახებ ანგარიშგება

საოპერაციო რისკების შესახებ ანგარიშგება წარმოადგენს საოპერაციო რისკების მართვის პროცესის შემადგენელ ნაწილს და უზრუნველყოფს შესაბამისი მმართველი ორგანოების მუდმივ და თავისდროულ ინფორმირებას გადაწყვეტილებების მისაღებად. ამ შემთხვევაში საოპერაციო რისკების შესახებ ანგარიშგება უზრუნველყოფს რისკის გამჭირვალობას და საოპერაციო რისკების მართვას აქცევს ყოველდღიურ უწყვეტ პროცესად.
საოპერაციო რისკების თაობაზე ბანკი ახდენს სებ-ის ყოველთვიურ ინფორმირებას დადგენილი ფორმითა და წესით. გარდა ამისა, ყოველწლიურად ხდება წლის მანძილზე რეალიზებული დანაკარგების დაზუსტება ბიზნესის, საოპერაციო რისკის კატეგორიების მიხედვით.
საოპერაციო რისკების შესახებ შიდა ანგარიშგება წარმოებს რისკების შესახებ ბანკის რეგულარული ანგარიშგების ფარგლებში, ასევე ვეტებე-ს ჯგუფის წინაშე ანგარიშგების ფორმით და ვადებში, შიდა ნორმატიულ-მეთოდოლოგიური დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად.
განხორციელდა კონტროლის პროცედურების გაუმჯობესება, შემუშავდა ახალი ტესტები და მოხდა მათი ფართო გამოყენება. პანდემიასთან დაკავშირებით გაუმჯობესდა C&RA გეგმები და სცენარები, ასევე პერიოდულად ხორციელდება თანამშრომელთა ტრენინგი ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში.

ბიზნეს უწყვეტობის გეგმა (BCP)

ბანკს გააჩნია თავისი მასშტაბის შესაბამისი ფორმალიზებული ბიზნეს უწყვეტობის გეგმა რომელიც შედგება ბიზნეს უწყვეტობის პოლიტიკისა და კრიზისის მართვის ინსტრუქციისგან.
ბიზნეს უწყვეტობის მართვა მოიცავს სტანდარტებისა და პროცედურების ერთობლიობას რომელიც მიმართულია საბანკო ბიზნეს პროცესების შენარჩუნების, მათი დროული აღდგენის და უმოკლეს ვადებში აღნიშნული პროცესების ჩვეულ რეჟიმში დაბრუნებისკენ, რათა მინიმუმადე იქნეს დაყვანილი მატერილური ზარალი, თავიდან იქნეს აცილებული როგორც ბაზრის წილის დაკარგვის, ბიზნესის დაკარგვის, რეპუტაციის შელახვის და სამართლებრივი პასუხისმგებლობების რისკები.

შესაბამისობის რისკის მართვა მოიცავს საკანონმდებლო და რეგულაციური სანქციების, ფინანსური დანაკარგების, ან ბანკის რეპუტაციის დაკარგვის რისკის მართვას, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს კანონმდებლობის, წესებისა და სტანდარტების შეუსრულებლობამ.

შესაბამისობის რისკის მართვას და შესაბამისობის სისტემის აგებას ახორციელებს ბანკის სტრუქტურული ერთეული - შესაბამისობის კონტროლისა და ფინანსური მონიტორინგის სამმართველო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და ვითიბი ჯგუფის რეკომენდაციების გათვალისწინებით. შესაბამისობის სტრუქტურული ქვედანაყოფი დამოუკიდებელია ბანკის ნებისმიერი სხვა სტრუქტურისგან.

შესაბამისობის კონტროლის სამსახურის საქმიანობას ბანკში არეგულირებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული „შესაბამისობის პოლიტიკა“, დირექტორატის მიერ დამტკიცებული „შესაბამისობის რისკების მართვის შესახებ“ დებულება, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის დებულება და სხვა.
ბანკში შესაბამისობის სისტემის ეფექტური ფუნქციონირების ძირითადი პრინციპებია:
- დამოუკიდებლობის პრინციპი – შესაბამისობის დამოუკიდებელი სტრუქტურული ქვედანაყოფის არსებობა, რომელიც პასუხს აგებს ბანკში შესაბამისობის რისკების მართვის კოორდინაციაზე;
- რესურსების ადეკვატურობის პრინციპი – შესაბამისობის სისტემის უზრუნველყოფა საკმარისი და შესაბამისი რესურსებით, მისი ეფექტური ფუნქციონირებისთვის.

შესაბამისობის კონტროლის და ფინანსური მონიტორინგის სამმართველო (შესაბამისობის კონტროლის სამსახური)

- ხელს უწყობს შესაბამისობის რისკების მართვის ეფექტური სისტემის შექმნას;
- შეიმუშავებს შესაბამისობის რიკების მართვასთან დაკავშირებით ძირითად მოთხოვნებს;
- მონიტორინგს უწევს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო ბრძოლის პოლიტიკის მოთხოვნების განხორციელებას;
- უზრუნველყოფს მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან ბანკზე ზემოქმედების რისკის, ბანკის რეპუტაციის დაკარგვის ან ბანკის ფინანსური დანაკარგების რისკების მართვის ეფექტურ ფუნქციონირებას, რომელიც/რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს კანონმდებლობის, წესებისა და სტანდარტების შეუსრულებლობამ (შესაბამისობის რისკები).
- აანალიზებს ბანკის საქმიანობის მიმართულებებს, რომლისათვის დამახასიათებელია მაღალი შესაბამისობის რისკები;
- ახორციელებს შესაბამისობის რისკების მიმდინარე მონიტორინგს და კონტროლს და ბანკის მმართველობით/კოლეგიალურ ორგანოებს წარუდგენს რეკომენდაციებს ამგვარი კონტროლის შედეგად გამოვლენილი შესაბამისობის რისკების მართვის თაობაზე.
- ამზადებს და წარუდგენს ბანკისა და ვეტებე ჯგუფის მმართველობით ორგანოების შესაბამისობის რისკების თაობაზე ანგარიშგებებს, ასევე სხვა ინფორმაციისა და დოკუმენტებისა, ამ ორგანოების მოთხოვნის შესაბამისად;
- აანალიზებს იმ ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება გაზარდოს შესაბამისობის რისკი და რაოდენობრივი გავლენა იქონიოს ბანკის მოგება-ზარალსა და კაპიტალზე, როგორიცაა ბანკის ბიზნესსაქმიანობა, ბიზნეს საქმიანობასთან და ეთიკურ სტანდარტებთან შეუსაბამობების მოცულობა და მნიშვნელობა, სასამართლო დავებისა და კლიენტების საჩივრების/პრეტენზიების რაოდენობა და მნიშვნელობა.

შესაბამისობის რისკების მართვა

შესაბამისობის რისკების მართვის მიზნით, შესაბამისობის კონტროლისა და ფინანსური მონიტორინგის სამმართველო ახდენს:
პოტენციური და რეალიზებული შესაბამისობის რისკების იდენტიფიცირებას;
შესაბამისობის რისკების კლასიფიცირებას და შეფასებას;
გამოვლენილი შესაბამისობის რისკების მართვის ღონისძიებების შემუშავებას და დანერგვას;
გამოვლენილი შესაბამისობის რისკების შემცირებისკენ მიმართული ზომების დანერგვისა და ეფექტურობის მონიტორინგს, მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარებას (აუცილებლობის შემთხვევაში).
ბანკის მიერ ბაზარზე ქცევის სათანადო სტანდარტების (ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების) დაცვას, მუდმივ მონიტორინგსა და შეფასებას;
ინტერესთა კონფლიქტების მართვას;
ბანკის შესაბამის სტრუქტურებთან ერთად იკვლევს და აანალიზებს იმ ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება გაზარდოს შესაბამისობის რისკი და რაოდენობრივი გავლენა იქონიოს ბანკის მოგება-ზარალსა და კაპიტალზე.
„შესაბამისობის პოლიტიკა“ და „შესაბამისობის რისკების მართვის შესახებ“ დებულება განსაზღვრავს შესაბამისობის სისტემაში ჩართული მმართველობითი/კოლეგიალური ორგანოებისა და სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციას.

შესაბამისობის რისკის მართვის სისტემის ორგანიზება

შესაბამისობის რისკის მართვის სისტემის ძირითადი ამოცანებია:
• შესაბამისობის რისკის ფაქტორების (წყაროების) იდენტიფიცირება;
• შესაბამისობის რისკის კონცენტრაციის დადგენა და რეგულირება ბანკის საქმიანობის, ოპერაციებისა და ქვედანაყოფების მიხედვით;

• შესაბამისობის რისკის რაოდენობრივი/ხარისხობრივი შეფასება, შესაბამისობის რისკის ბანკის ფინანსურ მდგრადობაზე და საქმიანობის შედეგებზე მოქმედების ანალიზი და კონტროლი.
• შესაბამისობის რისკის ნეიტრალიზაციის ან დონის შემცირების მეთოდის შემუშავება, რეალიზება და ეფექტიანობის შეფასება;
• შესაბამისობის რისკის მონიტორინგი და კონტროლი, ბანკის მმართველობითი/კოლეგიალური ორგანოების და ქვედანაყოფების ინფორმირება შესაბამისობის რისკის მართვისა და კონტროლის აუცილებლობის შესახებ.

შესაბამისობის რისკების მეთოდოლოგიის შესაბამისად, განსაზღვრულია რისკის ფაქტორები და მათი დეფინიცია და კლასიფიკაცია.
შესაბამისობის რისკების შესაფასებლად გამოიყენება მიდგომა, რომელიც გულისხმობს ორი ცვლადის კომბინაციას: რისკის შემთხვევის დადგომის ალბათობას და დანაკარგის ოდენობას.
შესაბამისობის რისკის მართვის მეთოდები:
• რისკის თავიდან აცილება იმ საქმიანობის შეწყვეტით, რომელიც გენერირებს რისკს, ამგვარი საქმიანობის შესასრულებლად გარე ორგანიზაციებისთვის გადაცემით (აუტსორსინგი);
• რისკის რეალიზაციის ალბათობის შემცირება შიდა კონტროლის დანერგვის/სრულყოფის მეშვეობით გზით;
• რისკის ზემოქმედების შემცირება რისკების დაზღვევის მეშვეობით და/ან დამატებითი/სარეზერვო კაპიტალის ხარჯზე;
• ნარჩენი რისკების შენარჩუნება შესაძლო დანაკარგების დაფინანსების გზით,
მ.შ. დამატებითი/სარეზერვო კაპიტალის ხარჯზე;
• რისკის გარკვეული დონის მიღება, როგორც ბიზნეს პროცესის ბუნებრივი თანმდევი ნაწილისა;

შესაბამისობის რისკების მონიტორინგი და კონტროლი
შესაბამისობის რისკების მონიტორინგი მიზნად ისახავს შესაბამისობის რისკის მატარებელი დარღვევების (ნაკლოვანებების) აღმოფხვრას და შესაბამისობის რისკების მართვის მიზნით პასუხისმგებელი სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ ყოვლისმომცველი და დროული ზომების მიღებას.
შემოწმების შედეგების მიხედვით, რომელიც განხორციელებულია გარე და შიდა აუდიტის, საზედამხედველო ორგანოების, შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ, ბანკი განიხილავს მათი შენიშვნებს და რეკომენდაციებს და ადგენს მათი აღმოფხვრის გეგმებს და იღებს ზომებს სამომავლოდ მათი დაუშვებლობისათვის.
ბანკში დანერგილია ბანკის საქმიანობის/ბიზნეს მიმართულებების შესაბამისობის რისკების თვითშეფასების, ასევე პოტენციური/რეალიზებული რისკების შეფასების სისტემა. ხდება რისკის წარმოქმნის ძირითადი ინდიკატორების განსაზღვრა და მათი ანალიზი შემდგომი პრევენციის მიზნით. ყოველ კვარტალურად/ყოველწლიურად ხორციელდება შესაბამისობის რისკის დონის მონიტორინგი/მაკორექტირებელი ღონისძიებების დაგეგმვა და მართვა. მოქმედებს ანგარიშგების სისტემა.
ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენებით ბანკი მუდმივად ახდენს რეალიზებული/პოტენციური შესაბამისობის რისკების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, გაანალიზებას, მიტიგაციის ღონისძიებების გამოყენებას (საჭიროების შემთხვევაში) და რისკის დონის განსაზღვრას.
ასევე, რისკის დონის მონიტორინგს წინა პერიოდებთან მიმართებაში. 2020 წელს რეალიზებული/პოტენციური შესაბამისობის რისკის დონე ბანკში იყო დაბალი, ისევე როგორც 2019 წლის რისკის დონის მაჩვენებლები.
ბანკი მუდმივად ზრუნავს ახალი საკანონმდებლო რეგულაციების დროულ დანერგვაზე, ასევე არსებული პროცესების, პოლიტიკებისა და დანერგილი მიდგომების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება ბანკში შესაბამისობის რისკის დონის დაბალი მაჩვენებლის შენარჩუნებაზე.

ადამიანის უფლებების დაცვა

ბანკი აღიარებს და ყოველმხრივ ემხრობა საქართველოს კონსტიტუციითა და „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით“ განმტკიცებულ ადამიანის უფლებებს.
ბანკი პატივს სცემს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.
ადამიანის უფლებების დაცვა ბანკისთვის უმნიშვნელოვანეს ფასეულობას წარმოადგენს.
ბანკის თითოეული თანამშრომელი - პიროვნებაა, თავისი ნიჭით, უნარებითა და ინტერესებით. ბანკი ეხმარება თანამშრომლებს, აღმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი. ბანკის თანამშრომლები სანდო, ენერგიული და გახსნილი ადამიანები არიან. ბანკი ქმნის წარმატებულ გუნდს, რომელიც მიისწრაფის განვითარებისა და ეფექტიანი ერთობლივი მუშაობისკენ.

ბანკი ზრუნავს და პატივს სცემს თითოეულ ადამიანს, არ უშვებს უსაფუძვლო პრივილეგიებისა და უპირატესობის მინიჭებას დასაქმების, დაწინაურებისა ან/და მატერიალური წახალისების გაცემისას.
ბანკს შემუშავებული აქვს ეთიკის კოდექსი, რომელიც ასევე განამტკიცებს ზემოხსენებულ მიდგომებს. ბანკის შესაბამისობის კონტროლის სამსახური მუდმივ მონიტორინგს უწევს ეთიკის პრინციპების დაცვას, როგორც ბანკის, ასევე მისი თანამშრომლების მხრიდან. აანალიზებს იმ ფაქტორებს, რომელსაც შეუძლია გაზარდოს შესაბამისობის რისკი და გავლენა მოახდინოს ბანკის მხრიდან ეთიკურ სტანდარტებთან შეუსაბამობების მოცულობასა და მნიშვნელობაზე.

ბანკში დანერგილია ცხელი ხაზის სისტემა. ნებისმიერ თანამშრომელს შეუძლია გამოიყენოს აღნიშნული სისტემა და მიმართოს შესაბამისობის კონტროლის სამსახურს დარღვევებისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თაობაზე. განცხადების წარმომდგენის სურვილით, მისი ვინაობის ანონიმურობა შენარჩუნებულია.
ბანკი ზრუნავს არა მხოლოდ თანამშრომლების უფლებების დაცვაზე, არამედ მომხმარებელთა უფლებებზეც. ამ მიზნით ბანკში შემუშავებულია შესაბამისი პოლიტიკები, რომლებიც უზრუნველყოფს მომხმარებელთა პრეტენზიების მიღების, განხილვასა და გადაწყვეტილების მიღების წესს. ბანკის ვებ-გვერდზე შექმნილია პრეტენზიების ონლაინ მიღების არხი. მუდმივად ხდება ბანკში შემოსული პრეტენზიების ანალიზი. აღსანიშნავია, რომ ბანკის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები არ გამოვლენილა არც 2020 წელს და არც წინა წლებში.
ბანკი თანამშრომლებისთვის ყოველწლიურად ატარებს ტრენინგებს ეთიკის საკითხებთან დაკავშირებით. სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებულია ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

ბანკი გმობს კორუფციას და კომერციული მოსყიდვის ნებისმიერ გამოვლინებას, როგორც ბანკის თანამშრომლების მხრიდან, ასევე მესამე პირების მხრიდან ბანკის თანამშრომელთა მისამართით.
ბანკს შემუშავებული აქვს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ბანკის თანამშრომელთა მიერ კორუფციის და კომერციული მოსყიდვის აღსაკვეთად მიმართულ ძირითად პრინციპებს.
ბანკში დანერგილია თანამშრომელთა სწავლების ელექტრონული პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებას კორუფციის და კომერციული მოსყიდვის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით, მათ შორის ახდენს იმ რისკების დემონსტრირებას, რაც შეიძლება მოყვეს კორუფციულ/კომერციულ სქემებში მონაწილეობის მიღებას. აღნიშნულ სწავლებას პერიოდულად (წელიწადში მინიმუმ ერთხელ) სავალდებულოდ გადის ბანკის ყველა თანამშრომელი.
კორუფციის და კომერციული მოსყიდვის წინაღმდეგ ბრძოლის საკითხებს ბანკში კურირებს შესაბამისობის კონტროლის სამსახური, რომელიც მუდმივ მონიტორინგს უწევს კორუფციასთან ბრძოლის საკითხების კოორდინაციას და პროცესების მართვას. ბანკი, არსებობის მანძილზე არ ყოფილა ჩართული კორუფციულ/კომერციული მოსყიდვის სქემებში და აღნიშნულთან დაკავშირებით ბანკის მიმართ არ ყოფილა წარმოდგენილი პრეტენზიები.

ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა

ბანკს შემუშავებული აქვს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შიდა პოლიტიკა, რომელიც შესაბამისობაშია როგორც ადგილობრივ საკანონმდებლო მოთხოვნებთან, ასევე ჯგუფის მოთხოვნებთან და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან.
2020 წელს ამოქმედდა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები „ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესი“ და „ანგარიშვალდებული პირის მიერ გარიგების თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვის, შენახვისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის წარდგენის წესი”. ბანკის შიდა მარეგლამენტირებელი დოკუმენტები და სისტემები/პროცესები მოყვანილია შესაბამისობაში ახალ საკანონმდებლო მოთხოვნებთან.

კორპორაციული მართვა

კორპორაციული მართვის სისტემის განვითარება

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს საქმიანობა ხორციელდება კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის და კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, ამასთან, ბანკი პერიოდულად სრულყოფს მართვას სათანადო სტანდარტების დამკვიდრების გზით.
ბანკის მმართველობითი სტრუქტურა (აქციონერთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი) სრულად შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს და სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების გადანაწილება ხელს უწყობს ორგანოებს შორის ბალანსის დაცვას და ბიუროკრატული მიდგომების შემცირებას ბანკის ყოველდღიურ საქმიანობაში, ამავდროულად ეს ხელს არ უშლის როგორც შიდა, ისე გარე კონტროლის სრულფასოვნად განხორციელებას შესაძლო დარღვევების თავიდან აცილების და რისკების შემცირების მიზნით.
ბანკში ფუნქციონირებს კორპორაციული მდივნის სტრუქტურული ერთეული, რომელიც ხელს უწყობს მმართველ ორგანოებს შორის კოორდინაციას და მათი მუშაობის გაუმჯობესებას.
კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკას შეესაბამება შიდა აუდიტის სამსახურის პირდაპირი დაქვემდებარება აუდიტის კომიტეტისადმი/სამეთვალყურეო საბჭოსადმი. როგორც აღინიშნა კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად ბანკში მოქმედებს აუდიტისა და რისკების კომიტეტები.
ბანკი ყოველწლიურად იწვევს კონკურსის საფუძველზე შერჩეულ გარე აუდიტორულ კომპანიას, რომელიც ახორციელებს ბანკის მთელი საქმიანობის შემოწმებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
ბანკი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და წესით პერიოდულად აქვეყნებს მისი აქციონერების და ფინანსური მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.
ბანკში ყოველწლიურად ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტებისა და მათი წევრების საქმიანობის შეფასება.

აქციონერთა საერთო კრება

უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს აქციონერთა საერთო კრება, რომელსაც სამეთვალყურეო საბჭო სულ მცირე წელიწადში ერთხელ იწვევს. საერთო კრება შეიძლება იყოს როგორც მორიგი, ისე რიგგარეშე. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, თუ ერთი აქციონერი ფლობს აქციათა საერთო რაოდენობის 75%-ზე მეტს, მას შეუძლია მიიღოს ერთპიროვნული გადაწყვეტილება, რომელიც საერთო კრების გადაწყვეტილების ძალის მქონეა.
აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა კაპიტალის გაზრდა ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა, წლიური შედეგების განხილვა და მოგების განაწილება, წესდების დამტკიცება და ა.შ.
2020 წელს ჩატარდა აქციონერთა წლიური საერთო კრება და მიღებულ იქნა აქციონერის, ერთი, ერთპიროვნული გადაწყვეტილება.
სს „ვითიბი ბანკ ჯორჯია”-ს აქციონერთა წლიურ საერთო კრებაზე განხილულ იქნა ბანკის წლიური შედეგები და დივიდენდის განაწილების საკითხი.
აქციონერის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით განხორციელდა სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების შეტანა.
ბანკის აქციათა საერთო რაოდენობის 97 %-ს ფლობს საჯარო სააქციო საზოგადოება „ბანკი ვეტებე“ და, შესაბამისად, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია” წარმოადგენს „ვითიბი ჯგუფის“ წევრ კომპანიას.

აქციონერთა უფლებები

აქციონერები არ არიან პასუხისმგებელნი ბანკის ვალდებულებებზე და ატარებენ ზარალის რისკს, დაკავშირებულს ბანკის საქმიანობასთან, მათი კუთვნილი აქციების ღირებულების ფარგლებში.
ბანკის ყოველი ჩვეულებრივი აქცია ანიჭებს აქციონერს - მის მფლობელს უფლებათა ერთნაირ მოცულობას, ბანკის ჩვეულებრივი აქციის მფლობელს-აქციონერს უფლება აქვს:
1 მიიღოს მონაწილეობა აქციონერთა საერთო კრების მუშაობაში ხმის უფლებით, აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციის ყველა საკითხთან დაკავშირებით.
2 მიიღოს დივიდენდი აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების თანახმად, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.
3 ბანკის ლიკვიდაციის შემდეგ მიიღოს ბანკის ქონების ნაწილი, მის მფლობელობაში არსებული აქციების ღირებულების პროპორციულად, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

სამეთვალყურეო საბჭო

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, კომერციული ბანკის აუცილებელ მმართველობით რგოლს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც, ერთი მხრივ, ზედამხედველობას უწევს აღმასრულებელ ორგანოებს, ხოლო მეორეს მხრივ, უზრუნველყოფს აქციონერთა გადაწყვეტილებების განხორციელებას და ზრუნავს ბანკის სტაბილურობასა და რენტაბელურობაზე.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ინიშნებიან აქციონერთა კრების მიერ. საბჭო შედგება სულ მცირე 5 და არა უმეტეს 21 წევრისაგან, რომელთა უფლებამოსილების ვადა შეადგენს 4 წელს.
სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება იყვნენ ბანკის დირექტორატის წევრები, ამასთან სამეთავალყურეო საბჭოს წევრი არ უნდა ასრულებდეს სხვა აღმასრულებელ ფუნქციებს ბანკში.
სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს. თუ გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული, იმართება ფარული კენჭისყრა, ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში კი თავმჯდომარედ კანდიდატთა შორის უხუცესი წევრი ინიშნება.
სამეთვალყურეო საბჭოს საორგანიზაციო მუშაობას უზრუნველყოფს კორპორატიული მდივანი. წესდების თანახმად შესაძლებელია, რომ საბჭომ გადაწყვეტილება მიიღოს გამოკითხვის გზით, როდესაც საბჭოს წევრი თავის პოზიციას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით აფიქსირებს კენჭისყრის ბიულეტენში და უგზავნის კორპორატიულ მდივანს.
სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს ბანკის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და განვითარების სტრატეგიას. სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება: ბანკის ბიზნეს-გეგმის დამტკიცება, აქციონერთა საერთო კრების მოწვევა, სააღრიცხვო დღის და დღის წესრიგის განსაზღვრა, დირექტორატის წევრების (დირექტორების) დანიშვნა და ა.შ.
2020 წლის განმავლობაში ჩატარდა 9 სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა დაუსწრებელი კენჭისყრით, გამოკითხვის წესით.
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა განსაზღვრული იყო 6 წევრით:
- სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - სერგეი სტეპანოვი;
- სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - ილნარ შაიმარდანოვი;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - იულია კოპიტოვა;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - ასია ზახაროვა;
- სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი - მერაბ კაკულია;
- სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი - გოჩა მაცაბერიძე;

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების განათლება და გამოცდილება

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აირჩევა აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.
მათი განათლება, გამოცდილება და საქმიანი რეპუტაცია სრულად შესაბამება და აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს - სერგეი სტეპანოვს აქვს მიღებული სახელმწიფო უნივერსიტეტის «ეკონომიკის უმაღლესი სკოლა» ეკონომისტის განათლება, ბანკები და საბანკო საქმიანობის სპეციალობით. სერგეი სტეპანოვს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, 2013 წლიდან ხელმძღვანელობს ბანკი ვეტებეს (სსს) შვილობილი კომპანიების კოორდინაციის სამსახურს, იგი იკავებს ვიცე-პრეზიდენტის პოზიციას.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს - ილნარ შაიმარდანოვს აქვს მიღებული ყაზანის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის განათლება, სოციალური სამსახურის სპეციალობით, ასევე აქვს მიღებული რუსეთის მთავრობასთან არსებული ფინანსური უნივერსიტეტის ეკონომისტის განათლება. ილნარ შაიმარდანოვს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, 2014 წლიდან იგი იკავებს ვიცე-პრეზიდენტის პოზიციას ბანკი ვეტებე 24 -ში (სსს).

სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრს - მერაბ კაკულიას აქვს მიღებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლება, ფინანსები და კრედიტის სპეციალობით, ასევე აქვს მიღებული მ.ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, ასევე თბილისის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ს/კ ინსტიტუტის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. მერაბ კაკულიას მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, სს „ვითიბი ბანკ ჯორჯია"-ში 2018 წლიდან იკავებს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის პოზიციას.

სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრს - გოჩა მაცაბერიძეს აქვს მიღებული მოსკოვის კავშირგაბმულობის ელექტრო-ტექნიკური ინსტიტუტის განათლება, ავტომატური ელექტროკავშირის ინჟინერის სპეციალობით, ასევე აქვს მიღებული საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის პოლიტიკური მეცნიერების არასრული კურსი. გოჩა მაცაბერიძეს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, სს „ვითიბი ბანკ ჯორჯია"-ში 2018 წლიდან იკავებს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის პოზიციას.
სამეთვალყურეო საბჭოს წევრს - იულია კოპიტოვას დამთავრებული აქვს სანკტ-პეტერბურგის ფინანსებისა და ეკონომიკისა სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფინანსები და კრედიტის სპეციალობით. იულია კოპიტოვას მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, 2017 წლიდან ხელმძღვანელობს „ბანკ ვეტებეს" (სსს) ანალიზის, კოორდინაციისა და საპროდუქტო განვითარების დეპარტამენტს, იგი იკავებს ვიცე-პრეზიდენტის პოზიციას.
სამეთვალყურეო საბჭოს წევრს - ასია ზახაროვას დამთავრებული აქვს რუსეთის მართვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეროვნული ეკონომიკის სპეციალობით. ასია ზახაროვას მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, 2010 წლიდან მუშაობს ვეტებე ჯგუფში, 2018 წლიდან იგი იკავებს „ბანკ ვეტებეს" (სსს) მმართველობითი დირექტორის პოზიციას.

დირექტორატი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"-ს დირექტორატი წარმოადგენს კოლეგიალურ მმართველობით ორგანოს, რომლის წევრებს (დირექტორებს) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დირექტორატის შემადგენლობა განსაზღვრული იყო 6 წევრით:
- გენერალური დირექტორი - არჩილ კონცელიძე;
- ფინანსური დირექტორი - მამუკა მენთეშაშვილი;
- საცალო ბიზნესის დირექტორი - ვალერიან გაბუნია;
- კორპორატიული ბიზნესის დირექტორი - ვლადიმერ რობაქიძე;
- რისკების დირექტორი - ნიკო ჩხეტიანი;
- საოპერაციო დირექტორი - ირაკლი დოლიძე.

ბანკის დირექტორატის წევრები სრულად აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნებს და კრიტერიუმებს, რაც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია ბანკის ადმინისტრატორებისათვის. დირექტორატის თითოეული წევრი აღჭურვილია წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით, იმის გათვალისწინებით, რომ თუ გარიგების ღირებულება აღემატება 7 მილიონ აშშ დოლარს ან მის ეკვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში, გარიგებაზე ხელმოწერის უფლება აქვს მხოლოდ გენერალურ დირექტორს ან დირექტორატის ნებისმიერ ორ წევრს ერთდროულად.

დირექტორატის მიერ გადაწყვეტილებები მიიღება კოლეგიალურად. დირექტორატის მუშაობის საორგანიზაციო მხარეს ასევე უზრუნველყოფს კორპორატიული მდივანი. ბანკში შემუშავებულია წესი, რომელიც განსაზღვრავს დირექტორატისთვის საკითხების წარდგენის წესს. დირექტორატი გადაწყვეტილებებს იღებს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: შემდგომი ფინანსური წლისათვის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება, ბანკის სათავო ოფისის სტრუქტურული ერთეულების დებულებათა დამტკიცება, ბანკის ფილიალებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების კონტროლი, ბანკის საქმიანობის პროცედურების და ბიზნეს-პროცესების მარეგლამენტირებელი შიდა დოკუმენტების დამტკიცება და ა.შ.

2020 წლის განმავლობაში სულ გაიმართა დირექტორატის 53 სხდომა.

დირექტორატთან არსებული კომიტეტები

საკრედიტო კომიტეტი - შედგება 7 წევრისგან, მათ შორის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები;
აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი - შედგება 8 წევრისგან, მათ შორის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები;
- რისკ-მენეჯმენტის კომიტეტი - შედგება 8 წევრისგან, მათ შორის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები;
- საბიუჯეტო კომიტეტი - შედგება 8 წევრისგან, მათ შორის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები;
- პრობლემური კრედიტების კომიტეტი - შედგება 6 წევრისგან, მათ შორის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები;

დირექტორატის წევრთა განათლება და გამოცდილება

დირექტორატის წევრები ინიშნებიან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით. მათი განათლება, გამოცდილება და საქმიანი რეპუტაცია სრულად შესაბამება და აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
გენერალურ დირექტორს - არჩილ კონცელიძეს აქვს მიღებული საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის განათლება, მანქანათმშენებლობის დარგში, ასევე აქვს მიღებული ამერიკის წმ. ბონავენტურას უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი კორპორატიული ფინანსების განხრით. არჩილ კონცელიძეს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, 2009 წლიდან იგი იკავებს სს „ვითიბი ბანკ ჯორჯია"-ს გენერალური დირექტორის პოზიციას.
ფინანსური დირექტორს - მამუკა მენთეშაშვილს აქვს მიღებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლება, მანქანათმშენებლობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობით, ასევე აქვს მიღებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განათლება საინჟინრო ეკონომიკის სპეციალობით. მამუკა მენთეშაშვილს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, 2009 წლიდან იგი იკავებს სს „ვითიბი ბანკ ჯორჯია"-ს დირექტორის პოზიციას.
საცალო ბიზნესის დირექტორს - ვალერიან გაბუნიას აქვს მიღებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლება, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაცია და მართვის სპეციალობით. ასევე აქვს მიღებული ჩესტერის უნივერსიტეტის ბიზნეს-სკოლის ბიზნესის მაგისტრის ხარისხი. ვალერიან გაბუნია ფლობს კოლუმბიის ბიზნეს სკოლის სერთიფიკატს ბიზნესის სრულყოფაში მენეჯმენტის პროგრამაში მოწინავის (Advanced) სტატუსით. ვალერიან გაბუნიას მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, 2010 წლიდან იგი იკავებს სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" საცალო ბიზნესის დირექტორის პოზიციას.
კორპორატიული ბიზნესის დირექტორს - ვლადიმერ რობაქიძეს აქვს მიღებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლება, საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა და მართვის სპეციალობით. აქვს ასევე მიღებული ამავე უნივერსიტეტის განათლება სამართალმცოდნეობის სპეციალობით. ვლადიმერ რობაქიძეს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, 2011 წლიდან იგი იკავებს სს „ვითიბი ბანკ ჯორჯია"-ს კორპორატიული ბიზნესის დირექტორის პოზიციას.
რისკების დირექტორს - ნიკო ჩხეტიანს აქვს მიღებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლება, ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობით, აქვს მიღებული ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი. ნიკო ჩხეტიანს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, 2008 წლიდან იგი იკავებს სს „ვითიბი ბანკ ჯორჯია"-ს დირექტორის პოზიციას.

საოპერაციო დირექტორს - ირაკლი დოლიძეს აქვს მიღებული ამერიკის ინდიანაპოლისის უნივერსიტეტი განათლება, ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხით. ასევე აქვს მიღებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განათლება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით. ირაკლი დოლიძეს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, 2009 წლიდან იგი იკავებდა სს „ვითიბი ბანკ ჯორჯია"-ს ვიცე-პრეზიდენტის, პერსონალის სამმართველოს უფროსის პოზიციას, ხოლო 2015 წლიდან იკავებს საოპერაციო დირექტორის პოზიციას.

გენერალური დირექტორი

ბანკის გენერალური დირექტორი, რომელიც ინიშნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, ხელძღვანელობის დირექტორატს და ბანკის ყოველდღიურ საქმიანობას. ბანკის გენერალური დირექტორია არჩილ კონცელიძე.

შიდა აუდიტის სამსახური

ბანკის საქმიანობა ექვემდებარება მკაცრ ნორმატიულ რეგულირებას, შესაბამისად, საქმიანობის თითქმის ყველა მიმართულებასთან დაკავშირებით მოქმედებს როგორც საკანონმდებლო, ისე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც აწესებს შესაბამის მოთხოვნებსა და პროცედურებს. ბანკის თითოეული სტრუქტურული ერთეული ვალდებულია, ზუსტად და განუხრელად დაიცვას მის საქმიანობასთან დაკავშირებით არსებული მოთხოვნები. ასეთი მოთხოვნებისა და პროცედურების შესრულებაზე უშუალო კონტროლი ხორციელდება შიდა აუდიტის სამსახურის მიერ, რომელიც წარმოადგენს ბანკის დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს. სამსახურის პერსონალური შემადგენლობა მტკიცდება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, აუდიტის კომიტეტის წარდგენის საფუძველზე. შიდა აუდიტის სამსახური ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს და აუდიტის კომიტეტის წინაშე. სამსახურის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

- ბანკის მენეჯმენტისათვის დახმარების გაწევა ბანკის ეფექტიან ფუნქციონირებაში.
- ბანკის საქმიანობის შესაბამისობის კონტროლის სანდოობის ამაღლება.
- ბანკის აქტივების დაცვის უზრუნველყოფა.
- ბანკის საქმიანობის ეფექტიანობის და შედეგიანობის გაუმჯობესება.

აუდიტის კომიტეტი

საკანონმდებლო მოთხოვნათა გათვალისწინებით და ბანკის საქმიანობის კონტროლის უკეთ განხორციელების მიზნით სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილია აუდიტის კომიტეტი, რომელიც შედგება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან, რომელთა უმრავლესობა წარმოადგენენ დამოუკიდებელ წევრებს. აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე დამოუკიდებელი წევრია. აუდიტის კომიტეტის შემადგენლობას განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭო. აუდიტის კომიტეტი წარმოადგენს შუალედურ რგოლს შიდა აუდიტის სამმართველოსა და სამეთვალყურეო საბჭოს შორის. კომიტეტი სწავლობს აუდიტის დროს გამოვლენილ ხარვეზებს და მათ აღმოსაფხვრელად სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს შესაბამის წინადადებებს. ბანკის აუდიტის კომიტეტი დაკომპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული აუდიტის კომიტეტი შედგებოდა სამეთვალყურეო საბჭოს სამი წევრისგან:

- აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე - გოჩა მაცაბერიძე, სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი;
- აუდიტის კომიტეტის წევრი - მერაბ კაკულია, სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი;
- აუდიტის კომიტეტის წევრი - სერგეი სტეპანოვი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;

2020 წლის განმავლობაში ჩატარდა შიდა აუდიტის კომიტეტის 4 სხდომა, მათ შორის 1 სხდომა აუდიტის კომიტეტის წევრების დასწრებით, 3 სხდომა დაუსწრებელი კენჭისყრით, გამოკითხვის წესით.

აუდიტის კომიტეტის მიერ განხილული ძირითადი საკითხები მოიცავდა შიდა აუდიტის სამმართველოს კვარტალურ და წლიურ გეგმას.

რისკების კომიტეტი

საკანონმდებლო მოთხოვნათა გათვალისწინებით და რისკების მართვის ჩარჩოს ფარგლებში რისკების მონიტორინგის განხორციელების მიზნით სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილია რისკების კომიტეტი, რომელიც შედგება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან, რომელთა უმრავლესობა წარმოადგენენ დამოუკიდებელ წევრებს. რისკების კომიტეტის თავმჯდომარე დამოუკიდებელი წევრია.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული რისკების კომიტეტი შედგებოდა სამეთვალყურეო საბჭოს სამი წევრისგან:

- რისკების კომიტეტის თავმჯდომარე - მერაბ კაკულია, სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი;
- რისკების კომიტეტის წევრი - გოჩა მაცაბერიძე, სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი;
- რისკების კომიტეტის წევრი - ილნარ შაიმარდანოვი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

2020 წელს რისკების კომიტეტის მიერ ჩატარებულ იქნა 8 სხდომა დაუსწრებელი ფორმით.

განხილული საკითხები



არაფინანსური ანგარიშგება

პერსონალი

პერსონალის სტრუქტურა

2020 წლის ბოლოსთვის, ბანკის პერსონალის ფაქტობრივმა რაოდენობამ 1051 შეადგინა, საიდანაც 607 თანამშრომელი დასაქმებული იყო სათაო ოფისში, ხოლო 444 გაყიდვების წერტილებში, მათგან 7 გაყიდვების მობილურ წერტილებში. ბანკის თანამშრომელთა საშუალო წლიურმა რაოდენობამ 1036 შეადგინა. თანამშრომელთა 64% ქალბატონია, ხოლო 36% მამაკაცი.
რაც შეეხება ასაკობრივ განაწილებას:
• 30 წლამდე თანამშრომელთა წილი შეადგენს 32%-ს;
• 30-დან 50 წლამდე თანამშრომელთა წილი 54%-ს;
• 50 წელს გადაცილებულ თანამშრომელთა წილი 14%-ს;

პერსონალის სწავლება

2020 წლის განმავლობაში ორგანიზებული და ჩატარებული იყო 57 ტრენინგი, მათ შორის 36 შიდა ტრენინგი და 21 მომზადებული გარე პროვაიდერების მიერ. 2020 წელს ჯამში ტრენინგი გაიარა 1830 -მა თანამშრომელმა (მათ შორის -ფუნქციური მომზადება გაიარა 763-მა თანამშრომელმა).
ტრენინგ ცენტრი აპრილის თვიდან სრულიად გადავიდა დისტანციურ სწავლების მეთოდზე, სრულფასოვანი დისტანციური სწავლების რეჟიმის დაინერგა როგორც Zoom-ის აპლიკაციით ასევე Microsoft Teams-ის აპლიკაციით, პრაქტიკული მეცადინეობები ხორციელდება Microsoft Teams-ის აპლიკაციით. გამონაკლის შემთხვევებში პრაქტიკული სამუშაოებისთვის ხორციელდებოდა თანამშრომელთა დაბარება ტრენინგ ცენტრში არსებული რეგულაციების სრული დაცვით.
განახლდა დისტანციური სწავლების პორტალი Vmatrix.vtb.com.ge. განახლდდა ინტერფეისი, საძიბო სისტემა, თანამშრომლის გვერდი, დისტანციური კურსები და დაემატა დამატებითი ფუნქციონალები, ვებინარები და რეპორტინგი.
2020 წლის პირველ ნახევარში თანამშრომლებისათვის ჩატარდა დისტანციური ტრენინგები როგორც სათაოს თანამშრომლებისთვის ასევე მთელი ფრონტის თანამშრომლებისთვის. ფრონტის თანამშრომლებისთვის ჩატარდა სამოტივაციო ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 200-მა თანამშრომელმა. უშუალოდ მმართველებისთვის ჩატარდა ორი ტრენინგი „მოლაპარაკებები და თანამშრომელთა მართვა“ და „გაყიდვები და მართვა“. დამატებით სათაოს თანამშრომლებისთვის ასევე ჩატარდა დისტანციური ტრენინგები ბიზნეს-ეფექტურობის უნარების განვითარების ტრენინგები. თანამშრომლები, როგორც სათაოს ასევე ფრონტის, გარდა ადგილობრივი ტრენინგებისა აქტიურად იყვნენ ჩართულები ვითიბი ჯგუფის მიერ შემოთავაზებული დისტანციურ სასწავლო პროგრამებში, აღნიშნული პროგრამები განათვასებულია ჩვენს დისტანციურ სასწავლო პორტალზეც. ამ ეტაპზე დისტანციური სწავლების პორტალზე განთავსებულია 72 ვებინარი, აღნიშნული ვებინარები ხელმისაწვდომია ბანკის ნებისმიერი თანამშრომლისთვის.
დასრულდა მენეჯმენტის ერთწლიანი ლიდერობის პროგრამა (მონაწილეთა რაოდენობა 23 თანამშრომელი).

შეიქმნა ახალი სასწავლო რუქები და შესაბამისი ახალი სასწავლო კურსები. ქოლ-ცენტრისა და ვიდეო ბანკინგის თანამშრომლებისთვის სპეციალურად შედგა შესაბამისი სასწავლო პროგრამები, აღნიშნული პროგრამების განხორციელება დაიწყება 2021 წლის მარტის თვიდან. პანდემიის პერიოდში შეიქმნა მომხმარებელთან ურთიერთობის სტანდარტებისა და გაყიდვების უნარ-ჩვევების დისტანციური კურსი, შესაბამისი დოკუმენტაციისა და თვითშეფასების ტესტის უზრუნველყოფით.

პერსონალის შერჩევა

2020 წლის განმავლობაში, ბანკში მოქმედი პერსონალის შერჩევის პროცედურის საფუძველზე, შიდა საბანკო რესურსებით ჩატარდა 130-მდე კონკურსი ღია ვაკანსიებზე, რომელთა შედეგადაც დაიხურა 110-ზე მეტი ვაკანსია.

სამოტივაციო სისტემა

2019 წელთან შედარებით, 2020 წელს პერსონალის შენახვისთვის აუცილებელი ხარჯების თანაფარდობა თანამშრომელთა საშუალო რაოდენობასთან 8.77 %-ით გაიზარდა.
ახალი პრიორიტეტებისა და სათაო ოფისის ორგანიზაციული და ფუნქციონალური სტრუქტურების ცვლილების გათვალისწინებით, შემუშავებულ იქნა სამოტივაციო სისტემის ახალი პროექტები, რომლის მიხედვითაც შეიცვალა მწარმოებლურობის დონის ძირითადი ინდიკატორების შემადგენლობა, წონები ცალკეული ქვედანაყოფებისთვის, ბიზნეს მიმართულებებისთვის, კერძოდ კი მცირე და კორპორატიული ბიზნესის განვითარების სამმართველოსთვის და ამ მიმართულების ფილიალების თანამშრომლებისთვისაც.
DSA პროექტის ფარგლებში შემუშავდა და დამტკიცდა სამოტივაციო სისტემა პირდაპირი გაყიდვების აგენტებისთვის. ვიდეო ბანკინგთან მომუშავე თანამშრომლებისთვის შემოღებულია ახალი დებულება მატერიალური მოტივაციის შესახებ.

სასპონსორო და საქველმოქმედო პროექტები


სოციალური მიმართულებით ბანკის საქმიანობა 5 ძირითად მიზნობრივ პროგრამას მოიცავს:

- ვითიბი სპორტისთვის
- ვითიბი კულტურისთვის
- ვითიბი განათლებისთვის
- ვითიბი ჯანსაღი მომავლისთვის
- ვითიბი ტრადიციებისთვის

2020 წელს, COVID 19-ის გამო, ქვეყანაში შეჩერდა ყველა მასობრივი ღონისძიება. პანდემიის ნეგატიური გავლენა მნიშვნელოვნად აისახა სპორტის და კულტურის სფეროზე. ამის მიუხედავად, სს „ვითიბი ბანკ ჯორჯია"-მ შეძლო და განახორციელე არა ერთი პროექტი სპორტის მიმართულებით. მნიშვნელოვნად გააფართოვა ურთიერთობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან. მხარეებს შორის დადებული ახალი შეთანხმება ყველა ასაკობრივი, ქალთა და ფუტსალის ნაკრების გენერალურ სპონსორობას გულისხმობს. პანდემიის პერიოდში ბანკმა რამდენჯერმე გაუწია დახმარება სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

ბანკის კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი მიმართულებებით განხორციელებული პროექტები პერსონალის განვითარებას, სოციალური პროექტების რეალიზაციას და რესურსების სწორ მართვას გულისხმობს.

ძირითადი მიზნობრივი პროგრამის ხარჯის სტრუქტურა



ვითიბი სპორტისთვის

პროფესიონალური სპორტის განვითარების დაფინანსება სს „ვითიბი ბანკ ჯორჯია"-ს მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. ბანკის მიერ განხორციელებული პროექტები მოიცავს ფედერაციების, ეროვნული ნაკრებების, ბავშვთა და მოზრდილთა გუნდების ფინანსურ მხარდაჭერას.

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია" არის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის და ფეხბურთის ეროვნული ნაკრების გენერალური სპონსორი.
ტანვარჯიშის ფედერაციის გენერალური სპონსორი
წყალბურთის ეროვნული ნაკრების გენერალური სპონსორი
საცხენოსნო სპორტის ფედერაციის გენერალური სპონსორი
ფარიკაობის ფედერაციის ოფიციალური პარტნიორი

ვითიბი კულტურისთვის

წლიდან წლამდე სს „ვითიბი ბანკ ჯორჯია" მხარს უჭერს უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ქართულ კულტურაში.
ბანკმა სპონსორობა გაუწია იტალიის საელჩოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს.

ვითიბი განათლებისთვის

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯია" ახორციელებს სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამებს თანამშრომლებისთვის. მუდმივად ზრუნავს მათ კვალიფიკაციის ამაღლებაზე, დამატებითი უნარ ჩვევების ჩამოყალიბებაზე და ორგანიზებას უწევს სპეციალურ ღონისძიებებს მოწვეული პროფესიონალი ტრენერების მონაწილეობით. ამის გარდა ბანკი ცალკეულ პროექტებს ახორციელებს საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელთან.

ვითიბი ჯანსაღი მომავლისთვის

პროფესიონალური სპორტის მხარდაჭერასთან ერთად ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია ბანკის სოციალური პასუხისმგებლობის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს. ამ მიმართულების განვითრებისთვის ბანკს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს, ბავშვთა სპორტული სკოლების, გუნდების, ტურნირების და ოლიმპიადების მხარდაჭერით. ბანკი აფინანსებს ბავშვთა სპორტის ყველაზე პოპულარულ სახეობებს: ფეხბურთი, სამთოსათხილამურო სპორტი, რაგბი და სხვა.

ბანკის თანამშრომლებისთვის სისტემატიურად ეწყობა სპორტული ტურნირები ფეხბურთში, რაგბში, სამთოსათხილამურო სპორტში.

თბილისის ფეხბურთის ფედერაცია

სამთოსათხილამურო სპორტული სკოლების მხარდამჭერი

ვითიბი ტრადიციებისთვის

აღნიშნული მიმართულებით ფინანსდება პროექტები, რომლებიც ხელს უწყობენ ტრადიციული ღირებულებების განვითარებას საქართველოში. მათ შორის საქველმოქმედო ფონდები და რელიგიური ორგანიზაციები. COVID-19 -ის პანდემიის პერიოდში ბანკმა დამატებით გამოყო თანხები სოციალურად დაუცველი ოჯახების და ექიმების დასახმარებლად:

Covid-19 - ის ფონდი

ფონდი „ერთიანობა“

საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდი „ლაზარე“

ცენტრი „აისი“

რესურსების მართვა

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯია” დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება რესურსების მართვის საკითხს, ამასთან ერთად მნიშვნელოვან ყურადღებას ანიჭებს ენერგოეფექტურობის სისტემის სრულყოფას. 2020 წელს ბანკმა განაგრძო გარემოზე ნეგატიური ზეგავლენის მინიმალიზაციაზე ზრუნვა. შენობებში ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა, ერთდროულად დადებითად აისახება, როგორც ენერგიის მოხმარებაზე ასევე გარემოზე მავნე ზეგავლენის შემცირებაზე.

ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენების გარდა, ბანკი გეგმიურად ახდენს ავტოპარკის განახლებას ელექტრო ავტო ტრანსპორტით. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ეტაპობრივი დანერგვის ხარჯზე, ამცირებს საოფისე დოკუმენტების ბეჭდვას. ყოველწლიურად ზრდის მეორად გადამუშავებაზე ჩაბარებული ქაღალდის მოცულობას.

EY LLC
Kote Abkhazi Street, 44
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
Fax: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

შპს იუაი
საქართველო, 0105 თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
ფაქსი: +995 (32) 215 8822

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2021 წლის, 2 აპრილს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

მარჩელო გელაშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

29 აპრილი 2021 წ.

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 4
მოგება-ზარალის ანგარიშგება 5
სრული შემოსავლის ანგარიშგება 6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. შესავალი 9
2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 10
3. კრიტიკული ბუღალტრული შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას 22
4. სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები 26
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 28
6. მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების მიმართ 28
7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები 29
8. საინვესტიციო და სავაჭრო ფასიანი ქაღალდები 38
9. ძირითადი საშუალებები 39
10. იჯარა 40
11. საინვესტიციო ქონება 41
12. გადასახადები 41
13. საკრედიტო ზარალის ამოღება/(ხარჯი) და სხვა გაუფასურება და ანარიცხები 43
14. სხვა აქტივები და ვალდებულებები 44
15. ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების წინაშე 46
16. ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ 46
17. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები 47
18. სხვა ნასესხები სახსრები 47
19. საკუთარი კაპიტალი 47
20. პირობითი ვალდებულებები 48
21. წმინდა საკომისიო შემოსავალი 50
22. სხვა შემოსავალი 50
23. ხელფასები და სხვა საოპერაციო ხარჯი 50
24. რისკის მართვა 51
25. სამართლიანი ღირებულების შეფასება 68
26. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 75
27. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები 77
28. ცვლილებები ფინანსური საქმიანობით გამოწვეულ ვალდებულებებში 79
29. კაპიტალის ადეკვატურობა 79

EY LLC
Kote Abkhazi Street, 44
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
Fax: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

შპს იუაი
საქართველო, 0105 თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
ფაქსი: +995 (32) 215 8822

Building a better working world

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ (შემდგომში „ბანკი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებისგან, სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“*. ჩვენ ვართ ბანკისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ბანკის 2020 წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს ბანკის 2020 წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ბანკის 2020 წლის მმართველობითი ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არც ახლა და არც მომავალში გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ ჩვენს ანგარიშში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ბანკს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ბანკის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ბანკის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებს მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ბანკის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ „ფუნქციონირებადი საწარმოს“ დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ბანკი ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ბანკის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო გარიგებებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

სამეთვალყურეო საბჭოს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

მარჩელო გელაშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2021 წლის 2 აპრილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	*2020*	*2019*
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	207,103	149,909
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების მიმართ	6	229,292	153,712
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები	8	9,781	–
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	7	1,398,651	1,153,560
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ამორტიზებული ღირებულებით	8	157,018	120,696
ძირითადი საშუალებები	9	42,662	43,565
აქტივის გამოყენების უფლება	10	6,330	9,443
საინვესტიციო ქონება	11	26,474	18,689
მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივები		1,302	1,417
სხვა აქტივები	14	53,029	39,668
სულ აქტივები		**2,131,642**	**1,690,659**
ვალდებულებები			
ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების მიმართ	15	31,429	35,303
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	16	1,336,855	1,075,454
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	17	161,860	85,818
სხვა ნასესხები სახსრები	18	178,388	118,730
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	12	1,943	1,555
სხვა ვალდებულებები	14	31,921	26,738
სუბორდინირებული სესხი	27	80,253	63,448
სულ ვალდებულებები		**1,822,649**	**1,407,046**
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	19	209,008	209,008
მიწის და შენობების გადაფასების რეზერვი		9,542	9,652
უვადო სუბორდინირებული სესხი	19	13,209	13,926
გაუნაწილებელი მოგება		77,234	51,027
სულ საკუთარი კაპიტალი		**308,993**	**283,613**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**2,131,642**	**1,690,659**

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ 2021 წლის 2 აპრილს:

არჩილ კონცელიძე
გენერალური დირექტორი

მამუკა მენთეშაშვილი
ფინანსური დირექტორი

9-80 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგება-ზარალის ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	*2020*	*2019*
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი			
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები		137,921	120,782
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები		13,884	8,613
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		2,530	3,077
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების მიმართ		300	975
		154,635	**133,447**
სხვა საპროცენტო შემოსავალი		31	–
		154,666	**133,447**
საპროცენტო ხარჯი			
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ		(53,295)	(47,499)
მოთხოვნები ბანკების, საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების მიმართ და სხვა ნასესხები სახსრები		(13,714)	(9,253)
სუბორდინირებული სესხი		(6,127)	(6,283)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები		(9,675)	(3,680)
საიჯარო ვალდებულებები		(479)	(594)
		(83,290)	**(67,309)**
უარყოფითი საპროცენტო განაკვეთის მქონე აქტივების ხარჯი		(626)	(176)
გადახდები ანაბრის დაზღვევის სისტემისთვის		(619)	(527)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**70,131**	**65,435**
საკრედიტო ზარალის (ხარჯი)/ამოღება	13	(6,832)	101
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო ზარალის ამოღების/(ხარჯის) შემდეგ		**63,299**	**65,536**
წმინდა საკომისიო შემოსავალი	21	6,706	4,795
წმინდა შემოსულობა/(ზარალი) უცხოური ვალუტიდან:			
გარიგებები		(8,950)	25,220
საკურსო სხვაობები		23,151	(10,692)
ზარალის წმინდა (დანაკარგი)/ამოღება ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებისას, რესტრუქტურიზაციისას და სხვა ზარალი/შემოსულობა მომხმარებლებზე გაცემულ სესხებსა და ავანსებზე		(1,386)	473
წმინდა შემოსულობა სავაჭრო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან		15	–
წმინდა შემოსულობა საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	11	1,066	310
სხვა შემოსავალი	22	5,637	7,114
არასაპროცენტო შემოსავალი		**26,239**	**27,220**
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	23	(39,765)	(38,728)
ცვეთა	9,10	(6,423)	(6,454)
სხვა საოპერაციო ხარჯები	23	(16,106)	(15,248)
იურიდიული სარჩელების შემობრუნება		–	59
ანარიცხები საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებისთვის	13	(142)	(289)
არასაპროცენტო ხარჯი		**(62,436)**	**(60,660)**
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე		**27,102**	**32,096**
მოგების გადასახადის ხარჯი	12	(388)	(2,341)
წმინდა მოგება		**26,714**	**29,755**

9-80 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სრული შემოსავლის ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	*2020*	*2019*
წმინდა მოგება		**26,714**	**29,755**
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირება არ ხდება			
შენობა-ნაგებობების გადაფასება	9	–	–
მოგების გადასახადით დაბეგვრის გავლენა	12	–	–
წმინდა სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირება არ ხდება		**–**	**–**
წლის სხვა სრული (ზარალი)/შემოსავალი, წმინდა		**–**	**–**
წლის სრული შემოსავალი		**26,714**	**29,755**

9-80 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	მიწის და შენობების გადაფასების რეზერვი	უვადო სუბორდინირებული სესხი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**209,008**	**9,827**	**11,575**	**24,654**	**255,064**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		–	–	–	29,755	**29,755**
უვადო სუბორდინირებულ სესხზე გადახდილი თანხები (კაპიტალი)		–	–	–	(1,206)	**(1,206)**
უვადო სუბორდინირებულ სესხზე ვალუტის კონვერტაცია		–	–	2,351	(2,351)	**–**
ქონების გადაფასების რეზერვის ცვეთა მოგების გადასახადის გათვალისწინებით		–	(175)	–	175	**–**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	19	**209,008**	**9,652**	**13,926**	**51,027**	**283,613**
წლის წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		–	–	–	26,714	**26,714**
უვადო სუბორდინირებულ სესხზე გადახდილი თანხები (კაპიტალი)		–	–	–	(1,334)	**(1,334)**
უვადო სუბორდინირებულ სესხზე ვალუტის კონვერტაცია		–	–	(717)	717	**–**
ქონების გადაფასების რეზერვის ცვეთა მოგების გადასახადის გათვალისწინებით		–	(110)	–	110	**–**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**209,008**	**9,542**	**13,209**	**77,234**	**308,993**

9-80 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	*2020*	*2019*
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მიღებული პროცენტი		133,985	130,669
გადახდილი პროცენტი		(76,384)	(67,116)
მიღებული საკომისიო		14,973	17,717
გადახდილი საკომისიო		(8,262)	(11,607)
უცხოურ ვალუტაში შემდგარი გარიგებებიდან წმინდა რეალიზებული შემოსულობა		1,303	6,996
სხვა მიღებული შემოსავალი		4,452	6,266
ზარალით შემცირებული რეალიზებული შემოსულობა სავაჭრო ფასიანი ქაღალდებიდან		10	–
გადახდილი ხელფასები და თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები		(37,975)	(39,203)
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები		(12,772)	(14,329)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		**19,330**	**29,393**
საოპერაციო აქტივების წმინდა (ზრდა)/კლება			
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების მიმართ		(72,797)	7,908
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები		(183,618))	(13,949)
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები		(9,803)	–
სხვა აქტივები		365	3,043
საოპერაციო ვალდებულებების წმინდა ზრდა/(კლება)			
ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების მიმართ		(3,411)	(99,510)
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ		205,809	45,924
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები		73,025	34,701
სხვა ვალდებულებები		5,102	(12,364)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული / (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები, მოგების გადასახადის გადახდამდე		**34,001**	**(4,854)**
მოგების გადახდილი გადასახადი		(823)	(1,154)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული / (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		**33,178**	**(6,008)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა		(161,588)	(183,617)
შემოსულობა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან და გამოსყიდვიდან		126,615	176,838
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(14,623)	(8,501)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		–	877
შემოდინება საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან		1,004	4,017
საინვესტიციო ქონების შესყიდვა		–	(1,549)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(48,592)**	**(11,935)**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
სხვა ნასესხები სახსრებიდან ზრდა	28	4,731,000	988,646
სხვა ნასესხები სახსრების დაფარვა	28	(4,677,274)	(1,003,393)
შემოსავალი სუბორდინირებული სესხიდან		20,201	–
გადახდილი დივიდენდები	19	–	(6)
უვადო სუბორდინირებულ სესხზე გადახდილი პროცენტი	19	(1,334)	(1,206)
იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებების დაფარვა	10	(2,589)	(2,392)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული (ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		**70,004**	**(18,351)**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		2,604	1,698
წმინდა ცვლილება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		**57,194**	**(34,596)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	5	149,909	184,505
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს	5	**207,103**	**149,909**

9-80 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში)

1. შესავალი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ (შემდგომში „ბანკი“) 1995 წლის 7 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოებად „გაერთიანებული ქართული ბანკის“ სახელით. თბილისის ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ ბანკმა მიანიჭა სარეგისტრაციო ნომერი 202906427. 2006 წლის 7 დეკემბერს ბანკმა შეიცვალა სახელი და ეწოდა „ვითიბი ბანკი ჯორჯია“. ბანკი საქმიანობს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდეგში მოხსენიებული, როგორც „სებ“) მიერ 1995 წლის 19 მაისს გაცემული ზოგადი საბანკო ლიცენზიით.

ბანკი იღებს ანაბრებს მოსახლეობისგან, გასცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს ვალუტის გაცვლით ოპერაციებს და თავის კორპორატიულ და საცალო მომხმარებლებს სთავაზობს სხვადასხვა საბანკო მომსახურებას. ბანკის სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში, საქართველოში. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს აქვს 17 ფილიალი (მათგან 7 - თბილისში) (2019 წ.: 17 ფილიალი (მათგან 7 - თბილისში)) და 10 სერვისცენტრი (2019 წ.: 18 სერვისცენტრი).

ბანკის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ჭანტურიას ქ. 14.

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მიმოქცევაში გამოშვებული აქციების 1%-ზე მეტს ფლობდნენ შემდეგი აქციონერები:

აქციონერი	*2020, %*	*2019, %*
ღსს „ბანკი ვეტებე“	97.38	97.38
შპს „ლაკარპა ენტერპრაიზისი“	1.47	1.47
სხვა	1.14	1.14
სულ	**100.00**	**100.00**

ღსს „ბანკი ვეტებე“, (შემდგომში „მშობელი ბანკი“) არის ბანკის პირდაპირი მშობელი კომპანია. ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელ მხარე არის რუსეთის ფედერაციის მთავრობა, რომელიც მოქმედებს „ქონების ფედერალური სააგენტოს“ მეშვეობით და 2029 წლის 31 დეკემბრისთვის ფლობს მშობელი ბანკის გამოშვებული და მიმოქცევაში მყოფი აქციების 60.93%-ს (2019 წ.: 60.93%).

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოს წევრები არ ფლობდნენ ბანკის აქციებს.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 1,051-ს (2019 წ.: 1,043).

ქვემოთ მოცემულია ბანკის თანამშრომლების საშუალო რაოდენობა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

თანამშრომლების საშუალო რაოდენობა	*2020*	*2019*
ზედა რგოლის ხელმძღვანელობა	6	6
საშუალო რგოლის ხელმძღვანელობა	113	106
სხვა	927	943
სულ	**1,046**	**1,055**
მათ შორის		
მუდმივი ხელშეკრულებით	1,035	1,045
დროებითი ხელშეკრულებით	10	10
სულ	**1,046**	**1,055**

2020 წლისა და 2019 წლის წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი არ ფლობს შვილობილ კომპანიებს.

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („ფასს“) შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, გარდა მიწისა და შენობა–ნაგებობების, საინვესტიციო ქონების, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების და წილობრივი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებისა, რომლებიც ასახულია სამართლიანი ღირებულებით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული. ბანკის სამუშაო ვალუტა ლარია. ოპერაციები სხვა ვალუტაში აღრიცხულია, როგორც უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ბანკმა ვადაზე ადრე გამოიყენა *ცვლილება ფასს 16-ში: კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა, რომელიც გამონაკლისის სახით ათავისუფლებს მოიჯარეებს იმის შეფასებისგან, არის თუ არა კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა იჯარის მოდიფიკაცია.* ბანკს ვადაზე ადრე არ მიუღია სხვა რომელიმე სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული. ამ ცვლილებას ბანკზე გავლენა არ მოუხდენია.

ბანკმა გამოიყენა 2020 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული რამდენიმე სხვა ცვლილება, მაგრამ მათ გავლენა არ მოუხდენიათ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენა

2020 წელს კოვიდ-19-ის პანდემიის სწრაფი გავრცელების გამო, ბევრი ქვეყნის მთავრობამ, მათ შორის საქართველოს მთავრობამაც, შემოიღო ზომები პანდემიასთან საბრძოლველად. ეს ზომები მოიცავს მოგზაურობაზე შეზღუდვებს, კარანტინს, ბიზნესების დახურვას და გარკვეული ადგილების მასშტაბურ ჩაკეტვას. ამ ზომებმა გავლენა მოახდინა გლობალურ მიწოდების ჯაჭვზე, საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნასა და ბიზნესსაქმიანობის მასშტაბზე. როგორც მოსალოდნელია, თავად პანდემია და მასთან დაკავშირებით მიღებული საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური ზომები გავლენას მოახდენენ სხვადასხვა სფეროში მოქმედი საწარმოების საქმიანობაზე.

კოვიდ-19-ის პანდემიის გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის გამო ქვეყნის მთავრობამ და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მოსახლეობის მხარდაჭერის პროგრამა შეიმუშავეს. პროგრამაში შედის ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა დაზარალებული დარგებისა და პირების სესხების სუბსიდირება, გადახდების გადავადება და გარკვეული სავალდებულო შეზღუდვების მოხსნა, რათა ფინანსურმა სექტორმა შეინარჩუნოს რესურსების მოწოდების უნარი, ხოლო მომხმარებლებმა თავიდან აიცილონ კოვიდ-19-ის გამო გამკაცრებული ზომების შედეგად ლიკვიდურობის დეფიციტი.

ბანკი აგრძელებს თავის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე პანდემიისა და ცვალებადი ეკონომიკური პირობების გავლენის შეფასებას.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, ბანკმა თავის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშებებში ასახა მომავალი ფულადი ნაკადების გადასინჯული პროგნოზები (მე-7 შენიშვნა).

ფინანსური აქტივები

პირველადი აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია მათ სახელშეკრულებო პირობებზე და ინსტრუმენტების მართვის ბიზნესმოდელზე. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით და ამ თანხას ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები. გამონაკლისს წარმოადგენს ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ჯგუფი განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარების შემდგომ და მოგვიანებით შეიძლება მოახდინოს ფინანსური აქტივების რეკლასიფიცირება ქვემოთ მითითებულ შემთხვევებში.

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

ბანკი ყველა თავისი ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას ახდენს ამ აქტივების მართვის ბიზნესმოდელისა და სახელშეკრულებო პირობების მიხედვით და აფასებს შემდეგიდან ერთ-ერთით:

- ამორტიზებული ღირებულება
- სამართლიანი ღირებულება, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით
- სამართლიანი ღირებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით

ბანკი მისი წარმოებული ინსტრუმენტების და სავაჭრო პორტფელის კლასიფიკაციას და შეფასებას ახდენს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ბანკმა შესაძლოა განსაზღვროს ფინანსური ინსტრუმენტი სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ეს აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად შეამცირებს შეფასების ან აღიარების არათანმიმდევრულობას.

ფინანსური ვალდებულებები, გარდა სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური თავდებობებისა, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ისინი სავაჭროდ არიან ფლობილი, წარმოებული ინსტრუმენტებია ან გამოიყენება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრება.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, მომხმარებლებზე გაცემული სესხები, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

ბანკი მხოლოდ მაშინ აფასებს ამორტიზებული ღირებულებით მოთხოვნებს საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, მომხმარებლებზე გაცემულ სესხებს და სხვა ფინანსურ ინვესტიციებს, თუ ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ბიზნეს მოდელის შეფასება

ბანკი თავის ბიზნესმოდელს განსაზღვრავს ისეთ დონეზე, რომელიც საუკეთესოდ ასახავს, როგორ მართავს ის ფინანსური აქტივების ჯგუფებს მისი საქმიანი მიზნების მისაღწევად.

ბანკის ბიზნეს მოდელი არ ფასდება თითოეული ინსტრუმენტის საფუძველზე. ის აფასებს აგრეგირებული პორტფელების უმაღლეს დონეზე და ის ეფუძნება ემპირიული ფაქტორების საფუძველზე, როგორიც არის შემდეგი:

- როგორ ფასდება ბიზნესმოდელის განხორციელება და ამგვარ ბიზნესმოდელში შემავალი ფინანსური აქტივები და როგორ ხდება მათი ანგარიშგება საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიმართ.
- როგორ ფასდება ბიზნესმოდელის განხორციელება და ამგვარ ბიზნესმოდელში შემავალი ფინანსური აქტივები და როგორ ხდება მათი ანგარიშგება საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიმართ;
- როგორ ხდება საქმიანობის მენეჯერების კომპენსირება (მაგალითად, თუ კომპენსაცია ეფუძნება მართვის ქვეშ მყოფი აქტივების სამართლიან ღირებულებას ან მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს);
- გაყიდვების მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და ვადები ბანკის შეფასების სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს წარმოადგენს.

ბიზნესმოდელის შეფასება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებს ეფუძნება, „ყველაზე ცუდი“ და „სტრესული შემთხვევის“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფულადი ნაკადები რეალიზდება ისეთი ფორმით, რომელიც განსხვავდება ბანკის თავდაპირველი მოლოდინებისგან, ბანკი არ ცვლის ამგვარ ბიზნეს-მოდელში წარმოდგენილი დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას. ამის ნაცვლად ის ამგვარ ინფორმაციას იყენებს ახლად წარმოქმნილი ან ახლად შეძენილი ფინანსური აქტივების შეფასებას.

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

SPPI-ტესტი

კლასიფიკაციის პროცესის მეორე სტადიის სახით, იმის განსასაზღვრად, აკმაყოფილებს თუ არა ის SPPI-ტესტის მოთხოვნებს, ბანკი ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს აფასებს.

ამ ტესტის მიზნებისთვის 'ძირითადი თანხა' განისაზღვრება ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების სახით, თავდაპირველი აღიარებისას და შესაძლოა შეიცვალოს ფინანსური აქტივის ვადის განმავლობაში (მაგალითად, თუ ადგილი აქვს ძირითადი თანხის დაფარვას ან პრემიის/ფასდაკლების ამორტიზაციას).

სასესხო გარიგებებში პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტები, ჩვეულებრივ, წარმოადგენს გადახდებს ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკისთვის. მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების შესაფასებლად, ბანკი იყენებს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ შესაბამის ფაქტორებს, როგორიც არის ვალუტა, რომელშიც გამოხატულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც განისაზღვრება საპროცენტო განაკვეთი.

ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს რისკის მინიმუმზე მეტ მოცულობას ან იმ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მერყეობა, რომლებიც არ უკავშირდება სესხის დაფარვის ძირითად პირობებს, არ წარმოშობს ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ თანხაზე. ასეთ შემთხვევებში, ფინანსური აქტივი სამართლიანი ღირებულებით უნდა შეფასდეს, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სასესხო ინსტრუმენტები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

ბანკი სავალო ინსტრუმენტებს აფასებს სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როდესაც კმაყოფილდება ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ინსტრუმენტი ფლობილია ბიზნესმოდელის ფარგლებში, რომლის მიზანიც მიიღწევა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით და ფინანსური აქტივების გაყიდვით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები აკმაყოფილებს SPPI ტესტს.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, შემდეგ ფასდება სამართლიანი ღირებულებით და სამართლიან ღირებულებაში შესული ცვლილებების შედეგად მიღებული შემოსულობა და ზარალი აისახება სხვა სრულ შემოსავალში. საპროცენტო შემოსავალი და საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში იმავე წესით, როგორითაც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები. აღიარების შეწყვეტისას სხვა სრულ შემოსავალში ასახული კუმულაციური შემოსულობა ან ზარალი სხვა სრული შემოსავლიდან რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი იმ სავალო ინსტრუმენტებზე, რომლებიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, არ ამცირებს ამ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რომელიც რჩება სამართლიანი ღირებულებით. ამის ნაცვლად, რეზერვის ოდენობის თანხა, რომელიც წარმოიშობოდა, აქტივები ამორტიზებული ღირებულებით რომ შეფასებულია, აისახება სხვა სრულ შემოსავალში, როგორც დაგროვილი გაუფასურების თანხა, შესაბამისი დარიცხვით მოგებაში ან ზარალში. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული დაგროვილი ზარალის გადატანა ხდება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ჩილობრივი ინსტრუმენტები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

თავდაპირველი აღიარებისას ბანკი იშვიათად ახდენდა მისი კაპიტალის ინვესტიციის გამოუთხოვად კლასიფიცირებას კაპიტალის ინვესტიციის სახით, რომელიც აღირიცხება სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როდესაც ისინი აკმაყოფილებენ კაპიტალის განმარტებას ბასს 32-ის *„ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა“*საფუძველზე და მათი ფლობა სავაჭროდ არ ხდება. ამგვარი კლასიფიკაცია განისაზღვრება თითოეული ინსტრუმენტის საფუძველზე.

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

ასეთ წილობრივ ინსტრუმენტებზე მიღებული შემოსულობა და ზარალი მოგებაში ან ზარალში არასოდეს გადაიტანება. დივიდენდები აღიარდება მოგებაში ან ზარალში სხვა შემოსავლის სახით, გადახდის უფლების დადგენისას, გარდა შემთხვევისა, როდესაც ბანკი სარგებელს იღებს ამგვარი ამონაგებებიდან, ინსტრუმენტის ღირებულების ნაწილის ანაზღაურების სახით, რა შემთხვევაშიც ამგვარი შემოსულობები სხვა სრულ შემოსავალში აღირიცხება. სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით ასახული წილობრივი ინსტრუმენტები არ გაუფასურების შეფასების საგანს არ წარმოადგენენ. ამგვარი ინსტრუმენტების გაყიდვისას, დაგროვილი გადაფასების რეზერვი გადადის გაუნაწილებელ მოგებებზე.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

ბანკი ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც აღრიცხულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVPL) და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და არაფინანსურ აქტივებს, მაგ. საინვესტიციო ქონებასა და მიწას და შენობა-ნაგებობებს აფასებს სამართლიანი ღირებულებით ყოველი საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღისთვის.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე, ან
- ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ბანკისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ თავიანთი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ბანკი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს. ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, იმ ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ბანკი ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს განსაზღვრავს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეკლასიფიკაცია

ბანკი არ ახდენს მისი ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ისეთი გამონაკლისი შემთხვევების გამოკლებით, რომელშიც ბანკი შეცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელს. ფინანსური ვალდებულებების რეკლასიფიკაცია არ ხდება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან, ეროვნული ბანკისადმი (სავალდებულო რეზერვების გამოკლებით) და საკრედიტო დაწესებულებებისადმი არსებული მოთხოვნებისაგან, რომელთაც აქვთ განთავსებიდან 90 დღის ვადა და თავისუფალნი არიან საკონტრაქტო ვალდებულებებისაგან.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას ბანკი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებით ახორციელებს ოპერაციებს, რომლებშიც ძირითადი წილი უკავია სავალუტო ფორვარდებსა და სვოპებს. ამგვარი ფინანსური ინსტრუმენტები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ფასწარმოქმნის მოდელის შესაბამისად, სადაც გათვალისწინებულია შესაბამისი ინსტრუმენტის მიმდინარე საბაზრო და სახელშეკრულებო ფასი და სხვა ფაქტორები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აისახება აქტივებად, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და ვალდებულებებად, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. ამ ინსტრუმენტებიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარმოდგენილ საკურსო ცვლილებით მიღებულ წმინდა შემოსულობებში/(ზარალში).

ნასესხები სახსრები

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები ვალდებულებების სახით მაშინ კლასიფიცირდება, როდესაც მფლობელის წინაშე სახელშეკრულებო გარიგებების შედეგად ბანკს წარმოეშობა ვალდებულება, გადაიხადოს ფული ან ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვაგვარად დააკმაყოფილოს ეს ვალდებულება, გარდა განსაზღვრული ფულადი თანხის ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის სანაცვლოდ საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების განსაზღვრული რაოდენობის მიღებისა. ამგვარი ინსტრუმენტები მოიცავს ვალდებულებებს ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტრუმენტების, მომხმარებლების მიმართ, სხვა ნასესხებ სახსრებსა და სუბორდინირებულ სესხებს. აღნიშნული თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საფასურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

საკრედიტო დაწესებულებების წინაშე ვალდებულება წარმოადგენს თანხებს, რომლებიც მოზიდულია ბანკის ლიკვიდურობის მართვის მიზნით. ხოლო სხვა ნასესხები სახსრები მოიცავს თანხებს, რომელიც მიღებულია საერთაშორისო საკრედიტო დაწესებულებასთან დადებული შესაბამისი ხელშეკრულებების თანახმად ძირითადი საქმიანობის მიზნებისთვის და ბანკის მომხმარებლების საქმიანობის დაფინანსებისათვის.

იჯარა

(i) ბანკი, როგორც მოიჯარე

ბანკი იყენებს აღიარების და შეფასების ერთ მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი იჯარებისა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. ბანკი აღიარებს იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რომ გადაიხადოს საიჯარო გადასახდელები და აქტივის გამოყენების უფლებები, რომლებიც წარმოადგენს საბაზისო აქტივების გამოყენების უფლებას.

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარა (გაგრძელება)

აქტივის გამოყენების უფლება

ბანკი აქტივის გამოყენების უფლებას აღიარებს იჯარის დაწყების თარიღისთვის (ანუ იმ თარიღით, როდესაც საბაზისო აქტივი ხელმისაწვდომია გამოსაყენებლად). აქტივის გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და კორექტირდება საიჯარო ვალდებულებების ყოველი ხელახალი შეფასებისას. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯების და იჯარის დაწყების თარიღით ან თარიღამდე გადახდილი იჯარების თანხებს, რასაც აკლდება მიღებული საიჯარო შეღავათები. თუ ბანკს არ აქვს გონივრული რწმენა იმისა, რომ იჯარის ვადის ბოლოს მოიპოვებს საიჯარო აქტივის მესაკუთრეობის უფლებას, აღიარებულ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს წრფივი მეთოდით სავარაუდო სასარგებლო მომსახურებისა და იჯარის ვადებს შორის უმოკლეს ვადაზე. აქტივის გამოყენების უფლება ცვეთას ექვემდებარება.

საიჯარო ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღისთვის ბანკი აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც გამოითვლება, როგორც იჯარის ვადის განმავლობაში გადასახდელი თანხების დღევანდელი ღირებულება. საიჯარო გადასახადები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), შემცირებულს მისაღები საიჯარო შეღავათებით, ცვლად საიჯარო გადასახადებს, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით. საიჯარო გადასახადები ასევე შეიცავს შესყიდვის არჩევანის უფლების გამოყენების ღირებულებას, თუ არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ ბანკი მას გამოიყენებს და ჯარიმების გადახდებს იჯარის შეწყვეტის გამო, თუ იჯარის ვადა ასახავს ბანკის მიერ იჯარის ვადის შეწყვეტის უფლების გამოყენებას. ცვლადი საიჯარო გადასახადები, რომლებიც არ არის მიბმული ინდექსზე ან განაკვეთზე, აღიარებულია იმ პერიოდის ხარჯად, რომლის განმავლობაშიც დგება გადახდის გამომწვევი მოვლენა ან გარემოება.

საიჯარო გადასახადების დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად ბანკი იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის, თუ საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. იჯარის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა იზრდება, რათა ასახოს პროცენტის ზრდა და მცირდება იჯარის გადახდის შესაბამისად. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება, თუ ხდება იჯარის ვადის მოდიფიკაცია ან ცვლილება, თუ იცვლება არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახადები ან ცვლილება შედის საბაზისო აქტივის შესყიდვის შეფასებაში.

მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა

ბანკი იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს თავისი მოკლევადიანი იჯარებისთვის (ანუ იმ იჯარების შემთხვევაში, რომელთა ვადა, მაქსიმუმ, 12 თვეა იჯარის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და არ შეიცავს შესყიდვის უფლებას). იგი ასევე იყენებს დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს დაბალი ღირებულების მქონედ მიჩნეული საოფისე აღჭურვილობის იჯარის შემთხვევაში. მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე საიჯარო გადასახადების აღიარება ხდება ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

(ii) საოპერაციო იჯარა – ბანკი, როგორც მეიჯარე

იჯარას, რომლის დროსაც ბანკი არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. იჯარიდან შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება შემოსავლის ნაწილში. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავლისა. პირობითი საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარა (გაგრძელება)

(iii) ფინანსური იჯარა - ბანკი, როგორც მეიჯარე

ბანკი იჯარასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს აღიარებს იჯარაში წმინდა ინვესტიციის თანხის ოდენობით, იჯარის ვადის ათვლის თარიღიდან. ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება იმისდა მიხედვით, თუ როგორია მუდმივი პერიოდული უკუგების კოეფიციენტი მიმდინარე წმინდა ინვესტიციაზე. თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები შედის იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების პირველად შეფასებაში.

რესტრუქტურიზებული სესხები

თუ შესაძლებელია, უზრუნველყოფის საკუთრებაში მიღების ნაცვლად, ბანკი ახდენს სესხების რესტრუქტურიზაციას. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს დაფარვის პირობების გაუმჯობესებას და სესხის ახალი პირობების შეთანხმებას.

ბანკმა შეწყვიტა ისეთი ფინანსური აქტივის აღიარება, როგორიც არის მომხმარებლებზე გაცემული სესხი, პირობების განმეორებით შეთანხმებისას როდესაც ის არსებითად ახალი სესხი ხდებოდა, რისი სხვაობაც აღიარდება აღიარების შეწყვეტით წარმოშობილი შემოსულობის ან ზარალის სახით, იმ პირობით, რომ გაუფასურების ზარალი უკვე აღრიცხული იქნება. ახლად აღიარებული სესხები კლასიფიცირდება პირველი სტადიის სახით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნით, სანამ ახალი სესხი არ ჩაითვლება შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებულად. იმის შეფასებისას, უნდა მოხდეს თუ არა მომხმარებელზე გაცემული სესხის აღიარების შეწყვეტა, ბანკი, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს:

- სესხის ვალუტის ცვლილება;
- კონტრაჰენტის ცვლილება;
- ხომ არ იწვევს ცვლილება ინსტრუმენტის SPPI კრიტერიუმთან შეუსაბამობას.

თუ ცვლილება არ იწვევს არსებითად განსხვავებულ ფულად ნაკადებს, ცვლილება არ გამოიწვევს აღიარების შეწყვეტას. ბანკი საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული ფულადი ნაკადების ცვლილების საფუძველზე აღრიცხავს მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს მოგებაში ან ზარალში, თუ გაუფასურების ზარალი უკვე არ არის აღრიცხული.

ცვლილებებისთვის, რომლებიც არ იწვევს აღიარებს შეწყვეტას, ბანკი ასევე განმეორებით აფასებს ხომ არ არსებობდა მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში, ან აქტივები ხომ არ უნდა იყოს კლასიფიცირებული გაუფასურებულად. როდესაც ცვლილების შედეგად აქტივი გაუფასურებულად კლასიფიცირდება, ის მე-3 სტადიაზე დარჩება მინიმუმ 3-წლიანი გამოსაცდელი ვადით. ამგვარი რესტრუქტურიზებული სესხის მესამე სტადიიდან მეორეში რეკლასიფიცირების მიზნით, გამოსაცდელი პერიოდის განმავლობაში ძირი თანხის ან პროცენტის რეგულარული გადახდები განხორციელდა შეცვლილი გადახდის გრაფიკის შესაბამისად.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ბანკმა დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ბანკმა (ა) ან გადასცა აქტივზე არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) ან არც გადასცა და არც შეინარჩუნა აქტივზე არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ მან გადასცა აქტივის კონტროლი.

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა (გაგრძელება)

იმ შემთხვევაში, თუ ბანკმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, ბანკის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. მონაწილეობის გაგრძელება, რომელიც იძენს გარანტიის ფორმას გადაცემულ აქტივზე, ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ ანაზღაურების მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით, რომლის გადახდაც შეიძლება ბანკს მოეთხოვოს.

როდესაც გადაცემულ აქტივში მონაწილეობის შენარჩუნება იღებს გაყიდული და/ან შესყიდული ოფციონის ფორმას (ფულით განსაზღვრული ოფციონის ან მსგავსი ანარიცხის ჩათვლით), ბანკის მონაწილეობა მოიცავს გადაცემული აქტივის თანხას, რომელიც ბანკს შეუძლია განმეორებით შეიძინოს, გარდა სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ აქტივზე შეძენილი ფუთ-ოფციონისა (ფულით განსაზღვრული ოფციონის ან მსგავსი ანარიცხის ჩათვლით), როდესაც ბანკის ხანგრძლივი ჩართულების ფარგლები იზღუდება გადაცემული აქტივის სამართლიან ღირებულებასა და ოფციონის რეალიზაციის ფასს შორის უმცირესით.

უმოქმედო სესხები

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ან ნაწილობრივ, ან მთლიანად მხოლოდ მაშინ, როდესაც ბანკი შეწყვეტს მათი ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა აღემატება დაგროვილი ცვეთის რეზერვს, სხვაობა თავდაპირველად აღირიცხება რეზერვზე დამატების სახით, რომელიც შემდეგ გამოიყენება მთლიან საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში. ნებისმიერი შემდგომი ანაზღაურება განეკუთვნება საკრედიტო ზარალის ხარჯს. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ბანკის პოლიტიკის თანახმად, უმოქმედო სესხების აღიარების შეწყვეტა ხდება შემდეგნაირად:

- ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხები ჩამოიწერება ბანკის საკრედიტო კომიტეტის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე;
- უიმედო სესხები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების რეზერვიდან მას შემდეგ, რაც დასრულდება სესხების ამოღებისთვის საჭირო ყველა პროცედურა და განისაზღვრება ამოუღებელი დანაკარგების ოდენობა.

თუ ბანკი ამოიღებს თანხას სესხის ჩამოწერის შემდეგ პერიოდში, ამოღებული თანხა აისახება სესხის გაუფასურების რეზერვის ანგარიშზე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩაანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. ურთიერთგადაფარვის უფლების გამოყენება არ უნდა ხდებოდეს სამომავლო შემთხვევის დადგომის პირობით და ნებადართული უნდა იყოს:

- ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობის პირობებში;
- დეფოლტის შემთხვევაში; და
- საწარმოს და ყველა კონტრაჰენტის არაკრედიტუნარიანობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ეს პირობები, ზოგადად, არ სრულდება ძირითად საკლირინგო ხელშეკრულებებში და შესაბამისი აქტივები და ვალდებულებები მთლიანად არის წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური გარანტიები, აკრედიტივები და აუთვისებელი საკრედიტო ხაზი

ბანკი გასცემს ფინანსურ გარანტიებს, აკრედიტივებს და სასესხო ვალდებულებებს.

ფინანსური გარანტიები ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარდება, რაც მიღებულ პრემიას წარმოადგენს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ბანკის ვალდებულება თითოეული გარანტიის მიხედვით ფასდება ან თავდაპირველად აღიარებული თანხით, რომელსაც აკლდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული კუმულაციური ამორტიზაცია, ან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვით, იმისდა მიხედვით, თუ რომელია უფრო მეტია.

ამოუღებელი სასესხო ვალდებულება და აკრედიტივები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლის ფარგლებშიც, ვალდებულების არსებობის პერიოდში, ბანკი ვალდებულია მომხმარებელზე გასცეს სესხი წინასწარ განსაზღვრული პირობებით. ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებების მსგავსად, ამ ხელშეკრულებებზეც ვრცელდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოთხოვნები.

ბანკი იშვიათად გამოსცემს სასესხო ვალდებულებებს ბაზარზე მოქმედ საპროცენტო განაკვეთებზე დაბალი ოდენობით. ამგვარი ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ფასდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის და თავდაპირველად აღიარებულ თანხაზე მაღალი ოდენობით, რომელსაც, შესაბამის შემთხვევაში, აკლდება აღიარებული შემოსავლის დაგროვებითი თანხა.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ საფუძველსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის პირველადი აღიარებიდან ან აქტივისა და ვალდებულებიდან იმ გარიგებაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ საგადასახადო მოგება-ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღირიცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც შესაძლებელი იქნება გამოსაქვითი დროებითი სხვაობების გაქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ფასდება საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც სავარაუდოდ იმოქმედებს აქტივის რეალიზაციის ან ვალდებულების გასტუმრების პერიოდში, იმ საგადასახადო განაკვეთების (რომლებიც ეხება გასანაწილებელ მოგებას) და საგადასახადო კანონების საფუძველზე, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს ანგარიშგების თარიღისთვის.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს ბანკის საქმიანობაზე. ეს გადასახადები ასახულია სხვა საოპერაციო ხარჯების კომპონენტებად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღრიცხულია თვითღირებულებით, გარდა ყოველდღიური მომსახურების ხარჯებისა, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების მოცულობა. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია. შენობა-ნაგებობები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება გადაფასების თარიღის შემდგომ დარიცხული ცვეთა და გაუფასურება. მიწის შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით და მას არ ერიცხება ცვეთა. შეფასება რეგულარულად ტარდება იმის უზრუნველსაყოფად, რომ გადაფასებული ქონების სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან. ბანკის ქონება ბოლოს შეფასდა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. დამატებითი დეტალები წარმოდგენილია 9-ე შენიშვნაში.

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

გადაფასების ნებისმიერი მეტობა კრედიტდება სხვა სრულ შემოსავლებში ჩართული მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასების რეზერვზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება მანამდე მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული ამავე აქტივის გადაფასების შედეგად მისი ოდენობის შემცირების შებრუნება. ამ შემთხვევაში მატების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტი, რომელიც უშუალოდ გაქვითავს ამავე აქტივზე უწინ აღიარებულ მეტობას, პირდაპირ გაიქვითება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის მეტობიდან.

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან წლიური გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება აქტივის გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივის თავდაპირველი ღირებულების ცვეთას შორის სხვაობით. გაყიდვისას კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებული მთლიანი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

დაუმთავრებელი მშენებლობა აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც საჭიროების შემთხვევაში აკლდება გაუფასურების რეზერვი. მშენებლობის დასრულების შემდეგ აქტივები გადაიტანება საოფისე ან სხვა შენობებში მათი საბალანსო ღირებულებით. დაუმთავრებელი მშენებლობის ცვეთა არ ხდება, სანამ აქტივი ექსპლუატაციისთვის მზად არ იქნება.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები იმაზე მიანიშნებს, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წლები
შენობები	30-50
კომუნალური სისტემები და მასთან დაკავშირებული მოწყობილობები	10-40
კომპიუტერული და საკომუნიკაციო ტექნიკა	4-8
ავეჯი და საოფისე ტექნიკა	3-6
სატრანსპორტო საშუალებები	5
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	შესაბამის საიჯარო პერიოდში

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის მიწა, შენობა ან შენობის ნაწილი, რომელიც გაიცემა იჯარით საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის გაზრდისათვის, და რომელსაც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ბანკი არ იყენებს და არ ფლობს გაყიდვის მიზნით.

საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, ტრანსაქციის ხარჯების ჩათვლით და შემდეგ ხელმეორედ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ასახავს საბაზრო პირობებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. ბანკის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სხვადასხვა წყაროს საფუძველზე, მათ შორის დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშების მიხედვით, რომლებსაც აქვთ აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და ანალოგიური ადგილმდებარეობისა და კატეგორიის ქონების შეფასების გამოცდილება.

საინვესტიციო ქონების ღირებულება გადაფასდება ყოველი ანგარიშგების თარიღისთვის და მისი აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც საინვესტიციო ქონების გადაფასების შედეგად მიღებული შემოსულობა/ზარალი. გამომუშავებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში.

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დასაკუთრებული აქტივები

დასაკუთრებული უზრუნველყოფა წარმოადგენს არაფინანსურ აქტივებს, რომლებიც ბანკმა დაისაკუთრა ვადაგადაცილებული სესხების თანხის ამოღებისას. ეს აქტივები შეძენისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და აისახება შენობებსა და აღჭურვილობაში, საინვესტიციო ქონებაში ან სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში, სხვა აქტივების მუხლში. ეს კლასიფიკაცია დამოკიდებულია უზრუნველყოფის მახასიათებლებსა და ბანკის გადაწყვეტილებაზე ამ აქტივების ამოღებასთან დაკავშირებით. ეს აქტივები შემდგომში გადაფასდება და აღირიცხება აქტივების ამ კატეგორიების შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად. დასაკუთრებული უზრუნველყოფის სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა შეფასებულია განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო ეკონომიკური მომსახურების ვადის – 2-10 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. ბანკი არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა.

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია საკუთარ კაპიტალად. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარე ხარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციებისა, აღრიცხულია საკუთარი კაპიტალის შემოსავლებიდან გამოქვითვების სახით. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

უვადო სუბორდინირებული სესხი

განუსაზღვრელი ვადისა და კუპონის გადახდების დაგროვების გარეშე გაუქმების შესაძლებლობის გამო ბანკი უვადო სუბორდინირებულ სესხს აღრიცხავს, როგორც წილობრივ ინსტრუმენტს და პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტს კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის გამოთვლის მიზნებისთვის. ბანკი რუბლში გამოხატულ უვადო სუბორდინირებულ სესხს აღრიცხავს ლარის ეკვივალენტურ თანხად, საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი სავალუტო კურსის გამოყენებით, ხოლო ვალუტის კონვერტაციის ეფექტს აღრიცხავს გაუნაწილებელ მოგებაში.

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკის მიერ ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია შემოსავლის სათანადო სიზუსტით შეფასება. შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ სავალო ფინანსურ აქტივებზე ბანკი საპროცენტო შემოსავალს გამოითვლის ფინანსური აქტივების (გარდა გაუფასურებული საკრედიტო აქტივებისა) საერთო საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება, თუ ბანკი გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივი გაუფასურდება, ბანკი საპროცენტო შემოსავალს ანგარიშობს ფინანსური აქტივის წმინდა ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ფინანსური აქტივები გამოსწორდება და აღარ იქნება გაუფასურებული, ბანკი დაუბრუნდება საპროცენტო შემოსავლის ბრუტო საფუძველზე დაანგარიშების მეთოდს.

შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის, ბანკი საპროცენტო შემოსავალს ანგარიშობს შეცვლილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშების და ამ განაკვეთის აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე მორგებით. შეცვლილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ახდენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (საკრედიტო ზარალის ჩათვლით) შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული აქტივების ამორტიზებულ ღირებულებამდე დისკონტირებას.

მიღებული გასამრჯელო და საკომისიო

ბანკი იღებს შემოსავალს გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან მომხმარებლებისთვის გაწეული სხვადასხვა სახის მომსახურების სანაცვლოდ.

სესხის აუთვისებელი თანხის საკომისიო იმ სესხების შემთხვევაში, რომელთა ათვისებაც მოსალოდნელია და საკრედიტო პროდუქტებთან დაკავშირებული სხვა გასამრჯელოები, მათ შორის გარანტიებისა და აკრედიტივების გაცემის საზღაური გადავადდება (დამატებით ხარჯებთან ერთად) და აღიარდება სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირების სახით.

შემოსავალი დივიდენდის სახით

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როცა ბანკს განესაზღვრება თანხების მიღების უფლება.

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ბანკის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ხელახლა კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით მიღებულ შემოსულობას გამოკლებული ზარალი – საკურსო სხვაობა. არაფულადი მუხლების კონვერტაცია, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციების დღეებში არსებული გაცვლითი კურსებით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებულ შემოსულობას გამოკლებული ზარალის მუხლში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, იყო 3.2766 და 2.8677 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებით.

3. კრიტიკული ბუღალტრული შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ბანკი მიმართავს გარკვეულ შეფასებებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემულია გადაწყვეტილებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

ფუნქციონირებადი საწარმო

ბანკის ხელმძღვანელობამ შეაფასა ბანკის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ ბანკს აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა განჭვრეტად მომავალში, ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

როდესაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების მიღება აქტიური ბაზრებიდან ვერ ხერხდება, ისინი განისაზღვრება შეფასების სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის მათემატიკური მოდელებით. ამ მეთოდებისთვის ინფორმაცია აიღება ბაზრიდან, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მაგრამ, თუ ეს შეუძლებელია, სამართლიანი ღირებულება შეფასების საფუძველზე განისაზღვრება. დამატებითი დეტალები წარმოდგენილია 25-ე შენიშვნაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი

გაუფასურების ზარალის შეფასება ფინანსური აქტივების ყველა კატეგორიისთვის საჭიროებს განსჯის გამოყენებას, კერძოდ, სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობისა და ვადების და უზრუნველყოფის საგნის ღირებულებების პროგნოზირებას გაუფასურების ზარალის განსაზღვრისას და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებას. ამ შეფასებებზე რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს, რომელთა ცვლილებები შესაძლოა აისახოს რეზერვების სხვადასხვა დონეში. გარდა ამისა, ბიზნესის ფართომასშტაბიანმა შეფერხებებმა შეიძლება გამოიწვიოს ზოგიერთი საწარმოსა და მომხმარებლის ლიკვიდურობასთან დაკავშირებული პრობლემები. კოვიდ-19-ის პანდემიის გამო სასესხო პორტფელების (სხვა მუხლებთან ერთად) საკრედიტო ხარისხის გაუარესებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ბანკის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაზე.

(ათას ლარში)

3. კრიტიკული ბუღალტრული შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი (გაგრძელება)

ბანკის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებები კომპლექსური მოდელების მონაცემებს წარმოადგენს, ცვლადი მონაცემების და მათი ინტერპრეტაციების შერჩევასთან დაკავშირებული სხვადასხვა საბაზისო მოსაზრებებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელების ელემენტები, რომლებიც შესაბამის სააღრიცხვო მსჯელობებს და შეფასებებს წარმოადგენს, მოიცავს შემდეგს:

- ბანკის კრედიტის გაცემის შიდა მოდელი, რომელიც დეფოლტების შესაძლებლობებს ინდივიდუალურ ქულებს ანიჭებს;
- ბანკის კრიტერიუმი იმის შესაფასებლად არსებობს თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა და უნდა შეფასდეს თუ არა რეზერვები ფინანსური აქტივებისთვის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის და თვისებრივი შეფასების საფუძველზე;
- ფინანსური აქტივების სეგმენტაცია, როცა მათი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება კოლექტიურ დონეზე;
- საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენება მრავლობითი მაკროეკონომიკური სცენარის შექმნის, მათი წარმოშობის შესაძლებლობის განსაზღვრის და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ემპირიულ მაკროეკონომიკურ ფაქტორებში ცვლილებების გავლენის შეფასების გზით;
- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის შემუშავება, მათ შორის სხვადასხვა ფორმულის და ამოსავალი მონაცემების შერჩევა.

ბანკს საკრედიტო მოსალოდნელი ზარალის სამი სტადიის მქონე გაუფასურების მოდელი აქვს. გაუფასურების რეზერვის ხარჯი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის დამოკიდებულია იმ ფაქტორებზე, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა, გაუფასურების რეზერვის ხარჯი უტოლდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში შესაძლო დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობას (1-ლი სტადია). თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, სესხი 30 დღეზე მეტი ვადით არის ვადაგადაცილებული, ან სესხი დეფოლტირებულია ან სხვაგვარად არის გაუფასურებული, გაუფასურების რეზერვის ხარჯი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობას უტოლდება (მე-2 და მე-3 სტადიები).

ყველა სტადიაზე აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს შემდეგი მახასიათებლები აქვთ:

- 1-ლი სტადია: საკრედიტო რისკი გაუფასურების და მნიშვნელოვანი ზრდის გარეშე, რომლისთვისაც აღიარებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის 12-თვიანი რეზერვი;
- მე-2 სტადია: თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რომლისთვისაც აღიარებულია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი;
- მე-3 სტადია: გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება და ფინანსური აქტივები დეფოლტირებულია ან სხვაგვარად არის გაუფასურებული, რაზეც აღიარებულია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი; და
- შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული: შესყიდული ან წარმოქმნილი დიდი დისკონტირების საფუძველზე, რომელიც ასახავს გაწეულ საკრედიტო ზარალს, რომელზეც აღიარებულია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაანგარიშდება ყველა ინდივიდუალური ობიექტისთვის დეფოლტის ალბათობის, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების და დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების ფუნქციის სახით და ის საპროგნოზო ინფორმაციას მოიცავს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მოიცავს მომავალი რამდენიმე წლის ეკონომიკური პირობების პროგნოზირებას.

საკრედიტო რისკის და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ობიექტური და ვარაუდზე დაფუძნებულია და ის მოიცავს შეფასების შესაბამის ყველა ხელმისაწვდომ ინფორმაციას, მათ შორის ინფორმაციას განვლილი მოვლენების, მიმდინარე პირობების და საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენებისა და ეკონომიკური პირობების გონივრულ და დამაკმაყოფილებელ პროგნოზებს. ამასთან, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში უნდა გავითვალისწინოთ ფულის დროითი ღირებულება. ზოგადად, ბანკი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს სამი ძირითადი კომპონენტის - დეფოლტის ალბათობის, დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების და დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების გათვალისწინებით.

(ათას ლარში)

3. კრიტიკული ბუღალტრული შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი (გაგრძელება)

12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაანგარიშდება 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების და დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების გამრავლების გზით. რაც შეეხება არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ის დაანგარიშდება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის გამოყენებით. 12-თვის და არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს ვალდებულებების შეუსრულებლობის შესაძლებლობას, რომელიც წარმოიშობა მომდევნო 12 თვის და ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში (შესაბამისი თანმიმდევრობით). დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება წარმოადგენს მოსალოდნელ დეფოლტირებულ ნაშთს, ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვის გათვალისწინებით საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღიდან დეფოლტის შემთხვევამდე, ნაკისრი ვალდებულებების ნებისმიერ მოსალოდნელ კლებასთან ერთად. დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში წარმოადგენს მოსალოდნელ დანაკარგს დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ დავალიანებაზე დეფოლტის მოვლენის, მათ შორის ერთობლივი ღირებულების ეფექტის შემსუბუქების (იმ დროისთვის, როდესაც მოსალოდნელია მისი რეალიზაცია) და ფულის დროითი ღირებულების გათვალისწინებით.

2020 წლის 31 დეკემბრისთვის, კოვიდ-19-ის მიმდინარე პანდემიის ფონზე, ბანკმა გარკვეული ცვლილებები შეიტანა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების პროცესში. კერძოდ, მან გადასინჯა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ნიშნები და ავტომატურად არ მიიჩნევს საკრედიტო რისკს მნიშვნელოვნად გაზრდილად, თუ სესხის მოდიფიკაცია ხდება მთავრობის დახმარების ღონისძიებების ფარგლებში. ბანკმა ასევე განაახლა საპროგნოზო ინფორმაცია, სავარაუდო მაკროეკონომიკური მაჩვენებელების და სცენარებისთვის მინიჭებული წონების ჩათვლით. კოვიდ-19-ის პანდემიის გავრცელებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის სათანადოდ ასახვის მიზნით, ბანკმა გამოიყენა მოდელის შემდგომი გარკვეული კორექტირებები და არსებულ მოდელს დაუმატა დაშვებები ცვლილებებზე სხვადასხვა სექტორში რეიტინგების ცვლილებისა თუ სტრესის ქვეშ მყოფი მაჩვენებლების საფუძველზე.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იმისათვის, რომ აესახა კოვიდ-19-ით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის გაგრძელების შესაძლო შედეგებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა და სამომავლო ეკონომიკური აღმავლობის პერსპექტივა, ბანკმა გადასინჯა ყველა მსესხებლის საკრედიტო რეიტინგი ახალ მაკროეკონომიკურ პროგნოზებსა და მსესხებლის მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით.

კორონავირუსის პანდემია ბანკის საკრედიტო პორტფელზე 2020 წლის მეორე კვარტალში აისახა. პორტფელის საკრედიტო ხარისხი შესაძლოა კიდევ უფრო გაუარესდეს, ვინაიდან დღეისათვის პანდემიის გავლენას ზღუდავს და ასუსტებს სახელმწიფოს მხრიდან გამოყოფილი დახმარების პაკეტები. ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად სახელმწიფოს მიერ მთელი ქვეყნის მასშტაბით მიღებული ზომების გამო ეკონომიკური აქტივობა ჯერჯერობით დაბალია, თუმცა, შეზღუდვების მოხსნის შემდეგ, 2020 წლის მესამე კვარტალში ბევრი სექტორი, განსაკუთრებით ფორმირებადი საბაზრო ეკონომიკის შემთხვევაში, ნორმალურ რეჟიმს დაუბრუნდა. ამის მიუხედავად, 2020 წლის მეოთხე კვარტალში დაიწყო კორონავირუსის პანდემიის მეორე ტალღა და კვლავ დაწესდა შეზღუდვები. ეკონომიკის მხარდასაჭერად მთავრობამ კვლავ დახმარების პაკეტები გამოჰყო. ჯერჯერობით საკმაოდ გაურკვეველია ახლავს მთავრობის მიერ ეპიდემიის შესაჩერებლად გადადგმული ნაბიჯების ეფექტურობა და აგრეთვე ის, თუ როდის მოიცავს ვაქცინაციის პროგრამა მოსახლეობის საკმარის ნაწილს, რომ ვირუსის გავრცელება შეაჩეროს.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 12 თებერვალს Fitch Ratings-მა დაადასტურა საქართველოსთვის ქვეყნის BB საკრედიტო რეიტინგი, რისი საფუძველიც იყო მართვისა და ბიზნესგარემოს მძლავრი ინდიკატორები, ასევე თანმიმდევრული და საიმედო პოლიტიკა, რასაც თან სდევს საქართველოს შედარებითი მედეგობა შოკების მიმართ. 2021 წელს საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზირებულ ტემპს, სავარაუდოდ, განაპირობებს არსებული შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნა, მასობრივი ვაქცინაციის 2021 წლის მარტიდან, გაუმჯობესებული შიდა და გარე განწყობები და შემდგომი ფისკალური სტიმულები.

ეკონომიკური საქმიანობა, სავარაუდოდ, მოკლევადიან პერსპექტივაში იზარალებს და ჯერ კიდევ უცნობია, რამდენად გააგრძელებენ ქვეყნების მთავრობები ეკონომიკის მხარდაჭერას. ბანკის საკრედიტო პორტფელის უმეტესი ნაწილის შემთხვევაში, კორონავირუსის კრიზისის უარყოფითი გავლენა ფიზიკურ პირ მომხმარებლებზე, სავარაუდოდ, თავს მომდევნო კვარტალებში იჩენს. მომხმარებელთა შეფასება 2020 წლის მეორე კვარტალიდან უწყვეტ რეჟიმში ხდებოდა და, შეცვლილი პროგნოზის გამო, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გადაიხედა. აქედან გამომდინარე, ფინანსური შედეგები მაშინ გამოჩნდება, როდესაც, მაგალითად, მთავრობისგან მხარდაჭერა შეწყდება და პანდემია გაგრძელდება. მიუხედავად ამასთან დაკავშირებული გაურკვევლობისა, შესაბამისი საკრედიტო ზარალის ყველაზე ზუსტი შეფასება, განურჩევლად იმისა, რეალიზებული არის თუ არა საანგარიშგებო თარიღისთვის, უკვე ასახულია ბანკის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(ათას ლარში)

3. კრიტიკული ბუღალტრული შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი (გაგრძელება)

ვითიბის იძულების ღონისძიების გამოყენებისგან თავის შეკავების პრაქტიკა განახლდა, რათა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმ მომხმარებლებს, რომლებიც კორონავირუსის კრიზისმა დააზარალა. მასში შედის დამატებითი რეკომენდაციები იმისი უზრუნველსაყოფად, რომ კორონავირუსის კრიზისის გამო დათმობები მიიჩნეოდეს იძულების ღონისძიების გამოყენებისგან თავის შეკავებად მხოლოდ მაშინ, თუ ისინი უკავშირდება მომხმარებლებს, რომლებიც არ ითვლებიან კრედიტუნარიანად და, ამასთანავე, მომხმარებლის გრძელვადიანი ფინანსური პოზიცია კიდევ უფრო დასუსტებულია პანდემიის გამო. საკრედიტო პორტფელის უდიდესი ნაწილის შემთხვევაში, მოკლევადიანი დათმობები სხვა მხრივ კრედიტუნარიანი მომხმარებლების მიმართ არ მიიჩნევა იძულების ღონისძიების გამოყენებისგან თავის შეკავებად. პრაქტიკაში იყო ორი ძირითადი ვარიანტი: ა) მოკლევადიანი დათმობები ინდივიდუალურად შეფასებული მომხმარებლების მიმართ მათი ფინანსური მდგომარეობის გასამყარებლად, ხოლო ბ) უფრო დაბალი რეიტინგის მქონე მომხმარებლებს ეძლევათ საშეღავათო პერიოდები:

პანდემიის მასშტაბთან და მთავრობების მხრიდან ეკონომიკის მხარდაჭერის ღონისძიებების გაგრძელებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გაურკვევლობის გამო, ხელმძღვანელობამ მართებულად მიიჩნია 2020 წლის მეორე ნახევრის განმავლობაში კორონავირუსის კრიზისთან დაკავშირებით მოდელირების შემდგომი კორექტირების გაზრდა. კორონავირუსის კრიზისთან დაკავშირებული მოდელირების შემდგომი კორექტირებები უკავშირდება იმ სფეროებს, რომლებზეც პირდაპირ იმოქმედა პანდემიის კრიზისმა და რომლებისთვისაც თავად მაკროეკონომიკური სცენარები არ განაპირობებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საკმარის ზრდას. ეს მოიცავს ფიზიკური პირების და კომერციული უძრავი ქონების სფეროებთან დაკავშირებით საკრედიტო ხარისხის მოსალოდნელ, მაგრამ ჯერ არამატერიალიზებულ გაუარესებას, როდესაც შეწყდება მთავრობისგან მხარდაჭერა. იგი ასევე მოიცავს საცალო, სასტუმროების და რესტორნების (სასტუმროების, რესტორნებისა და დასვენების სფეროში), უძრავი ქონების მართვა-განვითარების, მშენებლობის, გრძელვადიანი მოხმარების საქონლის, ტანსაცმლისა და საფეიქრო, ავტომანქანების და ავტონაწილების და ასევე ღვინის პროდუქტებს. ასეთ სექტორებთან დაკავშირებული მიზნობრივი მოდელირების შემდგომი კორექტირებები შეადგენს 850 ლარს.

ბანკმა სებ-თან თანამშრომლობით შეიმუშავა სტრესული ტესტირების მოდელი და განსაზღვრა მთავარი ამოსავალი მონაცემები მცირე ბიზნესის დაკრედიტებისა და კორპორატიული კლიენტებისთვის. სფეროების მიხედვით, ძირითადი ამოსავალი მონაცემები, რომელთა სტრესგამძლეობა შემოწმდა, იყო მომხმარებლებზე გაყიდვები და შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA). სტრეს-ტესტისთვის გამოყენებული ფინანსური მონაცემები განახლდა ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით. კორპორატიული კლიენტების შემთხვევაში ბანკმა გამოიყენა გაყიდვებიდან შემოსავლის დისკონტირების ფაქტორი, ხოლო მცირე ბიზნესის დაკრედიტების შემთხვევაში - პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე შემოსავლის დისკონტირებას.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის თავისივე განმარტების მიხედვით, ბანკმა განსაზღვრა მსესხებლის იმავე სტადიაზე დატოვების ან სხვა სტადიაზე გადაყვანის კრიტერიუმები. სტადიაზე გადაყვანის გადაწყვეტილება მიიღებოდა დავალიანების ამოღების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში სტრესგამძლეობის კოეფიციენტების მიხედვით. კორპორატიული კლიენტების სტადიის განსაზღვრისთვის მთავარი იყო მათი სესხის მომსახურების კოეფიციენტი და საპროცენტო ხარჯის დაფარვის კოეფიციენტი, ხოლო მცირე ბიზნესის შემთხვევაში, ყურადღება ექცეოდა მოზიდული კაპიტალის EBITDA-სთან თანაფარდობის კოეფიციენტს. საცალო პორტფელის რესტრუქტურიზაციის მესამე ტალღა ჩაითვალა საკრედიტო რისკის მოვლენის მნიშვნელოვან ზრდად და გამოიწვია შესაბამისი სტადიის ცვლილება.

ეს მიდგომა ეყრდნობა დავალიანების ეტაპობრივად ამოღების სტრატეგიას და მსესხებლებს საშუალებას აძლევს, წლიდან წლამდე გამოასწორონ თავიანთი კრედიტუნარიანობა. დავალიანების ამოღების ვადად აღებულია 2020-2022 წლები, რაც იმას ნიშნავს, რომ კლიენტები თანდათანობით გაიმართებიან და 2022 წელს იმავე შედეგებს აჩვენებენ, რაც აჩვენეს 2019 წელს.

ზემოთ მოყვანილი მოსაზრებებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კოვიდ-19-ის კრიზისის ეფექტი სათანადოდ არის ასახული ბანკის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კრიზისის ეფექტის ბუღალტრული აღრიცხვისთვის მოდელირების შემდგომი და მოდელირების შედეგის ზრდის კორექტირებების კუმულაციურმა თანხამ, რომელიც აღიარებულია, როგორც საკრედიტო ზარალის ხარჯი 2020 წლის მოგებასა თუ ზარალში, შეადგინა 3,100 ლარი. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა და საკრედიტო ხარისხის შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია მე-7 და 24-ე განმარტებით შენიშვნებში.

(ათას ლარში)

3. კრიტიკული ბუღალტრული შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

ქონების გადაფასება

ბანკი რეგულარულად ახდენს ძირითადი საშუალებების (მიწის, საოფისე შენობებისა და საინვესტიციო ქონების) ღირებულების გადახედვას და ახდენს გადაფასებას, რათა ქონების საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი სამართლიანი ღირებულებისაგან. ბანკი ახდენს გადაფასებას სპეციალური შეფასების ტექნიკისა და ადგილობრივ ბაზარზე განხორციელებული უძრავი ქონების ოპერაციების შესახებ არსებული ინფორმაციის გამოყენებით.

მიწა და შენობები გადაფასებულია საბაზრო ღირებულებასთან მიმართებით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. გადაფასებული შენობები 2019 წლის 1 იანვრიდან აღიარებულია მათი სასარგებლო გამოყენების დარჩენილი ვადის მიხედვით. საინვესტიციო ქონება გადაფასებულია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ბანკის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიწისა და შენობა-ნაგებობების საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებითად არ განსხვავდება მათი სამართლიანი ღირებულებისაგან. დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია მე-9 და მე-11 შენიშვნებში.

იჯარა - ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის შეფასება

ბანკს არ შეუძლია პირდაპირ განსაზღვროს საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი, ამიტომ იგი საიჯარო ვალდებულებების შესაფასებლად იყენებს თავის ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს. ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც ბანკს მოუწევდა აქტივის გამოყენების უფლების ანალოგიური ღირებულების აქტივის მისაღებად საჭირო ფულის სასესხებლად ამავე პერიოდით და ასეთივე უზრუნველყოფით მსგავს ეკონომიკურ გარემოში. შესაბამისად, ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი ასახავს იმას, თუ „რა ექნებოდა ბანკს გადასახდელი“, რაც საჭიროებს შეფასებების გაკეთებას, როდესაც არ არის ხელმისაწვდომი ემპირიული განაკვეთების ან როდესაც ისინი ისე უნდა დაკორექტირდეს, რომ ასახავდეს იჯარის პირობებს. იხილეთ მე-10 შენიშვნა.

ბანკი ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს აფასებს დაკვირვებადი ამოსავალი მონაცემების გამოყენებით (მაგალითად, ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთები), როდესაც ისინი ხელმისაწვდომია და უხდება გარკვეული საწარმოსთვის სპეციფიკური შეფასებების გაკეთება.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ბანკის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ბანკი ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“

2017 წლის მაისში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (ფასს 17), ამომწურავი ახალი სააღრიცხვო სტანდარტი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომელიც მოიცავს აღიარების და შეფასების, წარდგენისა და ინფორმაციის გახსნის საკითხებს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 17 ჩაანაცვლებს ფასს 4-ს „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (ფასს 4) რომელიც გამოიცა 2005 წელს. ფასს 17 ეხება ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებას (მაგ. სიცოცხლის, არასიცოცხლის, პირდაპირი დაზღვევა და გადაზღვევა), განურჩევლად იმისა, თუ რა ტიპი საწარმო აფორმებს მათ, ასევე გარკვეულ გარანტიებს და ფინანსურ ინსტრუმენტებს დისკრეციული მონაწილეობის პარამეტრებით. მის მოქმედების არეალში არ შედის გარკვეული გამონაკლისები. ფასს (IFRS) 17-ს ახალი სააღრიცხვო მოთხოვნა დაემატა დაზღვევის მახასიათებლების მქონე საბანკო პროდუქტებისთვის, რამაც შეიძლება იმოქმედოს იმის განსაზღვრაზე, თუ რომელი ინსტრუმენტები ან ამ ინსტრუმენტების რომელი პროდუქტები ექცევა ფასს 9-ის ან ფასს 17-ის მოქმედების არეალში.

საკრედიტო ბარათები და მსგავსი პროდუქტები, რომლებიც სადაზღვევო დაფარვას შეიცავს: ამ პროდუქტების გამცემთა უმეტესობა შეძლებს გააგრძელოს მათი ამჟამინდელი წესით, ანუ ფასს 9-ის მიხედვით ფინანსურ ინსტრუმენტად აღრიცხვა.

(ათას ლარში)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

ფასს 17 თავისი მოქმედების არეალიდან გამორიცხავს საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებებს (ან სხვა მსგავს ხელშეკრულებებს, რომლებიც შეიცავს საკრედიტო ან გადახდის სქემებს), რომლებიც აკმაყოფილებს სადაზღვევო ხელშეკრულების განმარტებას მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ საწარმო არ ასახავს ცალკეულ მომხმარებელთან დაკავშირებული სადაზღვევო რისკის შეფასებას ამ მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულების ფასის ოდენობაზე.

როდესაც სადაზღვევო დაფარვა შეთავაზებულია საკრედიტო ბარათის სახელშეკრულებო პირობების ფარგლებში, მისი გამცემი ვალდებულია:

- გამოაცალკევოს სადაზღვევო დაფარვის კომპონენტი და მასზე გამოიყენოს ფასს 17
- გამოიყენოს სხვა მოქმედი სტანდარტები (როგორებიცაა ფასს 9, ფასს 15 „შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ ან ბასს 37 „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“) მისი დანარჩენი კომპონენტებისთვის

სასესხო ხელშეკრულებები, რომლებიც აკმაყოფილებს დაზღვევის განმარტებას, მაგრამ ზღუდავს სადაზღვევო შემთხვევების ანაზღაურების თანხას იმ ოდენობამდე, რომელიც სხვა შემთხვევაში მოითხოვება ხელშეკრულების მიხედვით დამზღვევის ვალდებულების დასაფარად: ასეთი სესხების გამცემები - მაგ. სესხები სიკვდილის შემთხვევაში მოთხოვნის უფლების დათმობით - უფლება აქვთ გამოიყენონ ან ფასს 9, ან ფასს 17. ეს არჩევანი კეთდება პორტფელის დონეზე და შეუქცევადია.

ფასს 17 ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის და სავალდებულოა შედარებადი რიცხობრივი მონაცემების წარმოდგენა. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც, თუ საწარმო ასევე გამოიყენებს ფასს 9-სა და ფასს 15-ს, ფასს 17-ის პირველად გამოყენებამდე ან გამოყენების დღეს.

ბანკი ამჟამად აფასებს ფასს 17-ის მიღების გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ - ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის „10 პროცენტის“ ტესტში მოყვანილი საკომისიოები

ფასს-ის სტანდარტების 2018-2020 წლიური გაუმჯობესებების პროცესის ფარგლებში, ბასსს-მა გამოუშვა ფასს 9-ის შესწორება. ცვლილება განმარტავს საკომისიოებს, რომლებსაც საწარმო ითვალისწინებს იმის შეფასებისას, ახალი ან მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულების პირობები არსებითად განსხვავდება თუ არა თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების პირობებისგან. ამ საკომისიოებში შედის მხოლოდ მსესხებელსა და კრედიტორს შორის გადახდილი ან მიღებული საკომისიოები, მათ შორის ისინიც, რომლებიც მსესხებელმა ან კრედიტორმა ერთმანეთის სახელით გადაიხადეს ან მიიღეს. საწარმო ცვლილებებს იყენებს იმ ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც მოდიფიცირებული ან გაცვლილია იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღით ან თარიღიდან, რომლის განმავლობაშიც საწარმო პირველად იყენებს ამ ცვლილებას.

ცვლილება ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან უფრო გვიან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. ბანკი აღნიშნულ ცვლილებას გამოიყენებს ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც მოდიფიცირებული ან გაცვლილია იმ წლიური პერიოდის დასაწყისიდან, რომლის განმავლობაშიც იგი პირველად იყენებს ცვლილებას და არ მოელის, რომ ეს არსებით გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის შესწორება: მეორე ფაზის ცვლილებები ფასს (IFRS) 9-ში, ბასს (IAS) 39-ში, ფასს (IFRS) 7-ში. ფასს (IFRS) 4-სა და ფასს (IFRS) 16-ში

2020 წლის აგვისტოში ბასსს-მა გამოუშვა *საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის შესწორება - მეორე ფაზის* ცვლილებები ფასს (IFRS) 9-ში, ბასს (IAS) 39-ში, ფასს (IFRS) 7-ში. ფასს (IFRS) 4-სა და ფასს (IFRS) 16-ში (ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსების (IBOR) შესწორების მეორე ფაზა), ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსების ურისკო განაკვეთებით ჩანაცვლებით გამოწვეული ბუღალტრული პრობლემების გადასაჭრელად.

ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსების შესწორების მეორე ფაზა მოიცავს მთელ რიგ შეღავათს და დამატებით განმარტებებს. შეღავათები ვრცელდება ფინანსური ინსტრუმენტის ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსიდან ურისკო განაკვეთზე გადატანაზე.

(ათას ლარში)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის შესწორების შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძველში ცვლილებები, გამარტივებული მიდგომის მიხედვით, უნდა აღირიცხოს, როგორც ცვლილებები ცვალებად საპროცენტო განაკვეთში, თუკი ფინანსური ინსტრუმენტის გადატანა ბანკთაშორისი შეთავაზების საორიენტაციო ინდექსიდან ურისკო განაკვეთზე ხდება ეკონომიკურად თანაბარ პირობებში.

ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსების შესწორების მეორე ფაზას ბანკი 2021 წლის 1 იანვრიდან გამოიყენებს.

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2020	*2019*
ნაღდი ფული სალაროში	61,045	54,510
მიმდინარე ანგარიშები საკრედიტო დაწესებულებებში	76,649	45,795
მიმდინარე ანგარიშები სებ-ში	66,134	49,604
ვადიანი ანაბრები სებ-ში	3,275	–
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**207,103**	**149,909**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშების 64.81% განთავსებულია ორ არარეზიდენტ საკრედიტო დაწესებულებაში (2019 წ.: 73.15%).

ფულის ეკვივალენტების ყველა ნაშთი პირველ სტადიას განეკუთვნება; წლის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მნიშვნელოვან მოძრაობებს ადგილი არ ჰქონია.

6. მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების მიმართ

	2020	*2019*
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	229,128	153,569
ვადიანი დეპოზიტები საკრედიტო დაწესებულებებში	164	143
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების მიმართ	**229,292**	**153,712**

საკრედიტო დაწესებულებებს მოეთხოვებათ საქართველოს ეროვნულ ბანკში საპროცენტო სარგებლის მქონე დეპოზიტების (სავალდებულო რეზერვი) გახსნა, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია საკრედიტო დაწესებულებების მიერ მოზიდული თანხების მოცულობაზე. კანონმდებლობის შესაბამისად ბანკს შეზღუდული აქვს დეპოზიტზე არსებული თანხების გამოტანის უფლება.

2020 წელს აშშ დოლარის ანგარიშზე სავალდებულო რეზერვს ერიცხება პროცენტი აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის პოლიტიკის განაკვეთს მინუს 0.5%-ის ოდენობით (2019 წ.: აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის პოლიტიკის განაკვეთს მინუს 0.5%), ხოლო ევროს ანგარიშზე - როგორც ევროპის ცენტრალური ბანკის განაკვეთს მინუს 0.2% (2019 წ.: ევროპის ცენტრალური ბანკის განაკვეთს მინუს 0.2%).

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვადიან დეპოზიტებში შესული თანხა 164 ლარის ოდენობით (2019 წ.: 143 ლარი) განთავსებული იყო გრძელვადიან დეპოზიტებზე და დაგირავებული იყო საერთაშორისო ფინანსურ დაწესებულებებთან ოპერაციების ანგარიშსწორების უზრუნველყოფის სახით.

საკრედიტო დაწესებულებების მიმართ არსებული ნაშთი პირველ სტადიას განეკუთვნება; წლის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მნიშვნელოვან მოძრაობებს ადგილი არ ჰქონია.

(ათას ლარში)

7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები

	2020	*2019*
სამომხმარებლო სესხები	625,301	495,435
კორპორატიული სესხები	569,045	471,601
სესხები მცირე ბიზნესისთვის	239,431	215,375
ფიზიკური პირების ანაბრით უზრუნველყოფილი სესხები	3,279	4,385
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები, სულ	**1,437,056**	**1,186,796**
გამოკლებული - გაუფასურების რეზერვი	(38,405)	(33,236)
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები, წმინდა	**1,398,651**	**1,153,560**

მომხმარებლებზე გაცემული სესხები 57,493 ლარის მთლიანი ნომინალური ღირებულებით (2019 წ.: 24,302 ლარი) დაგირავებულია სებ-ის სესხის უზრუნველსაყოფად. იხ. მე-18 შენიშვნა.

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში კორპორატიული სესხების საერთო საბალანსო ღირებულებასა და შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილებების ანალიზი:

კორპორატიული სესხები	*1-ლი სტადია*	*მე-2 სტადია*	*მე-3 სტადია*	*სულ*
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**433,755**	**17,543**	**20,303**	**471,601**
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	417,500	–	–	**417,500**
დაფარული აქტივები	(354,087)	(13,286)	(24,267)	**(391,640)**
გადატანები პირველ სტადიაზე	41,522	(41,522)	–	**–**
გადატანები მეორე სტადიაზე	(65,545)	68,697	(3,152)	**–**
გადატანები მესამე სტადიაზე	–	(13,061)	13,061	**–**
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	521	**521**
ცვლილებები მოდელებში ან რისკის პარამეტრებში	–	9,589	4,769	**14,358**
მოდიფიკაციებით გამოწვეული ცვლილებები სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში	–	837	(1)	**836**
რეკლასიფიკაცია კრედიტის ოდენობიდან/ოდენობაში ამ კატეგორიიდან/კატეგორიაში მუხლების რეკლასიფიკაციის გამო*	5,631	–	–	**5,631**
აღდგენები	–	–	4,194	**4,194**
ჩამოწერილი თანხები	–	–	(6,392)	**(6,392)**
სავალუტო კურსის ცვლილება	46,505	2,257	3,674	**52,436**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**525,281**	**31,054**	**12,710**	**569,045**

**ეს თანხები წარმოადგენს გადატანებს პორტფელის მცირე ბიზნესის სესხებად, სამომხმარებლო სესხებად და კორპორატიულ სესხებად დაყოფაში შესული ცვლილების გამო.*

(ათას ლარში)

7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით

კორპორატიული სესხები	*1-ლი სტადია*	*მე-2 სტადია*	*მე-3 სტადია*	*სულ*
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(2,628)	(293)	(5,646)	(8,567)
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	(3,065)	–	–	(3,065)
დაფარული აქტივები	1,647	421	8,676	10,744
გადატანები პირველ სტადიაზე	(1,106)	1,106	–	–
გადატანები მეორე სტადიაზე	541	(733)	192	–
გადატანები მესამე სტადიაზე	–	283	(283)	–
პერიოდის განმავლობაში სტადიებს შორის კრედიტის ოდენობის გადატანების გავლენა პერიოდის ბოლოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	642	(1,224)	(705)	(1,287)
დისკონტის ამორტიზაცია (საპროცენტო შემოსავალში აღიარებული)	(49)	–	(521)	(570)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად გამოყენებული მოდელების და ამოსავალი მონაცემების ცვლილება	(357)	(496)	(5,722)	(6,575)
მოდიფიკაციებით გამოწვეული ცვლილებები სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში	–	(44)	–	(44)
აღდგენები	–	–	(4,194)	(4,194)
ჩამოწერილი თანხები	–	–	6,392	6,392
სავალუტო კურსის ცვლილება	(383)	(55)	(887)	(1,325)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(4,758)	(1,035)	(2,698)	(8,491)

კორპორატიული სესხები	*1-ლი სტადია*	*მე-2 სტადია*	*მე-3 სტადია*	*სულ*
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	373,933	23,314	13,516	410,763
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	423,384	–	–	423,384
დაფარული აქტივები	(347,664)	(41,049)	–	(388,713)
გადატანები პირველ სტადიაზე	14,618	(6,309)	(8,309)	–
გადატანები მეორე სტადიაზე	(39,758)	40,267	(509)	–
გადატანები მესამე სტადიაზე	(8,529)	(507)	9,036	–
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	183	183
მოდიფიკაციებით გამოწვეული ცვლილებები სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში	–	102	1	103
აღდგენები	–	–	6,749	6,749
ჩამოწერილი თანხები	–	–	(1,202)	(1,202)
სავალუტო კურსის ცვლილება	17,771	1,725	838	20,334
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	433,755	17,543	20,303	471,601

(ათას ლარში)

7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით (გაგრძელება)

კორპორატიული სესხები	*1-ლი სტადია*	*მე-2 სტადია*	*მე-3 სტადია*	*სულ*
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**(2,873)**	**(660)**	**(3,073)**	**(6,606)**
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	(2,439)	–	–	**(2,439)**
დაფარული აქტივები	2,901	1,002	–	**3,903**
გადატანები პირველ სტადიაზე	(2,145)	135	2,010	**–**
გადატანები მეორე სტადიაზე	299	(350)	51	**–**
გადატანები მესამე სტადიაზე	60	6	(66)	**–**
პერიოდის განმავლობაში სტადიებს შორის კრედიტის ოდენობის გადატანების გავლენა პერიოდის ბოლოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	1,122	(414)	(1,270)	**(562)**
დისკონტის ამორტიზაცია (საპროცენტო შემოსავალში აღიარებული)	–	–	(183)	**(183)**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად გამოყენებული მოდელების და ამოსავალი მონაცემების ცვლილება	539	31	2,623	**3,193**
აღდგენები	–	–	(6,749)	**(6,749)**
ჩამოწერილი თანხები	–	–	1,202	**1,202**
სავალუტო კურსის ცვლილება	(92)	(43)	(191)	**(326)**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(2,628)**	**(293)**	**(5,646)**	**(8,567)**

2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში მთლიან საბალანსო ღირებულებაში და მცირე ბიზნესის დაკრედიტებასთან დაკავშირებით მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში შესული ცვლილებების ანალიზი ასე გამოიყურება:

სესხები მცირე ბიზნესისთვის	*1-ლი სტადია*	*მე-2 სტადია*	*მე-3 სტადია*	*სულ*
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**212,221**	**188**	**2,966**	**215,375**
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	147,586	–	–	**147,586**
დაფარული აქტივები	(134,996)	(665)	(1,760)	**(137,421)**
გადატანები პირველ სტადიაზე	2,795	(1,326)	(1,469)	**–**
გადატანები მეორე სტადიაზე	(21,055)	21,055	–	**–**
გადატანები მესამე სტადიაზე	(686)	(2,028)	2,714	**–**
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	(14)	**(14)**
ცვლილებები მოდელებში ან რისკის პარამეტრებში	–	11	216	**227**
მოდიფიკაციებით გამოწვეული ცვლილებები სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში	–	(502)	7	**(495)**
რეკლასიფიკაცია კრედიტის ოდენობიდან/ოდენობაში ამ კატეგორიიდან/კატეგორიაში მუხლების რეკლასიფიკაციის გამო	(3,048)	36	–	**(3,012)**
აღდგენები	–	–	125	**125**
ჩამოწერილი თანხები	–	–	(192)	**(192)**
სავალუტო კურსის ცვლილება	16,935	40	277	**17,252**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**219,752**	**16,809**	**2,870**	**239,431**

(ათას ლარში)

7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით (გაგრძელება)

სესხები მცირე ბიზნესისთვის	*1-ლი სტადია*	*მე-2 სტადია*	*მე-3 სტადია*	*სულ*
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**(925)**	**(5)**	**(932)**	**(1,862)**
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	(236)	–	–	**(236)**
დაფარული აქტივები	177	53	263	**493**
გადატანები პირველ სტადიაზე	(192)	43	149	**–**
გადატანები მეორე სტადიაზე	111	(111)	–	**–**
გადატანები მესამე სტადიაზე	68	98	(166)	**–**
პერიოდის განმავლობაში სტადიებს შორის კრედიტის ოდენობის გადატანების გავლენა პერიოდის ბოლოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	101	(239)	–	**(138)**
დისკონტის ამორტიზაცია (საპროცენტო შემოსავალში აღიარებული)	–	–	15	**15**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად გამოყენებული მოდელების და ამოსავალი მონაცემების ცვლილება	647	18	193	**858**
მოდიფიკაციებით გამოწვეული ცვლილებები სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში	–	1	–	**1**
აღდგენები	–	–	(125)	**(125)**
ჩამოწერილი თანხები	–	–	192	**192**
სავალუტო კურსის ცვლილება	(22)	(1)	(40)	**(63)**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(271)**	**(143)**	**(451)**	**(865)**

სესხები მცირე ბიზნესისთვის	*1-ლი სტადია*	*მე-2 სტადია*	*მე-3 სტადია*	*სულ*
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**176,526**	**607**	**2,180**	**179,313**
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	166,018	–	–	**166,018**
დაფარული აქტივები	(134,394)	–	(1,454)	**(135,848)**
გადატანები პირველ სტადიაზე	2,992	(2,466)	(526)	**–**
გადატანები მეორე სტადიაზე	(4,543)	4,543	–	**–**
გადატანები მესამე სტადიაზე	(205)	(2,552)	2,757	**–**
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	75	**75**
ცვლილებები სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში მოდიფიკაციების გამო	–	17	16	**33**
აღდგენები	–	–	67	**67**
ჩამოწერილი თანხები	–	–	(282)	**(282)**
სავალუტო კურსის ცვლილება	5,827	39	133	**5,999**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**212,221**	**188**	**2,966**	**215,375**

(ათას ლარში)

7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით (გაგრძელება)

სესხები მცირე ბიზნესისთვის	*1-ლი სტადია*	*მე-2 სტადია*	*მე-3 სტადია*	*სულ*
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**(1,138)**	**(174)**	**(1,133)**	**(2,445)**
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	(822)	–	–	**(822)**
დაფარული აქტივები	662	–	757	**1,419**
გადატანები პირველ სტადიაზე	(447)	127	320	**–**
გადატანები მეორე სტადიაზე	230	(230)	–	**–**
გადატანები მესამე სტადიაზე	82	631	(713)	**–**
პერიოდის განმავლობაში სტადიებს შორის კრედიტის ოდენობის გადატანების გავლენა პერიოდის ბოლოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	222	(249)	–	**(27)**
დისკონტის ამორტიზაცია (საპროცენტო შემოსავალში აღიარებული)	–	–	(75)	**(75)**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად გამოყენებული მოდელების და ამოსავალი მონაცემების ცვლილება	315	(101)	(245)	**(31)**
ცვლილებები სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში მოდიფიკაციების გამო	–	(1)	(4)	**(5)**
აღდგენები	–	–	(67)	**(67)**
ჩამოწერილი თანხები	–	–	282	**282**
სავალუტო კურსის ცვლილება	(29)	(8)	(54)	**(91)**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(925)**	**(5)**	**(932)**	**(1,862)**

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში სამომხმარებლო სესხების მთლიან საბალანსო ღირებულებაში და შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში შესული ცვლილებების ანალიზი ასე გამოიყურება:

სამომხმარებლო სესხები	*1-ლი სტადია*	*მე-2 სტადია*	*მე-3 სტადია*	*სულ*
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**467,099**	**4,809**	**23,527**	**495,435**
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	321,068	–	–	**321,068**
დაფარული აქტივები	(204,988)	(2,626)	(4,823)	**(212,437)**
გადატანები პირველ სტადიაზე	13,879	(11,001)	(2,878)	**–**
გადატანები მეორე სტადიაზე	(37,964)	39,989	(2,025)	**–**
გადატანები მესამე სტადიაზე	(172)	(11,838)	12,010	**–**
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	575	**575**
ცვლილებები მოდელებში ან რისკის პარამეტრებში	–	3,730	434	**4,164**
ცვლილებები სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში მოდიფიკაციების გამო	–	(1,672)	(39)	**(1,711)**
რეკლასიფიკაცია კრედიტის ოდენობიდან/ოდენობაში ამ კატეგორიიდან/კატეგორიაში მუხლების რეკლასიფიკაციის გამო	(2,583)	(36)	–	**(2,619)**
აღდგენები	–	–	412	**412**
ჩამოწერილი თანხები	–	–	(1,804)	**(1,804)**
სავალუტო კურსის ცვლილება	21,878	147	193	**22,218**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**578,217**	**21,502**	**25,582**	**625,301**

(ათას ლარში)

7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით (გაგრძელება)

სამომხმარებლო სესხები	*1-ლი სტადია*	*მე-2 სტადია*	*მე-3 სტადია*	*სულ*
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**(4,421)**	**(736)**	**(17,648)**	**(22,805)**
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	(3,524)	–	–	**(3,524)**
დაფარული აქტივები	2,610	179	3,659	**6,448**
გადატანები პირველ სტადიაზე	(2,223)	1,315	908	**–**
გადატანები მეორე სტადიაზე	1,965	(2,685)	720	**–**
გადატანები მესამე სტადიაზე	9	3,036	(3,045)	**–**
პერიოდის განმავლობაში სტადიებს შორის კრედიტის ოდენობის გადატანების გავლენა				
პერიოდის ბოლოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	1,700	(2,374)	(2,314)	**(2,988)**
დისკონტის ამორტიზაცია (საპროცენტო შემოსავალში აღიარებული)	19	–	(575)	**(556)**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად გამოყენებული მოდელების და ამოსავალი მონაცემების ცვლილება	(1,354)	(282)	(5,360)	**(6,996)**
ცვლილებები სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში მოდიფიკაციების გამო	–	46	33	**79**
აღდგენები	–	–	(413)	**(413)**
ჩამოწერილი თანხები	–	–	1,804	**1,804**
სავალუტო კურსის ცვლილება	(27)	(5)	(66)	**(98)**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(5,246)**	**(1,506)**	**(22,297)**	**(29,049)**

სამომხმარებლო სესხები	*1-ლი სტადია*	*მე-2 სტადია*	*მე-3 სტადია*	*სულ*
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**499,186**	**8,967**	**20,541**	**528,694**
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	230,298	–	–	**230,298**
დაფარული აქტივები	(264,344)	(2,460)	(5,029)	**(271,833)**
გადატანები პირველ სტადიაზე	31,082	(26,584)	(4,498)	**–**
გადატანები მეორე სტადიაზე	(37,658)	42,139	(4,481)	**–**
გადატანები მესამე სტადიაზე	(878)	(17,689)	18,567	**–**
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	907	**907**
ცვლილებები სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში მოდიფიკაციების გამო	–	304	34	**338**
აღდგენები	–	–	1,320	**1,320**
ჩამოწერილი თანხები	–	–	(3,920)	**(3,920)**
სავალუტო კურსის ცვლილება	9,413	132	86	**9,631**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**467,099**	**4,809**	**23,527**	**495,435**

(ათას ლარში)

7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით (გაგრძელება)

სამომხმარებლო სესხები	*1-ლი სტადია*	*მე-2 სტადია*	*მე-3 სტადია*	*სულ*
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**(5,104)**	**(1,097)**	**(13,698)**	**(19,899)**
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	(2,253)	–	–	**(2,253)**
დაფარული აქტივები	2,925	247	5,184	**8,356**
გადატანები პირველ სტადიაზე	(3,540)	2,090	1,450	**–**
გადატანები მეორე სტადიაზე	2,101	(4,010)	1,909	**–**
გადატანები მესამე სტადიაზე	18	4,347	(4,365)	**–**
პერიოდის განმავლობაში სტადიებს შორის კრედიტის ოდენობის გადატანების გავლენა პერიოდის ბოლოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	2,533	(1,855)	(3,848)	**(3,170)**
დისკონტის ამორტიზაცია (საპროცენტო შემოსავალში აღიარებული)	–	–	(907)	**(907)**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად გამოყენებული მოდელების და ამოსავალი მონაცემების ცვლილება	(1,074)	(440)	(5,918)	**(7,432)**
ცვლილებები სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში მოდიფიკაციების გამო	–	(11)	(15)	**(26)**
აღდგენები	–	–	(1,320)	**(1,320)**
ჩამოწერილი თანხები	–	–	3,920	**3,920**
სავალუტო კურსის ცვლილება	(27)	(7)	(40)	**(74)**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(4,421)**	**(736)**	**(17,648)**	**(22,805)**

ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები, რომლებიც დეპოზიტით არის უზრუნველყოფილი, პირველ სტადიას განეკუთვნება; 2020 წლისა და 2019 წლის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებთან მიმართებაში, რომლებიც დეპოზიტებით არის უზრუნველყოფილი, მთლიანი საბალანსო ღირებულების ცვლილებების ანალიზი მოიცავდა შემდეგს:

ფიზიკური პირების ანაბრით უზრუნველყოფილი სესხები	*1-ლი სტადია*
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**4,385**
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	7,546
დაფარული აქტივები	(9,206)
სავალუტო კურსის ცვლილება	554
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,279**

ფიზიკური პირების ანაბრით უზრუნველყოფილი სესხები	*1-ლი სტადია*
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**7,397**
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	8,797
დაფარული აქტივები	(12,238)
სავალუტო კურსის ცვლილება	429
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**4,385**

(ათას ლარში)

7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

მოდიფიცირებული და რესტრუქტურიზებული სესხები

თუ ცვლილება არ იწვევს არსებითად განსხვავებულ ფულად ნაკადებს, ცვლილება არ გამოიწვევს აღიარების შეწყვეტას. ბანკი საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული ფულადი ნაკადების ცვლილების საფუძველზე აღრიცხავს მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს, თუ გაუფასურების ზარალი უკვე არ არის აღრიცხული.

2020 წლის განმავლობაში ბანკმა მოახდინა გარკვეული კორპორატიული და კომერციული სესხების პირობების მოდიფიცირება, მათ შორის, გადახდის გადავადება, მთავრობის მიერ კოვიდ 19-ის პანდემიასთან დაკავშირებით მიღებული ღონისძიებების ფარგლებში. ბანკი ამ მოდიფიკაციებს არაარსებითად მიიჩნევს. ბანკმა აღიარა წმინდა მოდიფიკაციის ზარალი 1,386 ლარის მუხლში 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

მეორე და მესამე სტადიის აქტივები, რომელთა მოდიფიკაცია მოხდა პერიოდის განმავლობაში და ბანკმა განიცადა მოდიფიკაციით გამოწვეული ზარალი, შედგებოდა სესხებისგან, რომელთა ამორტიზებული ღირებულება მოდიფიკაციამდე იყო 24,904 ლარი, ხოლო მოდიფიკაციით გამოწვეული წმინდა ზარალი შეადგენდა 173 ლარს (2019 წ.: 25,144 ლარი და 474 ლარის შემოსულობა).

იმ სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულება, რომელთა ზარალის რეზერვი შეიცვალა მოდიფიკაციის შედეგად 12-თვიანი შეფასებით პერიოდის განმავლობაში, 2020 წლის 31 დეკემბრისთვის 11,390 ლარს გაუტოლდა (2019 წ.: 9,032 ლარი).

უზრუნველყოფის საგანი და საკრედიტო რისკის შემცირება

უზრუნველყოფისათვის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია კონტრაჰენტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. ამ მიზნით შემუშავებულია უზრუნველყოფის ტიპებისა და შეფასების პარამეტრები და ინსტრუქციები.

მიღებული უზრუნველყოფის ძირითადი ტიპებია:

- კომერციული სესხებისათვის: უძრავი ქონება, სასაქონლო მატერიალური მარაგები, სავაჭრო დებიტორული დავალიანება და საბანკო გარანტიები და დეპოზიტები;
- საცალო სესხებისათვის - საბანკო დეპოზიტები, საცხოვრებელი ფართის გირაო, სასაქონლო მატერიალური მარაგები, საყოფაცხოვრებო აქტივები და მესამე მხარეთა თავდებობა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ფლობილი უზრუნველყოფის საგნის და გაუფასურებული (მე-3 სტადია) აქტივების საკრედიტო რისკის შემცირების მიმდინარე სამართლიანი ღირებულების ანალიზი. უზრუნველყოფის საგნის დონიდან გამომდინარე, მე-3 სტადიის ზოგიერთ კრედიტს შესაძლოა არ ჰქონდეს ინდივიდუალური მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, როდესაც უზრუნველყოფის საგნის მოსალოდნელი ღირებულება აღემატება დანაკარგებს დეფოლტის შემთხვევაში თუმცა, მესამე სტადიის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შესაძლოა აღემატებოდეს ქვემოთ ნაჩვენებ ოდენობებს.

	საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა	*საბაზისო სცენარის ფარგლებში ფლობილი უზრუნველყოფის საგნის სამართლიანი ღირებულება*						*რისკის წმინდა ოდენობა*	*დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი*
		ფულადი სახსრები/ დეპოზიტები	*ფასიანი ქაღალდები*	*უძრავი ქონება*	*სხვა**	*უზრუნველყოფის საგნის ნამეტი*	*სულ უზრუნველყოფა*		
31 დეკემბერი, 2020 წ.	**41,162**	**–**	**–**	**26,368**	**17,956**	**(31,291)**	**13,033**	**28,129**	**25,446**
სამომხმარებლო სესხები	**25,582**	–	–	6,612	–	(5,598)	**1,014**	**24,568**	22,297
კორპორატიული სესხები	**12,710**	–	–	19,756	17,956	(25,693)	**12,019**	**691**	2,698
სესხები მცირე ბიზნესისთვის	**2,870**	–	–	–	–	–	**–**	**2,870**	451

(ათას ლარში)

7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

უზრუნველყოფის საგანი და საკრედიტო რისკის შემცირება (გაგრძელება)

	საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა	*საბაზისო სცენარის ფარგლებში ფლობილი უზრუნველყოფის საგნის სამართლიანი ღირებულება*						*რისკის წმინდა ოდენობა*	*დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი*
		ფულადი სახსრები/დეპოზიტები	*ფასიანი ქაღალდები*	*უძრავი ქონება*	*სხვა**	*უზრუნველყოფის საგნის ნამეტი*	*სულ უზრუნველყოფა*		
31 დეკემბერი, 2019 წ.	**46,796**	**30**	**–**	**28,100**	**22,873**	**(35,607)**	**15,396**	**31,400**	**24,226**
სამომხმარებლო სესხები	**23,527**	30	–	5,212	–	(4,161)	**1,081**	**22,446**	17,648
კორპორატიული სესხები	**20,303**	–	–	21,454	21,832	(29,560)	**13,726**	**6,577**	5,646
სესხები მცირე ბიზნესისთვის	**2,966**	–	–	1,434	1,041	(1,886)	**589**	**2,377**	932

* *მოძრავი ქონება, აღჭურვილობა და სასაქონლო-მატერიალური მარაგები.*

ზედა ცხრილი ასახავს ინფორმაციას მხოლოდ იმ უზრუნველყოფის საგნის შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას. ბანკს შეიძლება სხვა ტიპის უზრუნველყოფის საგნებიც ჰქონდეს, რომლებიც არ მოქმედებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაზე. შედარებითი ინფორმაცია წარმოდგენილია მიმდინარე პერიოდის წარდგენასთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2020 წლის განმავლობაში ბანკის მიერ დასაკუთრებულმა უზრუნველყოფამ (მიწა და შენობა-ნაგებობები) დასაკუთრების მომენტში არსებული თვითღირებულებით შეადგინა 22,176 ლარი (2019 წ.: 8,350 ლარი), რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც საინვესტიციო ქონება და სასაქონლო-მატერიალური მარაგები დასაკუთრებული უზრუნველყოფის ღირებულებით 6,007 ლარი და 16,169 ლარი (შესაბამისი თანმიმდევრობით) (2019 წ.: 1,571 ლარი და 6,779 ლარი). იხილეთ მე-11 და მე-14 შენიშვნები.

ბანკის პოლიტიკით, დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნების გაყიდვა რეგულირდება შესაბამისი პროცედურებით. რეალიზაციიდან მიღებული თანხები გამოიყენება აუნაზღაურებელი მოთხოვნების შესამცირებლად ან დასაფარად. ზოგადად, „ბანკი“ დასაკუთრებულ აქტივებს კომერციული მიზნებისათვის არ იყენებს.

მომხმარებლებზე გაცემული სესხებისა და ავანსების კონცენტრაცია

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის სესხების კონცენტრაცია ათ უმსხვილეს მესამე მხარე მსესხებელზე შეადგენდა 268,916 ლარს, ანუ მთლიანი სასესხო პორტფელის 18.71%-ს. (2019 წ.: 219 ლარი ანუ 18.46%). აღნიშნული სესხებისათვის შეიქმნა რეზერვი 2,490 ლარის (2019 წ.: 1,267 ლარი) ოდენობით.

მომხმარებლებზე გაცემულ მთლიან სესხებში შედის მსესხებელთა ჯგუფის მიმართ გაცემული 38,851 ლარის კრედიტის ოდენობა, რაც მთლიანი საკრედიტო პორტფელის 2.7%-ს შეადგენს (2019 წ.: 28,112 ლარი, ანუ 2.37%), რასაც ერიცხება წლიური 5%-12% და ვადა ეწურება 2026 წლის აგვისტოში (2019 წ.: წლიური საპროცენტო განაკვეთი 11.5%-ის ოდენობით და ვადა 2028 წლის სექტემბრამდე).

სესხები შემდეგი ტიპის მომხმარებლებზეა გაცემული:

	2020	*2019*
მეწარმე იურიდიული პირები	790,025	679,163
ფიზიკური პირები	628,580	499,820
სახელმწიფო ორგანიზაციები	18,451	7,813
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები, სულ	**1,437,056**	**1,186,796**

(ათას ლარში)

7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხებისა და ავანსების კონცენტრაცია (გაგრძელება)

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომხმარებლებზე გაცემული სესხებისა და ავანსების (რომლებიც ძირითადად საქართველოშია გაცემული) განაწილება დარგების მიხედვით:

	2020	*2019*
ფიზიკური პირები	628,581	499,820
ვაჭრობა და მომსახურება	466,597	342,951
სოფლის მეურნეობა და საკვები პროდუქტების გადამუშავება	91,140	71,551
წარმოება	86,053	86,788
ენერგეტიკა	53,818	50,439
უძრავი ქონების მშენებლობა	49,247	27,653
ტრანსპორტი და ტელეკომუნიკაციები	16,706	14,697
ფინანსური	2,576	36,911
სხვა	42,338	55,986
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები, სულ	**1,437,056**	**1,186,796**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა გამოიყენა ხელმძღვანელობის დაშვებები ცვლილებებზე, რომ აესახა კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენის გამო ეკონომიკური კრიზისის პოტენციურ სიმძიმესთან და ხანგრძლივობასთან, ასევე ისეთ სექტორებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა, როგორიცაა საცალო, სასტუმროები და რესტორნები (სასტუმროების, რესტორნებისა და დასვენების ინდუსტრიის ფარგლებში), უძრავი ქონების მართვა-განვითარება, მშენებლობა, გრძელვადიანი მოხმარების საქონელი, ტანსაცმელი და ქსოვილები, ავტომანქანების და ავტონაწილების, და ღვინის პროდუქტების სექტორები.

8. საინვესტიციო და სავაჭრო ფასიანი ქაღალდები

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები მოიცავს შემდეგს:

	2020	*2019*
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ფასიანი ქაღალდები		
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები	123,016	91,512
საქართველოს ეროვნული ბანკის სახაზინო თამასუქები	–	9,931
კორპორაციული ობლიგაციები	34,775	19,510
გამოკლებული - გაუფასურების რეზერვი	(827)	(311)
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ფასიანი ქაღალდები	**156,964**	**120,642**
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული წილობრივი ფასიანი ქაღალდები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.		
კორპორაციული აქციები	54	54
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული წილობრივი ფასიანი ქაღალდები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.	**54**	**54**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	**157,018**	**120,696**

ყველა სავალო ფასიანი ქაღალდი ამორტიზებული ღირებულებით პირველ სტადიას განეკუთვნება. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეადგენდა 827 ლარს (2019 წ.: 311 ლარი), ხოლო ცვლილება წლის განმავლობაში შეადგენდა 516 ლარს.

(ათას ლარში)

8. საინვესტიციო და სავაჭრო ფასიანი ქაღალდები

სავაჭრო ფასიანი ქაღალდები მოიცავს შემდეგს:

	2020	*2019*
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები		
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები	9,781	–
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები	**9,781**	**–**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, 71,618 ლარის მთლიანი ნომინალური ღირებულებით (2019 წ.: 27,000 ლარი) დაგირავდა სებ-ისგან მიღებული სესხის უზრუნველსაყოფად. იხ. მე-18 შენიშვნა.

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების დინამიკა 2020 და 2019 წლებში შემდეგია:

	მიწა და შენობა-ნაგებობები	*კომპიუტერული და საკომუნიკაციო ტექნიკა*	*ავეჯი და საოფისე ტექნიკა*	*კომუნალური სისტემები და მასთან დაკავშირებული მოწყობილობები*	*სატრანსპორტო საშუალებები*	*საიჯარო ქონების გაუმჯობესება*	*სულ*
თვითღირებულება ან გადაფასებული ღირებულება							
31 დეკემბერი, 2018 წ.	**33,170**	**12,879**	**9,792**	**1,938**	**2,074**	**1,891**	**61,744**
შემოსვლები	294	2,054	823	–	112	1,296	**4,579**
გადატანა საინვესტიციო ქონებიდან (მე-11 შენიშვნა)	580	–	–	–	–	–	**580**
გასხვისება და ჩამოწერა	(682)	(896)	(491)	–	(198)	(93)	**(2,360)**
31 დეკემბერი, 2019 წ.	**33,362**	**14,037**	**10,124**	**1,938**	**1,988**	**3,094**	**64,543**
შემოსვლები	76	3,108	114	–	–	75	**3,373**
გასხვისება და ჩამოწერა	–	–	–	–	–	(338)	**(338)**
31 დეკემბერი, 2020 წ.	**33,438**	**17,145**	**10,238**	**1,938**	**1,988**	**2,831**	**67,578**
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება							
31 დეკემბერი, 2018 წ.	**–**	**(9,425)**	**(7,539)**	**(500)**	**(1,114)**	**–**	**(18,578)**
ცვეთის დანარიცხი	(619)	(1,689)	(713)	(68)	(310)	(601)	**(4,000)**
გასხვისება და ჩამოწერა	5	896	474	–	176	49	**1,600**
31 დეკემბერი, 2019 წ.	**(614)**	**(10,218)**	**(7,778)**	**(568)**	**(1,248)**	**(552)**	**(20,978)**
ცვეთის დანარიცხი	(631)	(1,691)	(710)	(68)	(228)	(679)	**(4,007)**
გასხვისება და ჩამოწერა	–	–	–	–	–	69	**69**
31 დეკემბერი, 2020 წ.	**(1,245)**	**(11,909)**	**(8,488)**	**(636)**	**(1,476)**	**(1,162)**	**(24,916)**
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი, 2018 წ.	**33,170**	**3,454**	**2,253**	**1,438**	**960**	**1,891**	**43,166**
31 დეკემბერი, 2019 წ.	**32,748**	**3,819**	**2,346**	**1,370**	**740**	**2,542**	**43,565**
31 დეკემბერი, 2020 წ.	**32,193**	**5,236**	**1,750**	**1,302**	**512**	**1,669**	**42,662**

(ათას ლარში)

9. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ბანკის ქონება ბოლოს შეფასდა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შემფასებელი არის ასეთი ტიპის ძირითადი საშუალებების შეფასების სპეციალისტი. საბაზრო ფასის დასადგენად გამოყენებულ იქნა ინფორმაცია აქტიური ბაზრიდან. საბაზრო მიდგომა გამოიყენებოდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით, მიღებული ღირებულების დასამოწმებლად გამოყენებულია შემოსავლის მეთოდი, როდესაც არ არსებობდა მსგავსი საკუთრებისთვის იმავე სივრცულ მონაკვეთში მიმდინარე გაყიდვებზე ან საიჯარო განაკვეთებზე ინფორმაცია. ბანკის ქონების სამართლიანი ღირებულების შეფასება დაწვრილებით აღწერილია 25-ე შენიშვნაში.

ხელმძღვანელობის დასკვნით, ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ქონების სამართლიანი ღირებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბაზრო დიაპაზონში თავსდება, კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენის გათვალისწინებით კორექტირების შედეგად, და, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათი საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. აქედან გამომდინარე, ბანკის 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მიწა და შენობა-ნაგებობების გადაფასების აღიარება საჭირო არ არის.

მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასება რომ არ მომხდარიყო, თავდაპირველი თვითღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იქნებოდა 29,085 ლარი (2019 წ.: 29,123 ლარი), ხოლო დარიცხული ცვეთა შეადგენდა 8,497 ლარს (2019 წ.: 7,849 ლარი).

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ექსპლუატაციაში მყოფი, მაგრამ სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების მთლიანი ღირებულება შეადგენდა 16,606 ლარსა და 15,177 ლარს, შესაბამისად.

10. იჯარა

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულებების მოძრაობა ასეთია

	აქტივის გამოყენების უფლება შენობები	*საიჯარო ვალდებულებები*
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**9,443**	**10,143**
შემოსვლები	755	755
ცვეთის ხარჯი	(2,416)	–
საპროცენტო ხარჯი	–	479
გადახდები	–	(3,067)
შეწყვეტა	(1,452)	(1,746)
საკურსო სხვაობა	–	1,013
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**6,330**	**7,577**

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულებების მოძრაობა ასეთია:

	აქტივის გამოყენების უფლება შენობები	*საიჯარო ვალდებულებები*
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**9,632**	**9,638**
შემოსვლები	2,265	2,265
ცვეთის ხარჯი	(2,454)	–
საპროცენტო ხარჯი	–	594
გადახდები	–	(2,955)
საკურსო სხვაობა	–	601
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**9,443**	**10,143**

ბანკმა აღიარა 521 ათასი ლარის ხარჯი თავისი მოკლევადიანი იჯარებიდან 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის (2019 წ.: 656 ლარი). იხ. 23-ე შენიშვნა. იჯარებთან დაკავშირებით გადინებული ფულადი სახსრები ჯამში 3,588 ლარს გაუტოლდა (2019 წ.: 3,611 ლარი).

(ათას ლარში)

11. საინვესტიციო ქონება

	2020	*2019*
საწყისი ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	**18,689**	**20,271**
შემოსვლები	6,007	1,571
გასვლები	(1,004)	(3,490)
რეკლასიფიცირებული ძირითად საშუალებებში (მე-9 შენიშვნა)	–	(580)
რეკლასიფიცირებული დასაკუთრებული უზრუნველყოფის სასაქონლო-მატერიალური მარაგებიდან	1,716	607
შემოსულობა საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან და გაყიდვიდან	1,066	310
საბოლოო ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**26,474**	**18,689**

შემოსულობა საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან და გაყიდვიდან შედგებოდა გაყიდვის შედეგად მიღებული 170 ლარის შემოსულობისგან (2019 წ.: 898 ლარი) და გადაფასების შედეგად მიღებული 896 ლარის შემოსულობისგან (2019 წ.: 586 ლარის ზარალი).

საინვესტიციო ქონება არის მიწისა და შენობებისგან შემდგარი უძრავი ქონება, რომელიც ბანკმა მიიღო დაუფარავი სესხების უზრუნველყოფის საგნების დასაკუთრებით. იხილეთ მე-7 შენიშვნა.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დამოუკიდებელმა შემფასებელმა განსაზღვრა ბანკის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება. შემფასებელი არის ასეთი ტიპის ქონების შეფასების სპეციალისტი. სამართლიანი ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც შეფასების დღეს შეიძლება აქტივი გაიცვალოს საქმის მცოდნე და გარიგების მოსურნე მხარეებს შორის „გაშლილი ხელის პრინციპით“ შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის სტანდარტების შესაბამისად.

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა ბაზრის მონაცემების საფუძველზე. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებულია საბაზრო მეთოდი (25-ე შენიშვნა).

12. გადასახადები

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და გავრცელდა საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი თავდაპირველად 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ბანკებისთვის ცვლილების ძალაში შესვლის თარიღი 2018 წლის 27 დეკემბრიდან გადაიწია 2023 წლის 1 იანვრამდე. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით განაწილებული მოგება, და არა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად მიღებული მოგება. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა იანგარიშება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

ბოლო ცვლილების ძალაში შესვლის შემდეგ ბანკმა გადაიანგარიშა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადააფასა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 2023 წლის 1 იანვრის შემდგომი პერიოდებისთვის და შესაბამისად აღიარა გადავადებული საგადასახადო ხარჯი 2018 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ბასს 12-ის *„მოგებიდან გადასახადები“* თანახმად, ბანკმა გაუნაწილებელი მოგებისთვის გამოიყენა 0%-იანი საგადასახადო განაკვეთი იმ აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში, რომელთა რეალიზაცია ან გასტუმრება მოსალოდნელია ახალი ცვლილების მოქმედების პერიოდებში.

(ათას ლარში)

12. გადასახადები (გაგრძელება)

2020 და 2019 წლებში ბანკის მოგება იბეგრება 15%-იანი საგადასახადო განაკვეთით. მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო განაკვეთისგან. კანონმდებლობით გათვალისწინებული და რეალური განაკვეთების მიხედვით მოგების გადასახადის სარგებლის ხარჯის შედარება ასეთია:

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს:

	2020	*2019*
მიმდინარე გადასახადის ხარჯი	–	(978)
გადავადებული საგადასახადო ხარჯი – დროებითი სხვაობების წარმოშობა და გაუქმება.	(388)	(1,363)
მინუს: სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული გადავადებული გადასახადი	–	–
მოგების გადასახადის ხარჯი	**(388)**	**(2,341)**

მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო განაკვეთისგან. ქვემოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული განაკვეთების მიხედვით მოგების გადასახადის ხარჯი შესაბამისობაშია მოყვანილი გადასახადის რეალურ ოდენობასთან:

	2020	*2019*
დასაბეგრი მოგება	**27,102**	**32,096**
კანონით დადგენილი საგადასახადო განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით	**(4,065)**	**(4,814)**
ცვლილება აუღიარებელ გადავადებულ საგადასახადო აქტივებში	(2,387)	–
შემოსავლები, რომლებიც არ ექვემდებარება დაბეგვრას, შემცირებული საგადასახადო მიზნებისათვის აღიარებული შემოსავლებით	6,182	2,496
გამოუქვითავი ხარჯები	(118)	(23)
მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი	**(388)**	**(2,341)**

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი მოძრაობა შესაბამის წლებში ასეთია:

	დროებითი სხვაობების წარმოშობა და შემობრუნება				
საგადასახადო ეფექტი გამოსაქვით დროებით სხვაობებზე	*2018*	*მოგება-ზარალის ანგარიშ-გებაში*	*2019*	*მოგება-ზარალის ანგარიშ-გებაში*	*2020*
გაუფასურების რეზერვი და სხვა დანაკარგების ანარიცხები	73	(14)	59	7	66
მომდევნო პერიოდებში გადატანილი საგადასახადო ზარალი	–	–	–	2,387	2,387
ფინანსური ინსტრუმენტების კორექტირება ეფექტური საპროცენტო განაკვეთების შესაბამისად	2,801	(729)	2,072	(290)	1,782
დარიცხული ხარჯები	1,388	(82)	1,306	216	1,522
სხვა	22	(6)	16	(2)	14
მთლიანი გადავადებული საგადასახადო აქტივი	**4,284**	**(831)**	**3,453**	**2,318**	**5,771**
აუღიარებელი გადავადებული საგადასახადო აქტივები	–	–	–	(2,387)	(2,387)
გადავადებული საგადასახადო აქტივები	**4,284**	**(831)**	**3,453**	**(69)**	**3,384**
დასაბეგრი დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი					
სესხების გაუფასურების რეზერვი	(3,784)	(528)	(4,312)	(565)	(4,877)
ძირითადი საშუალებები	(523)	(13)	(536)	304	(232)
გაუფასურების და სხვა დანაკარგების რეზერვი	(169)	46	(123)	(70)	(193)
ფინანსური ინსტრუმენტების კორექტირება ეფექტური საპროცენტო განაკვეთების შესაბამისად	–	(37)	(37)	12	(25)
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	**(4,476)**	**(532)**	**(5,008)**	**(319)**	**(5,327)**
წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	**(192)**	**(1,363)**	**(1,555)**	**(388)**	**(1,943)**

ბანკის აუღიარებელი გადავადებული საგადასახადო აქტივი, რომელიც უკავშირდება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის დაგროვილ საგადასახადო ზარალს, უდრის 2,387 ლარს, რომელსაც ვადა 2023 წელს გაუვა, თუ არ მოხდება მისი ათვისება.

(ათას ლარში)

13. საკრედიტო ზარალის ამოღება/(ხარჯი) და სხვა გაუფასურება და ანარიცხები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დარიცვხები ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომლებიც ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

	შენიშვნა	*1-ლი სტადია*	*მე-2 სტადია*	*მე-3 სტადია*	*სულ*
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		(2)	–	–	**(2)**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	7	(1,839)	(1,589)	(2,802)	**(6,230)**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები		(516)	–	–	**(516)**
სხვა ფინანსური აქტივები		1	–	(85)	**(84)**
საკრედიტო ზარალის ამოღება/(ხარჯი)		**(2,354)**	**(1,590)**	**(2,887)**	**(6,832)**
ფინანსური გარანტიები		12	(18)	–	**(6)**
სასესხო ვალდებულებები		(136)	–	–	**(136)**
ანარიცხები საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებისთვის		**(124)**	**(18)**	**–**	**(142)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დარიცვხები ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომლებიც ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

	შენიშვნა	*1-ლი სტადია*	*მე-2 სტადია*	*მე-3 სტადია*	*სულ*
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		(1)	–	–	**(1)**
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების მიმართ		–	–	–	**–**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	7	1,289	953	(2,141)	**101**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები		(32)	–	–	**(32)**
სხვა ფინანსური აქტივები		(60)	–	93	**33**
საკრედიტო ზარალის ამოღება/(ხარჯი)		**1,196**	**953**	**(2,048)**	**101**
ფინანსური გარანტიები		100	5	1	**106**
სასესხო ვალდებულებები		(397)	–	–	**(397)**
აკრედიტივები		2	–	–	**2**
კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებების ანარიცხების შემობრუნება		**(295)**	**5**	**1**	**(289)**

(ათას ლარში)

14. სხვა აქტივები და ვალდებულებები

სხვა აქტივებს მიეკუთვნება:

	2020	*2019*
ფინანსური აქტივები		
დაუსრულებელი ანგარიშსწორება ფულადი გადარიცხვებით	3,838	3,405
წარმოებული ფინანსური აქტივები	799	9,559
სხვა	187	227
სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი	(85)	(84)
ფინანსური აქტივები, სულ	**4,739**	**13,107**
არაფინანსური აქტივები		
დასაკუთრებული უზრუნველყოფის სასაქონლო-მატერიალური მარაგები	22,981	10,099
არამატერიალური აქტივები	18,438	10,614
გადახდილი ავანსები	3,416	1,682
წინასწარ გაწეული ხარჯები	3,015	3,308
წინასწარ გადახდილი საოპერაციო გადასახადები	–	395
ხელმისაწვდომი სასაქონლო-მატერიალური მარაგები	171	194
სხვა	269	269
არაფინანსური აქტივები, სულ	**48,290**	**26,561**
სხვა აქტივები	**53,029**	**39,668**

არამატერიალური აქტივების მოძრაობა 2020 და 2019 წლების განმავლობაში ასეთი იყო:

	არამატერიალური აქტივები
თვითღირებულებით	
31 დეკემბერი, 2018 წ.	**13,038**
შემოსვლები	3,999
31 დეკემბერი, 2019 წ.	**17,037**
შემოსვლები	9,809
გასხვისება და ჩამოწერა	(56)
31 დეკემბერი, 2020 წ.	**26,790**
დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება	
31 დეკემბერი, 2018 წ.	**(4,708)**
ამორტიზაციის დანარიცხი წლის განმავლობაში (23-ე შენიშვნა)	(1,715)
31 დეკემბერი, 2019 წ.	**(6,423)**
ამორტიზაციის დანარიცხი წლის განმავლობაში (23-ე შენიშვნა)	(1,985)
სრულად ამორტიზებული მუხლების ჩამოწერა	56
31 დეკემბერი, 2020 წ.	**(8,352)**
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი, 2019 წ.	**10,614**
31 დეკემბერი, 2020 წ.	**18,438**

ყველა სხვა ფინანსური აქტივი პირველ სტადიას განეკუთვნება საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით და წლის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მნიშვნელოვან მოძრაობებს ადგილი არ ჰქონია.

(ათას ლარში)

14. სხვა აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

სხვა ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	2020	*2019*
ფინანსური ვალდებულებები		
დარიცხული პრემია	8,944	7,421
საიჯარო ვალდებულებები (10-ე შენიშვნა)	7,577	10,143
არამატერიალური აქტივების შეძენასთან დაკავშირებული ანგარიშსწორება	3,822	–
დაუსრულებელი ანგარიშსწორება ფულადი გადარიცხვებით	1,720	534
დარიცხული ხარჯები	1,639	1,408
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	1,512	24
დარიცხული გამოუყენებელი შვებულება	1,228	1,076
ანარიცხები კრედიტთან დაკავშირებული გარებალანსური ვალდებულებებისთვის	924	706
ანგარიშსწორება პლასტიკური ბარათებით	706	1,951
სხვა	10	300
სულ ფინანსური ვალდებულებები	**28,082**	**23,563**
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	1,983	2,113
ბანკის აქციონერებისათვის გადასახდელი დივიდენდები	1,061	1,062
გადასახდელი საოპერაციო გადასახადები	795	–
სულ არაფინანსური ვალდებულებები	**3,839**	**3,175**
სხვა ვალდებულებები	**31,921**	**26,738**

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავდა უცხოური ვალუტის ფორვარდულ და სვოპ ოპერაციებს, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიებში მიეკუთვნებოდა მეორე დონეს.

14. სხვა აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები შეფასებულია შეფასების მეთოდით, რომელიც იყენებს აქტიური ბაზრის მონაცემებს. გამოყენებული მეთოდიკა მოიცავს ფორვარდულ ფასწარმოქმნას, სვოპ მოდელებს, მიმდინარე ღირებულების გამოთვლის გამოყენებით. მოდელები შეიცავს სხვადასხვა მონაცემს მხარეთა საკრედიტო რეიტინგის, სავალუტო სვოპების და ფორვარდული კურსისა და საპროცენტო განაკვეთის მრუდის ჩათვლით. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს შემდეგს:

	2020				*2019*			
	პირობითი თანხა		*სამართლიანი ღირებულებები*		*პირობითი თანხა*		*სამართლიანი ღირებულებები*	
	აქტივი	*ვალდე-ბულება*	*აქტივი*	*ვალდე-ბულება*	*აქტივი*	*ვალდე-ბულება*	*აქტივი*	*ვალდე-ბულება*
სავალუტო ხელშეკრულებები								
ფორვარდები და სვოპები – უცხოურ ვალუტაში	249,320	248,028	799	1,512	294,196	281,741	9,559	24
სულ წარმოებული აქტივები/ ვალდებულებები	**249,320**	**248,028**	**799**	**1,512**	**294,196**	**281,741**	**9,559**	**24**

(ათას ლარში)

15. ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების წინაშე

	2020	*2019*
მიმდინარე ანგარიშები	17,524	2,480
მშობელი ბანკისგან მიღებული სახსრები	12,696	13,380
ვადიანი ანაბრები და სესხები	1,209	19,443
ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების წინაშე	**31,429**	**35,303**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მშობელი ბანკისგან მიღებული სესხების დაფარვის ვადა 2021 წლის ივნისამდეა (2019 წ.: 2021 წლის ივნისი), ხოლო წლიური საპროცენტო განაკვეთი 7.11%-ია (2019: 7.11%).

16. ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ

	2020	*2019*
ფიზიკური პირები		
მიმდინარე/მოთხოვნამდე ანგარიშები	121,892	96,912
ვადიანი ანაბრები	422,130	337,739
სულ ვალდებულებები ფიზიკური პირების წინაშე	**544,022**	**434,651**
სახელმწიფო და საბიუჯეტო ორგანიზაციები		
მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიშები	24,778	25,148
ვადიანი ანაბრები	–	1,846
სულ ვალდებულებები სახელმწიფო და საბიუჯეტო ორგანიზაციების წინაშე	**24,778**	**26,994**
მეწარმე იურიდიული პირები		
მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიშები	515,198	446,659
ვადიანი ანაბრები	252,857	167,150
სულ ვალდებულებები მეწარმე იურიდიული პირების წინაშე	**768,055**	**613,809**
სულ ვალდებულებები იურიდიული პირების წინაშე	**792,833**	**640,803**
სულ ვალდებულებები მომხმარებლების წინაშე	**1,336,855**	**1,075,454**
გაცემული სესხების აუთვისებელი ნაწილის უზრუნველყოფა	714	212
გაცემული გარანტიების უზრუნველყოფა	13,115	21,275
აკრედიტივების უზრუნველყოფა	1,750	54
აკრედიტივების, აუთვისებელი სესხისა და გაცემული გარანტიების უზრუნველსაყოფად განკუთვნილი ნაღდი ფულის მთლიანი ოდენობა	**15,579**	**21,541**
ანგარიშსწორების ოპერაციების უზრუნველყოფა	1,135	1,014

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომხმარებლების მიმართ 384,017 ლარის (28.73%) ვალდებულებები მოდიოდა ათ უმსხვილეს მომხმარებელზე, რომლებიც მესამე მხარეები არიან (2019 წ.: 275,577 ლარი (25.62%)).

მომხმარებელთა ანგარიშების ანალიზი დარგების მიხედვით შემდეგია:

	2020	*2019*
ფიზიკური პირები	544,022	434,651
ენერგეტიკა	242,394	128,861
ტრანსპორტი და კომუნიკაცია	147,853	83,044
უძრავი ქონების მშენებლობა	132,573	38,979
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	114,361	118,905
წარმოება	51,979	33,868
სახელმწიფო	40,561	26,995
ვაჭრობა და მომსახურება	24,778	179,671
სოფლის მეურნეობა	15,073	4,984
განათლება	5,173	9,629
სხვა	18,088	15,867
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	**1,336,855**	**1,075,454**

(ათას ლარში)

17. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

სავალო ფასიანი ქაღალდები მოიცავდა შემდეგს:

სადეპოზიტო სერტიფიკატები	*2020*	*2019*
ფასდაკლების სერტიფიკატები	117,339	67,394
კუპონური სერტიფიკატები	44,521	18,424
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	**161,860**	**85,818**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სადეპოზიტო სერტიფიკატები მოიცავდა დისკონტირებულ სადეპოზიტო სერტიფიკატებს, რომელთა ვადაც 2021 წლის იანვრიდან 2025 წლის თებერვლამდე მერყეობდა (2019 წ.: 2020 წლის იანვრიდან 2024 წლის ოქტომბრამდე), ხოლო კუპონური სადეპოზიტო სერტიფიკატების ვადა - 2021 წლის იანვრიდან 2028 წლის იანვრამდე (2019 წ.: 2020 წლის იანვრიდან 2024 წლის დეკემბრამდე).

დასაშვებია სადეპოზიტო სერტიფიკატების თავისუფლად გადაყიდვა ან მესამე მხარისთვის სხვაგვარად გადაცემა ბანკისათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე.

18. სხვა ნასესხები სახსრები

	2020	*2019*
სებ-ისგან ნასესხები სახსრები	116,287	45,057
მშობელი ბანკისგან ნასესხები სახსრები	56,103	68,175
საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	5,564	4,816
სახელმწიფო ორგანოებისგან ნასესხები სახსრები	434	682
სხვა ნასესხები სახსრები	**178,388**	**118,730**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მშობელი ბანკისგან ნასესხები სახსრების დაფარვის ვადები მერყეობდა 2021 წლის მარტიდან 2022 წლის მაისამდე (2019 წ.: 2019 წლის აპრილიდან 2022 წლის მაისამდე), ხოლო წლიური საპროცენტო განაკვეთი 3.46%-დან 7.45% მდე (2019 წ.: 3.21%-დან 7.45% მდე). იხილეთ 27-ე შენიშვნა.

2020 წლის 31 დეკემბრისთვის, სებ-ისგან 116,287 ლარის (2019 წ.: 45,057 ლარი) ოდენობით მიღებული სესხები უზრუნველყოფილი იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფასიანი ქაღალდებით, 71,618 ლარის ნომინალური ღირებულებით (2019 წ.: 27,000 ლარი) და მომხმარებლებზე გაცემული სესხების პორტფელით, 57,493 ლარის ნომინალური ღირებულებით (2019 წ.: 24,302 ლარი). ნასესხები სახსრების ვადები ამოიწურა 2021 წლის იანვარში (2019 წ.: 2020 წლის იანვარი) და მათი წლიური საპროცენტო განაკვეთი 8.04%-დან 8.07%-მდე მერყეობს (2019 წ.: 9.21%).

2020 წლის და9 201 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელმწიფო ორგანიზაციებიდან ნასესხები სახსრები მოიცავდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისგან ენერგოსექტორის კომპანიების დაფინანსებისთვის მიღებულ თანხებს. ნასესხები თანხები გამოხატულია ევროში, მათი წლიური საპროცენტო განაკვეთია 3% (2019 წ.: 3%), ხოლო დაფარვის ვადა – 2021 წლის ნოემბერი (2019 წ.: 2021 წლის ნოემბერი).

19. საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

ნებადართული და მთლიანად განაღდებული ჩვეულებრივი აქციების მოძრაობა ასეთია:

	ნებადართული აქციების რაოდენობა	*განაღდებული კაპიტალის აქციების რაოდენობა*	*ნომინალური ოდენობა, ლარში*
31 დეკემბერი, 2018 წ.	209,008,277	209,008,277	209,008
31 დეკემბერი, 2019 წ.	209,008,277	209,008,277	209,008
31 დეკემბერი, 2020 წ.	209,008,277	209,008,277	209,008

ბანკის საწესდებო კაპიტალში აქციონერთა მიერ შენატანი ხორციელდებოდაÍლარში, შესაბამისად, კაპიტალი უნდა განაწილდეს დივიდენდის ან სხვა სახით მხოლოდ ლარში.

(ათას ლარში)

19. საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)

უვადო სუბორდინირებული სესხი

2016 წლის 29 დეკემბერს ბანკმა მიიღო 300 მილიონი რუბლის უვადო სუბორდინირებული სესხი (13,098 ლარი). 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უვადო სუბორდინირებული სესხის საბალანსო ღირებულება იყო 13,209 ლარი (2019 წ.: 13,926 ლარი). 2020 წლის განმავლობაში ბანკმა გადაიხადა 1,334 ლარის ოდენობის პროცენტი (2019 წ.: 1,206 ლარი). უვადო სუბორდინირებულ სესხს ვადა არ აქვს განსაზღვრული და ბანკს აქვს მისი გამოსყიდვის საშუალება. კუპონის განაკვეთი შედგება რუსეთის ცენტრალური ბანკის ძირითად განაკვეთს + 2.5%-ისგან. ბანკს უპირობო უფლება აქვს, საკუთარი შეხედულებისამებრ გააუქმოს საპროცენტო გადახდები გადახდის თარიღამდე თარიღამდე კრედიტორისთვის შეტყობინების გაგზავნით.

ბანკის ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი ხელშეკრულებაში მითითებულზე მეტად რომ შემცირებულიყო, უვადო სუბორდინირებული სესხი, გადასახდელი პროცენტით, ჩამოიწერებოდა იმდენად, რამდენადაც ეს საჭირო იქნებოდა ხელშეკრულების მოთხოვნის შესაბამისი ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტის აღსადგენად.

დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დივიდენდების განაწილება შეიძლება გამოცხადდეს ბანკის აქციონერებისთვის წმინდა მოგებიდან, რომელიც მოცემულია ბანკის მიერ სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებულ არაკონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. სებ-ი უნდა იყოს ინფორმირებული დივიდენდების გამოცხადების შესახებ. იმ შემთხვევაში თუ კომერციული ბანკი არღვევს სებ-ის სარეგულაციო მოთხოვნებს, მას აქვს უფლება შეაჩეროს ან აკრძალოს დივიდენდების გაცემა.

2019-2020 წლებში დივიდენდები არ გამოცხადებულა და არ გადახდილა აქციონერებისთვის.

20. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო გარემო

2020 წლის მარტში, კორონავირუსის გავრცელების თავიდან ასარიდებლად, საქართველოს მთავრობამ შემოიღო მკაცრი კარანტინი და თვითიზოლაციის ზომები. საქართველოს საზღვრები დაიკეტა უცხო ქვეყნების მოქალაქეებისთვის და შეჩერდა რეგულარული ფრენები. ბაზრები, მაღაზიები და გართობის ცენტრები დაიხურა, საბაყლო მაღაზიების გარდა. დაწესდა კომენდანტის საათი საღამოს 9 საათიდან დილის 5 საათამდე, რათა შეზღუდულიყო საზოგადოებრივი და კერძო ტრანსპორტირება, ფეხით გადადგილების ჩათვლით.

შეზღუდვები ეტაპობრივად მოიხსნა მაისის ბოლოდან. გამონაკლისს წარმოადგენს ავიაფრენები და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის საზღვრების გახსნა. თუმცა, კოვიდ-19-ის პანდემიის მეორე ტალღის გავრცელების გამო, ნოემბრის ბოლოდან რამდენიმე შეზღუდვა კვლავ დაბრუნდა სოფლად.

2020 წელს რეალური მშპ-ის ზრდა უარყოფითი იყო და, წინასწარი შეფასებით, 6.1%-ს შეადგენდა (2019 წ.: 5%-იანი ზრდა). ინფლაციის ტემპი დეკემბერში 2.4% იყო (2019 წ.: 7%). სავაჭრო ბალანსმა დადებითი ტენდენცია აჩვენა წლის დასაწყისიდან იმპორტის ვარდნის ფონზე, ექსპორტის კლებასთან შედარებით.

საქსტატის მიხედვით, 2020 წელს ექსპორტი, წინა წელთან შედარებით, 12.0%-ით შემცირდა და 3.3 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 11.7%-ით შემცირდა და 8.0 მილიარდ აშშ დოლარს გაუტოლდა. შესაბამისად, სავაჭრო დეფიციტი 11.5%-ით შემცირდა, 4.6 მილიონ აშშ დოლარამდე.

2020 წელს საქართველოში საზღვარგარეთ მომუშავე მოსახლეობის ფულადი გზავნილებიდან მიღებული წმინდა შემოსავალი 1.639 მილიონ აშშ დოლარს გაუტოლდა (9.6%-იანი ზრდა გასულ წელთან შედარებით).

საქართველოს ეროვნული ვალუტა გარკვეულწილად, კერძოდ, 14.3%-ით გაუფასურდა 2020 წლის განმავლობაში, და 31 დეკემბრისთვის ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 3.2766 იყო.

(ათას ლარში)

20. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების განაკვეთი ეტაპობრივად შეამცირა 9%-დან 8%-მდე, რათა წაეხალისებინა შიდა მოთხოვნა პანდემიის გამო ეკონომიკური დაღმავლობის ფონზე. ამავდროულად, იგი აქტიურად ჩაერია სავალუტო ბაზარში, რომ გაენეიტრალებინა ეროვნული ვალუტის გაუფასურების გადმოყოლილი ეფექტი ინფლაციაზე. წლის დასაწყისიდან სებ-ა 873.2 მილიონი აშშ დოლარი გამოჰყო სავალუტო ბაზრისთვის.

დღეისათვის საბანკო სექტორი აგრძელებს საქართველოს ეკონომიკის დაფინანსებას და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის კლების უარყოფითი ეფექტების შემსუბუქებას. 2020 წლისთვის საკრედიტო ინვესტიციები 19.8%-ით გაიზარდა და 6.3 მილიონი ლარი შეადგინა.

ვინაიდან კოვიდ-19-ის პანდემია გრძელდება და მისი ხანგრძლივობა და ახლო მომავალში ეკონომიკის გამოცოცხლების შესაძლებლობა გაურკვეველია, ბანკის ხელმძღვანელობა აგრძელებს სიტუაციაზე დაკვირვებას, რათა დროულად შეაფასოს და რეაგირება მოახდინოს შესაბამის გამოწვევებსა და რისკებზე. ამ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის კორონავირუსის შემთხვევების კლება, სახელმწიფო ზომები მასობრივი ვაქცინაციის დასაწყებად და დაწესებული შეზღუდვების მოსახსნელად, 2021 წელს ეკონომიკის აღდგენის გარკვეულ იმედს იძლევა.

იურიდიული საკითხები

დროდადრო, საქმიანობის ჩვეულებრივი მსვლელობისას ბანკის წინააღმდეგ ხდება სარჩელის აღძვრა. ანგარიშგების დღისთვის ბანკის მიღებული ჰქონდა რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნა. ამასთან, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაძლოა მოხდეს რესურსების გადინება, შესაბამისად წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ამისათვის შესაბამისი რეზერვი არ გამოყოფილა.

31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის პირობითი ფინანსური ვალდებულებები შედგებოდა შემდეგისგან:

	2020	*2019*
საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები		
გაცემული სესხების აუთვისებელი ნაწილი	137,741	89,602
გაცემული გარანტიები	78,797	75,960
აკრედიტივები	1,750	54
კრედიტის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებები	25	267
პირობითი ფინანსური ვალდებულებები (უზრუნველყოფის გამოქვითვამდე)	**218,313**	**165,883**
გამოკლებული – გაცემული აკრედიტივების უზრუნველსაყოფად განკუთვნილი ნაღდი ფული, აუთვისებელი სესხი და გაცემული გარანტიები (მე-16 შენიშვნა)	(15,579)	(21,541)
პირობითი ფინანსური ვალდებულებები	**202,734**	**144,342**

ვალდებულებები, ძირითადად, პირველ სტადიას მიეკუთვნება. წლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მნიშვნელოვანი მოძრაობა არ დაფიქსირებულა.

(ათას ლარში)

21. წმინდა საკომისიო შემოსავალი

	2020	*2019*
საკომისიო საანგარიშსწორებო ოპერაციებიდან	11,576	12,401
საკომისიო გარანტიებიდან და კრედიტთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებებიდან	2,149	2,208
საკომისიო ნაღდი ფულით შესრულებული ოპერაციებიდან	1,170	1,443
სხვა	182	255
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო	**15,077**	**16,307**
საკომისიო საანგარიშსწორებო ოპერაციებიდან	(7,138)	(9,745)
საკომისიო ნაღდი ფულით შესრულებული ოპერაციებიდან	(835)	(1,421)
საკომისიო გარანტიებიდან და კრედიტთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებებიდან	(385)	(330)
სხვა	(13)	(16)
საკომისიო ხარჯი	**(8,371)**	**(11,512)**
წმინდა საკომისიო შემოსავალი	**6,706**	**4,795**

22. სხვა შემოსავალი

	2020	*2019*
სესხის პირობების დარღვევების შედეგად მიღებული ჯარიმები	3,190	4,687
დეპოზიტების ვადაზე ადრე გატანის შედეგად მიღებული ჯარიმები	724	676
ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის კამპანიაზე დანახარჯების ანაზღაურება	616	948
საიჯარო ვალდებულებების ვადაზე ადრე დაფარვის გამო დაკისრებული ჯარიმები	295	–
შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან	146	167
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების ვადაზე ადრე გატანის შედეგად მიღებული ჯარიმები	140	3
სადაზღვევო კომპანიების მიერ ანაზღაურებული ზარალი	–	265
ძირითადი საშუალების რეალიზაციით მიღებული შემოსულობა	–	166
სხვა	526	202
სხვა შემოსავალი	**5,637**	**7,114**

23. ხელფასები და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2020	*2019*
ხელფასები	27,769	27,104
ბონუსები და პრემიები	11,429	11,041
დადგენილშენატანიანი საპენსიო პროგრამის ხარჯი	567	583
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	**39,765**	**38,728**
პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერა	2,209	1,703
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (მე-14 შენიშვნა)	1,985	1,715
მარკეტინგი და რეკლამა	1,286	2,217
საკომუნიკაციო მომსახურება	1,229	1,112
იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურება	1,204	969
საოფისე მარაგები	1,159	981
ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და შეკეთების ხარჯი	907	977
საოპერაციო გადასახადები	891	627
კომუნალური მომსახურება	722	822
შენობის დატვირთვა და იჯარა	521	656
წარმომადგენლობითი ხარჯები	513	817
დაზღვევის ხარჯი	495	385
საბარათე ოპერაციებთან დაკავშირებული სხვა ხარჯები	434	362
საქველმოქმედო საქმიანობა	332	65
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურება	300	–
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	274	59
პროფესიული მომსახურების ხარჯები	259	339
დაცვა-უსაფრთხოება	102	114
სამივლინებო ხარჯები	86	380
სხვა	1,198	948
სხვა საოპერაციო ხარჯები	**16,106**	**15,248**

(ათას ლარში)

23. ხელფასები და სხვა საოპერაციო ხარჯი

აუდიტორის საზღაური

ბანკის აუდიტორის ანაზღაურება 31 დეკემბრით დასრულებული 2020 და 2019 წლებისთვის მოიცავს შემდეგს (დღგ-ის გარეშე):

	2020	*2019*
გასამრჯელო ბანკის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის	142	142
სხვა მარწმუნებელი მომსახურების დანახარჯები	37	107
სხვა პროფესიული მომსახურების დანახარჯები	6	6
სულ გასამრჯელო	**185**	**255**

24. რისკის მართვა

რისკი წარმოადგენს საბანკო საქმიანობების შემადგენელ ნაწილს და ის იმართება იდენტიფიკაციის, შეფასების, მონიტორინგის, რისკების კონტროლის და რისკის მართვის სხვა ზომების ხანგრძლივი პროცესით. ბანკის რისკის პოზიცია მოიცავს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საბაზრო და საოპერაციო რისკებს.

რისკების კონტროლის დამოუკიდებელი პროცესი არ მოიცავს ისეთ ბიზნეს რისკებს, როგორებიცაა გარემო პირობების, ტექნოლოგიების და ინდუსტრიის ცვლილებების რისკები. ისინი კონტროლდება ბანკის სტრატეგიული დაგეგმარების პროცესით.

რისკის მართვის სტრუქტურა

რისკების იდენტიფიკაციასა და კონტროლს ახორციელებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო, მაგრამ რისკების მართვა და ზედამხედველობა ხორციელდება ბანკის დამოუკიდებელი ორგანოების მიერ.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია რისკების მართვის საერთო მიდგომის ჩამოყალიბებასა და რისკების მართვის სტრატეგიებისა და პრინციპების დამტკიცებაზე.

2019 წელს სამეთვალყურეო საბჭოს ბაზაზე შეიქმნა რისკის კომიტეტი, რომელიც შედგება სამეთვალყურეო საბჭოს სამი წევრისგან. რისკის კომიტეტი მიმოიხილავს ბანკის რისკის მართვის საკითხებს მარეგულირებლის მოთხოვნების თანახმად.

დირექტორთა საბჭო

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია რისკების მართვის საერთო პროცესის ხელმძღვანელობაზე ბანკში. 2019 წელს რისკის მართვის აღმასრულებელი კომიტეტი შეიქმნა დირექტორთა საბჭოს ბაზაზე. რისკის მართვის აღმასრულებელი კომიტეტი სრულად არის პასუხისმგებელი რისკის სტრატეგიის შემუშავებასა და პრინციპების, სტრუქტურის, პოლიტიკისა და ლიმიტების დანერგვაზე. კომიტეტი პასუხისმგებელია რისკის ძირითად საკითხებზე და მართავს და ამოწმებს რისკთან დაკავშირებულ შესაბამის გადაწყვეტილებებს. აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი მართავს საბაზრო და ლიკვიდურობის რისკებს და გადაწყვეტილებებს იღებს ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის თაობაზე.

რისკების მართვის დეპარტამენტი (რისკის დეპარტამენტი) – პასუხისმგებელია რისკებთან დაკავშირებული პროცედურების დანერგვასა და ფუნქციონირებაზე რისკების კონტროლის პროცესის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით. 2020 წლის ბოლოსთვის რისკის დეპარტამენტი შემდეგი განყოფილებებისგან შედგებოდა:

- კონსოლიდირებული რისკის ანალიზის განყოფილება;
- კორპორატიული საკრედიტო რისკის განყოფილება;
- საცალო საკრედიტო რისკის განყოფილება;

(ათას ლარში)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)

დირექტორთა საბჭო (გაგრძელება)

- საბაზრო რისკების განყოფილება;
- საოპერაციო რისკების განყოფილება;
- უზრუნველყოფის საგნის შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფი;
- საკრედიტო გარიგებების მონიტორინგის ჯგუფი.

რისკის შესაბამისობის განყოფილება

რისკების შესაბამისობის განყოფილებამ ზედამხედველობა უნდა გაუწიოს ბანკის პროცედურების შესაბამისობას რისკების პრინციპებთან, პოლიტიკასთან და ლიმიტებთან. თითოეულ ბიზნეს ჯგუფს XXXXXXXXXXXXXXXXXX აქვს დეცენტრალიზებული სტრუქტურული ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია რისკების დამოუკიდებელ კონტროლზე, მათ შორის ლიმიტების დარღვევის რისკის მართვაზე და ახალი პროდუქციისა თუ ტრანზაქციის რისკების შეფასებაზე. აღნიშნული დეპარტამენტი ასევე უზრუნველყოფს რისკების სრულყოფილ ასახვას რისკის შეფასებისა და ანგარიშგების სისტემებში.

ბანკის ხაზინა

ბანკის ხაზინა პასუხისმგებელია ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვაზე. ასევე, ხაზინის ძირითად მოვალეობას წარმოადგენს ბანკის დაფინანსებისა და ლიკვიდურობის რისკის მართვა.

შიდა აუდიტი

ბანკში რისკების მართვის პროცესებს ყოველწლიურად მეთვალყურეობს ბანკის შიდა აუდიტი, რომელიც ამოწმებს პროცედურების ადეკვატურობასა და ბანკის შესაბამისობას პროცედურებთან. შიდა აუდიტი ყველა შეფასების შედეგს განიხილავს ხელმძღვანელობასთან და შედეგებსა და რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის მეშვეობით მოახსენებს.

რისკის შეფასებისა და ანგარიშგების სისტემა

ბანკი რისკები ფასდება ისეთი მეთოდით, რომელიც განიხილავს როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში მოსალოდნელ დანაკარგს, ისე გაუთვალისწინებელ დანაკარგს, რომელიც წარმოადგენს სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე პროგნოზირებულ რეალურ ზარალს. მეთოდი ალბათობებს იყენებს წარსულში მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომლებიც დაკორექტირებულია ეკონომიკური გარემოს გასათვალისწინებლად. ბანკი განიხილავს ყველაზე პესიმისტური სცენარის შესაძლო შედეგებსაც, რაც შეიძლება განვითარდეს ისეთ უკიდურეს პირობებში, რომელთა დადგომაც ჩვეულებრივ ნაკლებად სავარაუდოა.

სხვადასხვა ბიზნეს განყოფილებიდან მიღებული ინფორმაციის შემოწმება და დამუშავება ხდება იმისათვის, რომ მოხდეს რისკების აღმოჩენა, ანალიზი და კონტროლი ადრეულ სტადიაზე. ამ ინფორმაციის წარდგენა ხდება დირექტორთა საბჭოსთვის, აქტივ-პასივების მართვის კომიტეტისთვის და რისკის მართვის აღმასრულებელი კომიტეტისთვის, ასევე თითოეული ბიზნესგანყოფილების ხელმძღვანელისთვის. ანგარიში მოიცავს მთლიან საკრედიტო რისკს, საკრედიტო საპროგნოზო მაჩვენებლებს, ლიკვიდურობის კოეფიციენტებსა და რისკის სტრუქტურაში ცვლილებებს. ყოველთვიურად მზადდება დეტალური ანგარიში, რომელიც შეიცავს ინფორმაციას დარგის, მომხმარებლის და გეოგრაფიული რისკების შესახებ. რისკების მართვის განყოფილება ყოველთვიურად აფასებს სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვის ადეკვატურობას.

ყოველდღიურად დირექტორთა საბჭოს და ბანკის სხვა შესაბამის თანამშრომლებს წარედგინება ინფორმაცია ლიკვიდურობის შესახებ.

რისკის შემცირება

რისკების მართვის ფარგლებში, ბანკი სხვადასხვა შემამსუბუქებელ ინსტრუმენტს იყენებს დაქვემდებარების სამართავად, მათ შორის უზრუნველყოფის საგნის გამოყენების ჩათვლით საკრედიტო რისკების შესამცირებლად (დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ).

(ათას ლარში)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ბანკმა განიცადოს ზარალი, თუ მისი მომხმარებლები, კლიენტები ან მონაწილე მხარეები ვერ შეძლებენ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას. ბანკი საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით ცალკეული მონაწილე მხარეებისთვის და რისკების ამ ლიმიტებთან შესაბამისობის მონიტორინგით.

საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების რისკი

ბანკი თავის მომხმარებლებს სთავაზობს გარანტიებს და აკრედიტივებს, რომელთა მიხედვითაც ბანკს შესაძლოა მოუწიოს მათი სახელით გადახდა. ამ თანხების ამოღება მომხმარებლებისგან ხდება შესაბამისი ხელშეკრულების პირობების მიხედვით. ამ შემთხვევაში, ბანკი დგას სესხის გაცემის ანალოგიური რისკების წინაშე, ამ რისკების შემცირება ხდება სესხებზე გამოყენებული პოლიტიკისა და კონტროლის პროცესების შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კომპონენტების, მათ შორის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების მაქსიმალურ საკრედიტო რისკს ყველაზე უკეთ ასახავს მათი საბალანსო ღირებულება, ურთიერთგაქვითვის და უზრუნველყოფის ხელშეკრულებებით ამ რისკების შემცირების ეფექტამდე.

თუ ფინანსური ინსტრუმენტები აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით, საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მიმდინარე საკრედიტო რისკის დონეს და არა მაქსიმალურ დონეს, რომელიც მომავალში შეიძლება წარმოიშვას ღირებულების შეცვლის შედეგად.

გაუფასურების შეფასება

ბანკი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს გამოითვლის ალბათობის რამდენიმე სცენარზე დაყრდნობით იმისათვის, რომ შეაფასოს ფულადი სახსრების მოსალოდნელი დეფიციტი, რომელიც დისკონტირებულია ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. ფულადი სახსრების დეფიციტი არის სხვაობა ხელშეკრულების შესაბამისად საწარმოსთვის გადასახდელ ფულად ნაკადებს და იმ ფულად ნაკადებს, რომელთა მიღებასაც საწარმო მოელის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ და მისი ძირითადი კომპონენტებია:

დეფოლტის ალბათობა – დეფოლტის ალბათობა არის გარკვეული დროის განმავლობაში დეფოლტის დადგომის შესაძლებლობის შეფასება. დეფოლტი შეიძლება დადგეს მხოლოდ შესაფასებელი პერიოდის გარკვეულ მომენტში, თუ ინსტრუმენტის აღიარება მანამდე არ შეწყვეტილა და ჯერ კიდევ პორტფელის ნაწილია.

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება – დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება არის დავალიანების შეფასება დეფოლტის სამომავლო თარიღისთვის, საანგარიშგებო თარიღის შემდეგ დავალიანებაში მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით, რომელთა შორისაცაა ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა, ხელშეკრულების მიხედვით ან სხვაგვარად, კრედიტების, რომელთა გაცემის ვალდებულება ნაკისრია, მოსალოდნელი ათვისება და გადაუხდელ შენატანებზე დარიცხული პროცენტი.

დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში – დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში არის დროის გარკვეულ მომენტში დეფოლტის დადგომის შემთხვევაში წარმოქმნილი ზარალის შეფასება. ეყრდნობა სხვაობას გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელთა მიღებასაც კრედიტორი მოელის, მათ შორის უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის გზით. ჩვეულებრივ, გამოიხატება დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების პროცენტის სახით.

(ათას ლარში)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება იმ საკრედიტო ზარალების საფუძველზე, რომელთა წარმოშობაც მოსალოდნელია აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში („აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საკრედიტო რისკი არ გაზრდილა აქტივის წარმოშობიდან, რა შემთხვევაშიც, რეზერვი ეყრდნობა 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). 12-თვიანი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, კერძოდ ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და 12-თვიანი საკრედიტო ზარალი გამოითვლება ან ინდივიდუალურად, ან კოლექტიურად, შესაბამისი ფინანსური აქტივების პორტფელის ხასიათიდან გამომდინარე.

ბანკმა დანერგა პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის აფასებს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის თუ არა გაზრდილი ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი, რისთვისაც ითვალისწინებს დეფოლტის რისკის ცვლილებას ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში. ზემოაღნიშნულ პროცესზე დაყრდნობით, ბანკი აჯგუფებს თავის სესხებს 1-ელ, მე-2, მე-3 სტადიებად და შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებულად, როგორც აღწერილია ქვემოთ:

1-ლი სტადია:	სესხების თავდაპირველი აღიარებისას ბანკი ქმნის რეზერვს 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით. პირველი სტადიის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია და სესხი რეკლასიფიცირებულია მეორე სტადიიდან.
მე-2 სტადია:	როდესაც სესხის წარმოშობის შედეგად საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, ბანკი ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. მეორე სტადიის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია და სესხი რეკლასიფიცირებულია მესამე სტადიიდან. მეორე სტადიაზე გადასვლის მნიშვნელოვანი კრიტერიუმები: საანგარიშგებო თარიღში ბანკის სესხის ძირითადი თანხის და/ან პროცენტის ვალდებულების ვადაგადაცილებული თანხა, ასევე სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებები ნებისმიერ კონტრაჰენტის ინსტრუმენტზე, რომლებსაც აქვთ 31-დან 90 დღემდე ვადაგადაცილება; შიდა რეიტინგის 5-ზე მეტი ნიშნულით კლება A-რეიტინგისთვის, 4 ნიშნულზე მეტი კლება B-რეიტინგისთვის და 3 ნიშნულზე მეტი კლება სხვა რეიტინგებისთვის ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარების შემდეგ; კონტრაჰენტის ნებისმიერ ინსტრუმენტს აქვს პოტენციური პრობლემის ტრანზაქციის სტატუსი.
მე-3 სტადია:	მე-3 სტადიაზე გადასვლის კრიტერიუმები მოიცავს საკრედიტო გაუფასურების განმსაზღვრელ კრიტერიუმებს, რომლებიც ბანკის მეთოდოლოგიით დეფოლტის მაჩვენებლების ეკვივალენტია. ბანკის ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს.
შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურე-ბული:	შეძენილი და წარმოშობილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საკრედიტო რისკზე მორგებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებაში უნდა გათვალისწინდეს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი თავდაპირველი აღიარების თარიღში; ამგვარი ინსტრუმენტებისთვის გაუფასურების რეზერვები არ შექმნილა. თანმიმდევრულ საანგარიშგებო თარიღებში გაუფასურების რეზერვების დაანგარიშება საკრედიტო ზარალის მხოლოდ სიცოცხლის მანძილზე დაგროვილი მოძრაობების შეფასებას მოითხოვს.

დეფოლტის და გამოსწორების განმარტება

ბანკი ფინანსურ ინსტრუმენტს გადაუხდელად და, შესაბამისად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსაანგარიშებლად, მე-3 სტადიაზე მყოფად (საკრედიტო რისკით გაუფასურებულად) მიიჩნევს მაშინ, როდესაც მსესხებელი 90 დღით დააგვიანებს ხელშეკრულების თანახმად გადახდას. ამასთან, კორპორატიული მსესხებლებისთვის დეფოლტის შემდეგი ფაქტორები არსებობს: დეფოლტის რესტრუქტურიზაცია, გარიგებების ჩამოწერა ან გაყიდვა, კონტრაჰენტის გაკოტრება ან ლიკვიდაცია, პრობლემური სესხები. ბანკი ბანკების მიმართ არსებულ თანხებს მიიჩნევს გადაუხდელად და იღებს დაუყოვნებლივ ზომებს მაშინ, როდესაც დღის განმავლობაში მოთხოვნილი გადახდები არ იფარება საქმიანობის დახურვის დროისთვის ცალკეული ხელშეკრულებების შესაბამისად.

(ათას ლარში)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

თვისებრივი შეფასების პროცესის შემადგენელი ნაწილის სახით, იმის განსასაზღვრად, კონტრაჰენტს დარღვეული აქვს თუ არა გადახდის პირობა, ბანკი ასევე განიხილავს სხვადასხვა შემთხვევას, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ სასესხო ვალდებულებები არ დაკმაყოფილდება და ისინი შეესაბამება წარმოშობილ დეფოლტის რისკს.

სხვა ფინანსური აქტივები ავტომატურად განეკუთვნება მესამე სტადიას, როდესაც მსესხებელი 14 დღით დააგვიანებს გადახდას ხელშეკრულების საფუძველზე. იმის თვისებრივი შეფასებისას, მომხმარებელს დარღვეული აქვს თუ არა გადახდის პირობა, ბანკი ასევე განიხილავს სხვადასხვა შემთხვევას, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ გადახდა არ არის მოსალოდნელი, რაც მოიცავს შემდეგს:

- მსესხებლის გარე რეიტინგი, რომელიც დეფოლტზე მიუთითებს;
- კონტრაჰენტის გაკოტრება ან ლიკვიდაცია;
- მომხმარებლის ლიცენზიის გამოთხოვნა.

როდესაც კრედიტორის სასესხო ვალდებულებების რესტრუქტურიზაცია ხდება თავდაპირველი სესხის (90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება) ახალი სესხით განსხვავებული ეკონომიკური პირობებით (ხშირად სესხის ჩანაცვლებად მოხსენიებული), ბანკის პოლიტიკა განსაზღვრავს, რომ ფინანსური ინსტრუმენტი ჩაითვალოს „გამოსწორებულად“, როდესაც ზემოთ ჩამოთვლილი დეფოლტის კრიტერიუმებიდან არცერთს არ ექნება ადგილი სულ მცირე სამი თანმიმდევრული თვის განმავლობაში, საანგარიშგებო თარიღამდე. მოცემული პირობის დაკმაყოფილებისას, ახალი სესხი რეკლასიფიცირდება მე-3 სტადიიდან მე-2-ში. იმ შემთხვევაში, თუ თავდაპირველი რესტრუქტურიზებული სესხი 90 დღეზე ნაკლები პერიოდით იქნება ვადაგადაცილებული, სამთვიანი გამოსაცდელი პერიოდის გასვლის შემდეგ ახალი სესხი მე-2 სტადიიდან პირველში რეკლასიფიცირდება.

შიდა რეიტინგი და დეფოლტის ალბათობის შეფასების პროცესი

ბანკის დამოუკიდებელი საკრედიტო რისკის ერთეული ამუშავებს მის შიდა რეიტინგის მოდელებს. ბანკი მართავს ინდივიდუალურ მოდელებს მისი წამყვანი პორტფელებისთვის, რომელშიც მათ მომხმარებლებს ენიჭებათ რეიტინგი 1-დან 13 ქულამდე (A1, A2, A3, B1, B2, B3, C1, C2, C3, D1, D2, D3, E ((დეფოლტი). მოდელები მოიცავს როგორც თვისებრივ, ისე - რაოდენობრივ ინფორმაციას და, მსესხებლის დამახასიათებელ ინფორმაციასთან ერთად, იყენებენ დამატებით გარე ინფორმაციას, რომელმაც შესაძლოა იმოქმედონ მსესხებლის ქცევაზე. პრაქტიკულობიდან გამომდინარე, მოდელები ასევე ეფუძნება ინფორმაციას საერთაშორისო გარე სარეიტინგო სააგენტოებიდან. თითოეულ სტადიას ენიჭება დეფოლტის ალბათობები, რომლებიც მოიცავს საპროგნოზო ინფორმაციას და, ფასს 9-ის შესაბამისად, რისკის სტადიების მიხედვით კლასიფიკაციას. იგივე მეორდება თითოეული ეკონომიკური სცენარისთვის, სიტუაციიდან გამომდინარე.

დეფოლტის ალბათობა საცალო პორტფელისთვის განისაზღვრება შიდა სტატისტიკური მონაცემებით. ერთი წლის დეფოლტის ალბათობა ფასდება სეგმენტების დონეზე (ერთწლიანი დეფოლტის ალბათობა ფასდება სეგმენტის დონეზე). ინსტრუმენტები თითოეულ სეგმენტში განეკუთვნება ვადაგადაცილებული დღეების ჯგუფებს (ჯგუფი 1 - ვადაგადაცილების გარეშე, ჯგუფი 2 - ერთიდან 30 დღემდე ვადაგადაცილება, ჯგუფი 3 - 31-დან 60 დღემდე ვადაგადაცილება, ჯგუფი 4 - 61-დან 90 დღემდე ვადაგადაცილება, ჯგუფი 5 - 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება). ერთწლიანი დეფოლტის ალბათობის დაანგარიშება i საჭიროებს თავდაპირველი გადაცემის მატრიცის შეფასებას. ამ მიზნით, ანალიზი ტარდება სასესხო პორტფელის თანმიმდევრულ თვიურ პერიოდებზე, ისტორიული ინფორმაციის საფუძველზე (გამოიყენება ყველა ხელმისაწვდომი ერთგვაროვანი სტატისტიკური მონაცემი, 10 წლამდე შეზღუდული დროითი ჰორიზონტით). შედეგად მიღებული მატრიცა არის საშუალო ერთწლიანი TTC დეფოლტის ალბათობის სვეტი ($PD\ TTC$). საშემოსავლო გადასახადის დეფოლტის ერთწლიანი ალბათობის განსაზღვრისთვის, ამ სეგმენტისთვის მაკროეკონომიკური პროგნოზების გათვალისწინებით, ვექტორის თითოეული ელემენტი $PD\ TTC$ ერგება დაკალიბრების კოეფიციენტს.

სახაზინო და ბანკთაშორისი ურთიერთობები

ბანკის სახაზინო და ბანკთაშორისი ურთიერთობები და კონტრაჰენტები მოიცავს ფინანსური მომსახურების დაწესებულებებს და ბანკებს. ამ ურთიერთობებისთვის, ბანკის საკრედიტო რისკის ერთეულები ანალიზს უკეთებს საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას, როგორიც არის ფინანსური ინფორმაცია და სხვა გარე მონაცემები (მაგ. გარე რეიტინგები) და ბანკი შიდა რეიტინგს ანიჭებს ვადაგადაცილებული დღეების საფუძველზე, როგორც ნაჩვენებია ცხრილში ქვემოთ.

(ათას ლარში)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

კორპორატიული სესხები და სესხები მცირე ბიზნესისთვის

კორპორატიული სესხებისთვის, ბანკის სპეციალიზებული საკრედიტო რისკის თანამშრომლები ახდენენ მსესხებლების შეფასებას. საკრედიტო რისკის შეფასება ეფუძნება საკრედიტო რეიტინგის მოდელს, რომელიც სხვადასხვა ისტორიულ, მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას ითვალისწინებს, ბანკის სარეიტინგო მეთოდოლოგიის შესაბამისად.

რეიტინგის განსაზღვრის ტექნიკების კომპლექსურობა და დეტალიზაცია განსხვავდება ბანკის რისზე დაქვემდებარების და მომხმარებლის კომპლექსურობისა და ზომის გათვალისწინებით. მცირე ბიზნესისთვის რამდენიმე ნაკლებად კომპლექსური სესხის რეიტინგის განსაზღვრა ხდება ბანკის საცალო პროდუქტების მოდელების გამოყენებით.

სამომხმარებლო სესხები და საცხოვრებელი სახლის იპოთეკები

სამომხმარებლო სესხი მოიცავს პერსონალურ სესხებს უზრუნველყოფის გარეშე, საკრედიტო ბარათებს და ოვარდრაფტებს. საცხოვრებელი სახლის იპოთეკასთან ერთად, ამ პროდუქტების და ასევე მცირე ბიზნესის სესხების ნაკლებ კომპლექსური რეიტინგები განისაზღვრება მაჩვენებლების ავტომატური სისტემით, რომელიც, უპირატესად, ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობას ეფუძნება.

ბანკის სამომხმარებლო სესხების შიდა საკრედიტო რეიტინგები მოიცავს შემდეგს:

შიდა რეიტინგის ქულა (ციფრებში)	*საერთაშორისო გარე სარეიტინგო სააგენტოს (ფიტჩის) რეიტინგი*	*შიდა სარეიტინგო განმარტება*	*არსებობის ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი*
1-2	'BB-'-დან 'BBB-'-მდე	მაღალი შეფასება	0-2%
3	B+		
4	B		
5-6	B-	სტანდარტული შეფასება	2-15%
7-9	CCC/C	სტანდარტულზე დაბალი	
10-11	CCC/C	შეფასება	16-100%
12-13	D	გაუფასურებული	100%

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება წარმოადგენს იმ ფინანსური ინსტრუმენტების მთლიან საბალანსო ღირებულებას, რომლებზეც ხდება გაუფასურების გამოთვლა, და ითვალისწინებს როგორც კლიენტის უნარს, გაზარდოს დავალიანების მოცულობა დეფოლტის მოახლოებისას, ისე მის უნარს, დავალიანება ვადაზე ადრე დაფაროს. პირველი სტადიის სესხის შემთხვევაში, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების გამოსათვლელად, ბანკი აფასებს დეფოლტის მოვლენების დადგომის შესაძლებლობას 12-თვიანი საკრედიტო ზარალის გამოთვლის ვადაში - 12 თვის განმავლობაში. მეორე და მესამე სტადიების, ასევე შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების შეფასება ხდება ინსტრუმენტის არსებობის ვადის განმავლობაში დამდგარი დეფოლტის მოვლენების გათვალისწინებით.

ბანკმა განსაზღვრა დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანებები რისკის შესაძლო შედეგების დიაპაზონის მოდელირების გზით, დროის სხვადასხვა მომენტში, რომელიც მრავალჯერად სცენარს შეესაბამება. ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში დეფოლტის ალბათობები შემდეგ განეკუთვნება თითოეულ ეკონომიკურ სცენარს, ბანკის მოდელების შედეგების საფუძველზე.

(ათას ლარში)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში

საკრედიტო რისკის შეფასება ეფუძნება დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების სტანდარტიზებული შეფასების სტრუქტურას, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების კონკრეტულ განაკვეთს. დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების ეს განაკვეთები ითვალისწინებს დეფოლტის მომენტისთვის მოსალოდნელ დაუფარავ დავალიანებას იმ თანხასთან შედარებით, რომლის აღდგენაც ან რეალიზაციაც მოსალოდნელია უზრუნველყოფის ნებისმიერი დასაკუთრებული საგნიდან.

ბანკის ახდენს მისი საცალო საკრედიტო პროდუქტების უფრო მცირე ერთგვაროვან პორტფელებად სეგმენტირებას, იმ მნიშვნელოვანი მახასიათებლების საფუძველზე, რომლებიც შეესაბამება მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებას. გამოყენებული მონაცემები ეფუძნება ზარალის შესახებ მიღებულ ისტორიულ მონაცემებს და ისინი მოიცავენ გარიგების მახასიათებლების უფრო ფართო ნაკრებს (მაგ. პროდუქტის ტიპი, უზრუნველყოფის საგნების უფრო ფართო დიაპაზონი), ასევე ნასესხებ მახასიათებლებს.

დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების განაკვეთები ფასდება პირველი, მეორე და მესამე სტადიებისთვის და თითოეული აქტივის კლასის შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული სეგმენტისთვის. დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების განაკვეთების ამოსავალი მონაცემები ფასდება და, შესაძლებლობის შემთხვევაში, დაკალიბრდება სესხის დაბრუნების მიმდინარე მაჩვენებლების ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით შეფასების გზით. იგივე მეორდება თითოეული ეკონომიკური სცენარისთვის, სიტუაციიდან გამომდინარე.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

ბანკი მუდმივად ახდენს ყველა მისი აქტივის მონიტორინგს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გათვალისწინებით. იმის განსასაზღვრად, ინსტრუმენტი ან ინსტრუმენტთა პორტფელი 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ექვემდებარება, თუ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ბანკი აფასებს ჰქონდა თუ არა ადგილი მნიშვნელოვან ზრდას საკრედიტო რისკში თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

ბანკი მიმართავს შეფასების თვისებრივ მეთოდს აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამოსაწვევად, როგორიც არის, მაგალითად, მომხმარებლის/ობიექტის შეყვანა საყურადღებო სიაში, ან ანგარიშის რესტრუქტურიზება საკრედიტო მოვლენის გამო. კონკრეტულ შემთხვევებში, ბანკმა შესაძლოა ასევე მიიჩნიოს, რომ ზემოთ, თავში „დეფოლტის განმარტება“ განხილული მოვლენები დეფოლტთან მიმართებაში საკრედიტო რისკში მნიშვნელოვან ზრდას წარმოადგენს. საკრედიტო რეიტინგში ცვლილებების მიუხედავად, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდები 30 დღეზე მეტი ხნითაა ვადაგადაცილებული, ითვლება, რომ საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარებიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კოლექტიურ საფუძველზე შეფასებისას მსგავსი აქტივების ჯგუფისთვის, ბანკი იყენებს შეფასების იგივე პრინციპებს იმის განსასაზღვრად, ხომ არ ჰქონია ადგილი მნიშვნელოვან ზრდას საკრედიტო რისკში თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების დაჯგუფება

ქვემოთ მოცემული ფაქტორებიდან გამომდინარე, ბანკი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს განსაზღვრავს კოლექტიურ ან ინდივიდუალურ საფუძველზე.

გადაწყვეტილება ინსტრუმენტის ინდივიდუალურ საფუძველზე შეფასების შესახებ მიიღება ექსპერტის მსჯელობების შესაბამისად, რაც, სხვა მრავალ საკითხთან ერთად ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს:

- მსესხებლის ყველა კრედიტის ოდენობა აღემატება 200 ლარს;
- მე-3 სტადიის ყველა აქტივი, ფინანსური აქტივის კლასის მიუხედავად;
- მე-2 და მე-3 სტადიის კორპორატიული სასესხო პორტფელი;
- მცირე ბიზნესის სესხების პორტფელის კრედიტის მსხვილი ან უნიკალური ოდენობა;

(ათას ლარში)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

- სახაზინო და ბანკთაშორისი ურთიერთობები (როგორიც არის, მოთხოვნები ბანკების მიმართ, ფულადი სახსრების ეკვივალენტები და სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ამორტიზებული ღირებულებით/სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული);
- კრედიტის ოდენობა, რომელიც შესაძლოა კლასიფიცირებულ იქნას შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებულად, როდესაც თავდაპირველი სესხის აღიარება წყდება და ახალი სესხი აღიარდება სესხის რესტრუქტურიზაციის შედეგად.

აქტივების კლასები ბანკის მიერ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებისას კოლექტიურ საფუძველზე მოიცავს შემდეგს:

- მცირე ბიზნესისთვის საბანკო სესხების უფრო მცირე და მეტად გენერიული ნაშთები;
- 1-ლი და მე-2 საცალო იპოთეკური და სამომხმარებლო სესხები და 1-ლი სტადიის კორპორატიული სესხის პორტფელი;
- შეძენილი შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული კრედიტის ოდენობა, რომელიც იმართება კოლექტიურ საფუძველზე.

ბანკი ამ კრედიტებს უფრო მცირე ერთგვაროვან პორტფელებად აჯგუფებს, სესხების შიდა და გარე მახასიათებლების კომბინაციის საფუძველზე, როგორიც არის, მაგალითად შიდა შეფასება, ვადაგადაცილების კალათა, პროდუქტის ტიპი, სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი ან მსესხებლის ინდუსტრია.

საპროგნოზო ინფორმაცია და მრავალჯერადი ეკონომიკური სცენარები

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მოიცავს 2021-2022 წლების ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზირებას. ასეთი პროგნოზები კეთდება ხელმძღვანელობის განსჯის საფუძველზე და ასეთი განსჯა შეიძლება იყოს შეფასების განუსაზღვრელობის წყარო, რასაც ახლავს საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირების მნიშვნელოვანი რისკი. საპროგნოზო ელემენტების შეტანა ასახავს ბანკის წამყვანი ხელმძღვანელობის მოლოდინებს და მოიცავს სცენარების (საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური) შექმნას, თითოეული სცენარისთვის ალბათობის მინიჭების ჩათვლით. სხვადასხვა სცენარის გამოყენების მიზანია მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე დაშვებების არაწრფივი გავლენის მოდელირება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას საპროგნოზო ინფორმაციის გათვალისწინების მიზნით, განისაზღვრება დეფოლტის ალბათობაზე მოქმედი მაკროეკონომიკური ფაქტორები საქართველოს საბანკო სექტორის მთლიან სასესხო პორტფელში ვადაგადაცილებული სესხების აგრეგირებული წილის დონეზე (სებ-ის მონაცემების შესაბამისად).

საპროგნოზო ინფორმაციის გათვალისწინებისას დგინდება ფუნქციონელური ურთიერობა საკრედიტო რისკსა და მაკროეკონომიკურ ფაქტორებს შორის. ცვლადი მონაცემები მოიცავს საქართველოს საბანკო სექტორის მთლიანი სასესხო პორტფელში (სებ-ის მონაცემების შესაბამისად) ვადაგადაცილებული სესხების ცენტრალიზებულ და ნორმალიზებულ წილებს (ან მათ შესაძლო ტრანსფორმაციას, მათ შორის აბსოლუტურ ცვლილებებს და დაკავშირებულ შემოსულობებს). ახსნა-განმარტებითი ცვლადი მონაცემები მოიცავს მაკროეკონომიკური ფაქტორების ცეტრალიზებულ და ნორმალიზებულ მაჩვენებლებს: მშპ-ს ზრდის განაკვეთის ლოგარითმებს და ექსპორტის ზრდაში აბსოლუტური ცვლილების t-2 ჩამორჩენას (განსახილველი პერიოდის განმავლობაში) და ასევე დეფოლტის ალბათობების ეფექტს.

თავის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელში ბანკი მთელ რიგ საპროგნოზო ინფორმაციას ეყრდნობა და მათგან იღებს ისეთ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, როგორიცაა:

- მშპ-ის ზრდის ტემპი;
- უმუშევრობის დონე.

(ათას ლარში)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ბანკის საკრედიტო რისკის განყოფილება განსაზღვრავს სხვადასხვა სცენარისთვის მისანიჭებელ წონებს. სცენარების ახალი პაკეტის მიხედვით, საბაზო სცენარს მინიჭებული აქვს 50%-იანი ალბათობა, ოპტიმისტურ სცენარს – 25%-იანი ალბათობა და პესიმისტურ სცენარს – 25%-იანი ალბათობა.

მთავარი ფაქტორები	*მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სცენარი*	*მინიჭებული ალბათობები, %*	*2020*	*2021*	*2022*
მშპ-ის ზრდა					
	ოპტიმისტური	25%	-4.50%	6.00%	5.00%
	საბაზისო სცენარი	50%	-5.00%	5.00%	4.50%
	პესიმისტური	25%	-6.00%	1.00%	4.00%
უმუშევრობის დონის ცვლილება					
	ოპტიმისტური	25%	3.50%	1.00%	-2.50%
	საბაზისო სცენარი	50%	4.00%	-0.50%	-2.00%
	პესიმისტური	25%	5.00%	0.00%	-2.00%

საპროგნოზო სცენარებში დაშვებული ეკონომიკური აღმავლობის დროსა და მასშტაბთან დაკავშირებული მზარდი გაურკვევლობის გამო, ხელმძღვანელობამ მოდელირებული შედეგის გასაზრდელად დააკორექტირა კოეფიციენტი, რომელსაც ერთმანეთთან შესაბამისობაში მოჰყავს ზედა ცხრილში წარმოდგენილი პროგნოზებიდან მიღებული დეფოლტის ალბათობა დროის გარკვეულ მომენტში და დეფოლტის ალბათობა ციკლის განმავლობაში, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის მიზნით. მაკრო კოეფიციენტის ცვლილებით გამოწვეული ზრდის ეფექტი ასე გამოიყურებოდა:

	მოდელირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	*მოდელის შემდგომი კორექტირებები და ხელმძღვანელობის დაშვებები ცვლილებებზე*	*სულ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი*	*კორექტირებები, როგორც მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის %*
სამომხმარებლო სესხები	(27,593)	(1,490)	**(29,079)**	5.12%
კორპორატიული სესხები	(7,888)	(610)	**(8,493)**	7.18%
სესხები მცირე ბიზნესისთვის	(674)	(160)	**(832)**	19.23%
სულ	**(36,155)**	**(2,250)**	**(38,405)**	**5.85%**

(ათას ლარში)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით

ფინანსური აქტივების საკრედიტო რეიტინგი იმართება ბანკის შიდა საკრედიტო სარეიტინგო სისტემით, ზემოთ აღწერილი ფორმით. ქვედა ცხრილში ასახულია საკრედიტო ხარისხი აქტივის კლასის მიხედვით, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სასესხო მუხლებისთვის, ბანკის საკრედიტო რეიტინგის სისტემის საფუძველზე 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	შენიშვნა	სტადიები	მაღალი შეფასება 2020	სტანდარტული შეფასება 2020	სტანდარტულ-ზე დაბალი შეფასება 2020	გაუფასურებული 2020	სულ 2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გარდა ნაღდი ფულის ნაშთისა სალაროში	5	1-ლი სტადია	146,058	–	–	–	**146,058**
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების მიმართ	6	1-ლი სტადია	229,292	–	–	–	**229,292**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	7		779,232	542,038	74,624	41,162	**1,437,056**
- კორპორატიული სესხები		1-ლი სტადია	142,343	350,549	32,389	–	**525,281**
		მე-2 სტადია	–	4,258	26,796	–	**31,054**
		მე-3 სტადია	–	–	–	12,710	**12,710**
- სესხები მცირე ბიზნესისთვის		1-ლი სტადია	219,205	428	119	–	**219,752**
		მე-2 სტადია	3,058	11,984	1,767	–	**16,809**
		მე-3 სტადია	–	–	–	2,870	**2,870**
- სამომხმარებლო სესხები		1-ლი სტადია	410,936	159,820	7,461	–	**578,217**
		მე-2 სტადია	411	14,999	6,092	–	**21,502**
		მე-3 სტადია	–	–	–	25,582	**25,582**
- ანაბრებით უზრუნველყოფილი სესხები		1-ლი სტადია	3,279	–	–	–	**3,279**
		მე-2 სტადია	–	–	–	–	**–**
		მე-3 სტადია	–	–	–	–	**–**
სავალო ფასიანი ქაღალდები	8		157,791	–	–	–	**157,791**
- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული.		1-ლი სტადია	157,791	–	–	–	**157,791**
სესხების გაცემის ვალდებულება	20	1-ლი სტადია	86,042	51,392	–	–	**137,434**
		მე-2 სტადია	296	–	3	8	**307**
		მე-3 სტადია	–	–	–	–	–
აკრედიტივები	20	1-ლი სტადია	1,750	–	–	–	**1,750**
ფინანსური გარანტიები	20	1-ლი სტადია	58,599	16,121	10	–	**74,730**
		მე-2 სტადია	–	4,057	10	–	**4,067**
სხვა აქტივები	14	1-ლი სტადია	3	4,022	–	–	**4,025**
სულ			**1,459,063**	**617,630**	**74,647**	**41,170**	**2,192,510**

(ათას ლარში)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

	შენიშვნა	სტადიები	მაღალი შეფასება 2019	სტანდარტული შეფასება 2019	სტანდარტულზე დაბალი შეფასება 2019	გაუფასურებული 2019	სულ 2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გარდა ნაღდი ფულის ნაშთისა სალაროში	5	1-ლი სტადია	95,399	–	–	–	**95,399**
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების მიმართ	6	1-ლი სტადია	153,712	–	–	–	**153,712**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	7		456,589	669,697	13,714	46,796	**1,186,796**
- კორპორატიული სესხები		1-ლი სტადია	175,824	257,931	–	–	**433,755**
		მე-2 სტადია	3,652	9,437	4,454	–	**17,543**
		მე-3 სტადია	–	–	–	20,303	**20,303**
- სესხები მცირე ბიზნესისთვის		1-ლი სტადია	210,985	977	259	–	**212,221**
		მე-2 სტადია	104	58	26	–	**188**
		მე-3 სტადია	–	–	–	2,966	**2,966**
- სამომხმარებლო სესხები		1-ლი სტადია	61,561	399,655	5,883	–	**467,099**
		მე-2 სტადია	78	1,639	3,092	–	**4,809**
		მე-3 სტადია	–	–	–	23,527	**23,527**
- ანაბრებით უზრუნველყოფილი სესხები		1-ლი სტადია	4,385	–	–	–	**4,385**
სავალო ფასიანი ქაღალდები	8		120,953	–	–	–	**120,953**
- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული.		1-ლი სტადია	120,953	–	–	–	**120,953**
სესხების გაცემის ვალდებულება	20	1-ლი სტადია	49,514	39,862	–	–	**89,376**
		მე-2 სტადია	6	–	–	–	**6**
		მე-3 სტადია	221	–	–	–	**221**
აკრედიტივები	20	1-ლი სტადია	54	–	–	–	**54**
ფინანსური გარანტიები	20	1-ლი სტადია	64,357	11,732	138	–	**76,227**
სხვა აქტივები	14	1-ლი სტადია	7	3,625	–	–	**3,632**
სულ			**940,812**	**724,916**	**13,852**	**46,796**	**1,726,376**

(ათას ლარში)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ბანკის პოლიტიკა ითვალისწინებს მთლიანი საკრედიტო პორტფელის რისკების ზუსტ და სისტემატურ შეფასებას. ეს ამარტივებს არსებული რისკების ეფექტურ მართვასა და საკრედიტო რისკის გავლენის შედარებას საქმიანობის ყველა სფეროს, გეოგრაფიული არეალისა და პროდუქტის მიხედვით. რეიტინგის სისტემა დამყარებულია სხვადასხვა ფინანსურ ანალიზზე, აგრეთვე დამუშავებულ საბაზრო მონაცემებზე, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს აუცილებელ კომპონენტს კონტრაჰენტის რისკის შეფასებისთვის. რისკის ყველა შიდა რეიტინგი მორგებულია სხვადასხვა კატეგორიებზე და მიიღება ბანკის სარეიტინგო პოლიტიკაზე დაყრდნობით. რისკის რეიტინგები ექვემდებარება მუდმივ შეფასებასა და განახლებას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის სესხი მიიჩნევა ვადაგადაცილებულად, თუ ანგარიშგების დღისთვის მსესხებელს არ განუხორციელებია საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული არცერთი გადახდა. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად მსესხებლისგან მისაღები მთლიანი თანხა, დარიცხული პროცენტისა და საკომისიოს ჩათვლით, უნდა იქნას აღიარებული ვადაგადაცილებულად.

მომხმარებლებზე გაცემული სესხებისა და ავანსების გაუფასურება კოლექტიურად შეფასდა. საკრედიტო პორტფელის სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

რესტრუქტურიზებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება კატეგორიების მიხედვით:

ქვემოთ ცხრილში ასახულია ისეთი (რესტრუქტურიზებული და რეფინანსირებული) ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება კლასების მიხედვით, რომელთა პირობებიც გადაისინჯა:

	2020	*2019*
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები		
სამომხმარებლო სესხები	31,067	20,822
კორპორატიული სესხები	28,989	10,880
სესხები მცირე ბიზნესისთვის	12,682	2,915
სულ	**72,738**	**34,617**

ინდივიდუალურად შეფასებული რეზერვები

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ინდივიდუალურ საფუძველზე ხორციელდება ფულის დროითი ღირებულების, ასევე განვლილი მიმდინარე და საპროგნოზო ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, რომელიც გონივრულ ფარგლებშია ხელმისაწვდომი. თითოეული ფინანსური ინსტრუმენტის ანარიცხის ინდივიდუალურ საფუძველზე შეფასებისას, განისაზღვრება სესხის დასაფარად საჭირო ფულადი ნაკადების შემოდინებების შესაძლო სცენარები.ინდივიდუალურ საფუძველზე შეფასებული თითოეული ფინანსური ინსტრუმენტისთვის ანარიცხები დაანგარიშდება მიმდინარე მთლიან საბალანსო ღირებულებასა და შესაბამისი სცენარის ალბათობით შეწონილ მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობის სახით.ფულადი ნაკადების სცენარები ეფუძნება სესხის დაფარვის სტრატეგიების საფუძველზე, რომლებიც გამოიყენება/რომელთა გამოყენებაც იგეგმება/რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას მსესხებელთან მიმართებაში.სცენარების ალბათობები, ფულადი სახსრების შემოდინების თანხები და ვადები განისაზღვრება ექსპერტთა მსჯელობით.

კოლექტიურად შეფასებული რეზერვები

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში მნიშვნელოვანი ამოსავალი მონაცემები მოიცავს შემდეგი ცვლადი მონაცემების ვადების სტრუქტურას:

- დეფოლტის ალბათობა;
- დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში; და
- დეფოლტირებული ოდენობა.

(ათას ლარში)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი პირველ სტადიაზე არსებული კრედიტის ოდენობებისთვის დაანგარიშდება 12-თვიანი დეფოლტის ალბათობის გამრავლებით დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებზე და დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ დავალიანებაზე. მე-2 და მე-3 სტადიებისთვის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაანგარიშდება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის გამრავლებით დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებზე და დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ დავალიანებაზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაანგარიშდება შემდეგი აქტივებისთვის:

- კორპორატიული კლიენტები;
- მცირე და საშუალო საწარმოები;
- მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების მიმართ;
- გარანტიები და აკრედიტივები;
- ფასიანი ქაღალდების პორტფელი;
- ფიზიკური პირები (პროდუქტების მიხედვით).

ბანკის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია მოცემულია ქვემოთ:

	2020				*2019*			
	საქართველო	*ეთგო*	*დსთ და სხვა უცხო ქვეყნები*	*სულ*	*საქართველო*	*ეთგო*	*დსთ და სხვა უცხო ქვეყნები*	*სულ*
აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	134,840	55,080	17,183	**207,103**	109,684	26,118	14,107	**149,909**
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების მიმართ	229,128	164	–	**229,292**	153,569	143	–	**153,712**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	1,377,113	2,903	18,635	**1,398,651**	1,133,512	5,853	14,195	**1,153,560**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	166,799	–	–	**166,799**	120,696	–	–	**120,696**
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული წილობრივი ფასიანი ქაღალდები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.	54	–	–	**54**	54	–	–	**54**
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ფასიანი ქაღალდები	156,964	–	–	**156,964**	120,642	–	–	**120,642**
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სავალო ფასიანი ქაღალდები, მოგებაში ან ზარალში ასახვით	9,781	–	–	**9,781**	–	–	–	**–**
სხვა ფინანსური აქტივები	4,431	186	122	**4,739**	12,812	159	136	**13,107**
	1,912,311	**58,333**	**35,940**	**2,006,584**	**1,530,273**	**32,273**	**28,438**	**1,590,984**
ვალდებულებები								
ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების მიმართ	1,968	–	29,461	**31,429**	19,474	–	15,829	**35,303**
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	1,197,217	46,666	92,972	**1,336,855**	952,068	41,773	81,613	**1,075,454**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	129,912	10,663	21,285	**161,860**	66,687	3,477	15,654	**85,818**
სხვა ნასესხები სახსრები	116,721	5,565	56,102	**178,388**	45,738	4,816	68,176	**118,730**
სუბორდინირებული სესხი	–	–	80,253	**80,253**	–	–	63,448	**63,448**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	27,878	197	7	**28,082**	22,587	271	705	**23,563**
	1,473,696	**63,091**	**280,080**	**1,816,867**	**1,106,554**	**50,337**	**245,425**	**1,402,316**
წმინდა აქტივები/(ვალდებულებები)	**438,615**	**(4,758)**	**(244,140)**	**189,717**	**423,719**	**(18,064)**	**(216,987)**	**188,668**
წმინდა ფინანსური ვალდებულებები	**215,256**	**21**	**2,110**	**217,387**	**161,942**	**14**	**3,221**	**165,177**

(ათას ლარში)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

უზრუნველყოფის საგანი და საკრედიტო რისკის შემცირების სხვა ინსტრუმენტები

უზრუნველყოფის საგნის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. შემუშავებულია თითოეული ტიპის უზრუნველყოფის საგნის მიღებისა და შეფასების სახელმძღვანელო. ხელმძღვანელობა ამოწმებს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებას და შეუძლია მოითხოვოს დამატებითი უზრუნველყოფა შესაბამისი ხელშეკრულების მიხედვით. ბანკის პოლიტიკით, დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნების გაყიდვა რეგულირდება შესაბამისი პროცედურებით. რეალიზაციიდან მიღებული თანხები გამოიყენება აუნაზღაურებელი მოთხოვნების შესამცირებლად ან დასაფარად.

კრედიტის უზრუნველყოფის მისაღები ფორმების სია პერიოდულად გადაისინჯება. ბანკს კრედიტის უზრუნველყოფის თითოეული ფორმისთვის ჩამოყალიბებული აქვს მოთხოვნები. დაგირავებული ქონების ღირებულება განისაზღვრება საბაზრო ფასის საფუძველზე, ლიკვიდურობის მარჟის გათვალისწინებით.

უზრუნველყოფა გამოიყენება შეთავაზებული კრედიტის თანხის გასაზრდელად და არა კრედიტის დამტკიცების ერთადერთ მიზეზად. როდესაც ხდება უზრუნველყოფის საგნის მიღება, საჭიროა საკრედიტო განაცხადის ფორმაში ყველა დეტალის, მათ შორის უზრუნველყოფის ტიპის, ღირებულების და მისი გადამოწმების სიხშირის ასახვა. თუ შესაძლებელია, ბანკის წარმომადგენელმა უნდა შეამოწმოს უზრუნველყოფის საგნის ფიზიკური არსებობა.

ბანკი დაგირავებული ქონების სამართლიან ღირებულებას ხელახლა აფასებს უზრუნველყოფის თითოეული ფორმისთვის დადგენილი სიხშირით და საჭიროების შემთხვევაში მოითხოვს დამატებით გირაოს ან კრედიტის უზრუნველყოფის სხვა მისაღებ ფორმებს.

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ ბანკმა შეიძლება ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ამ რისკის შეზღუდვის მიზნით, ბანკის ხელმძღვანელობა, ძირითადი სადეპოზიტო ბაზის გარდა, იყენებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ წყაროებს, მართავს აქტივებს ლიკვიდურობის მიხედვით, და ყოველდღიურ ზედამხედველობას უწევს მომავალ ფულად ნაკადებს და ლიკვიდურობას. აღნიშნულ პროცედურებთან ერთად, ფასდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადები და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებელია საჭიროებისამებრ გამოყენებულ იქნას დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფისთვის.

ბანკი ფლობს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელს, რომლის უზრუნველყოფითაც საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სებ-იდან სახსრების მოზიდვა. ბანკი ასევე ფლობს საკრედიტო ხაზებს, რომლებიც შეუძლია გამოიყენოს ლიკვიდურობის მიზნით.

ბანკი აფასებს და ზედამხედველობს ლიკვიდურობის პოზიციას ცალკე აღებული კოეფიციენტის მიხედვით, რომელიც დაწესებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

ამ მოთხოვნის თანახმად, ბანკებმა უნდა იქონიონ ლიკვიდური აქტივები, რომელთა გამოყენებასაც შეძლებენ თავიანთი ლიკვიდურობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მომდევნო 30 კალენდარული დღის განმავლობაში. 202 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის კოეფიციენტები ასე გამოიყურებოდა:

ბანკები ვალდებულები არიან, რომ ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი შეინარჩუნონ მინიმუმ 100%-ის, 75%-ისა და 100%-ის დონეზე უცხოურ ვალუტაში, ეროვნულ ვალუტაში, და ჯამში, შესაბამისად.

	2020	*2019*
ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი უცხოურ ვალუტაში (მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების ფლობა / სულ წმინდა ფულადი სახსრების გადინება)	187%	147%
ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი ეროვნულ ვალუტაში (მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების ფლობა / სულ წმინდა ფულადი სახსრების გადინება)	80%	82%
სულ ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი (მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების ფლობა / სულ წმინდა ფულადი სახსრების გადინება)	140%	112%

(ათას ლარში)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)

კოვიდ-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით სებ-ის ლიკვიდურობის მხარდაჭერის ღონისძიებების ფარგლებში, ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტის ეროვნული ვალუტის კომპონენტი გაუქმდა საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკისთვის 2020 წლის 1 მაისიდან ერთი კალენდარული წლის ვადით ან სხვა ვადით, რომელსაც სექტორის ლიკვიდურობის საჭიროებების შეფასების შედეგად მართებულად მიიჩნევს მარეგულირებელი ორგანო.

2019 წლის 1 სექტემბრიდან სებმა დამატებით შემოიღო წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის მინიმალური მოთხოვნა საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისთვის, რომელიც უნდა იყოს, სულ მცირე, 100%. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის ფაქტობრივი მაჩვენებელი 123% იყო (2019 წ.: 113%).

ფინანსური ვალდებულებების ანალიზი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით

